

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტი

მირზა ბახტაძე

**ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები
საქართველოში**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი

პროფესორი გელა მამულაძე

ბათუმი - 2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირზა ბახტაძე

21.06.2019

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I . ინოვაციური მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები	11
1.1 ინოვაციური მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	11
1.2 ინოვაციები, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის	23
1.3 ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები	38
თავი II. ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკა და მისი მართვის თანამედროვე მიდგომები	50
2.1 ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.....	50
2.2 ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება, რისკები და თავისებურებები	60
2.3 თანამედროვე მაღალტექნოლოგიური (ინოვაციური) კომპანიების ძირითადი მახასიათებლები და კონკურენტული უპირატესობები	68
თავი III. ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების ძირითადი თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოში	79
3.1 ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის ძირითადი მექანიზმები საქართველოში	79
3.2 მდგრადი განვითარებისა და ინოვაციური მენეჯმენტის საერთო კონცეფტები	98
3.3 ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	112
დასკვნები და წინადადებები	133
გამოყენებული ლიტერატურა.....	140
დანართები.....	153

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ ინიციატივებზე აქცენტირება პირდაპირ კავშირშია ქართული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობასთან, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. იმისათვის, რომ ქართული ნაწარმი შესაბამისი მომზადებით შეხვდეს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი თანამედროვე ინოვაციური კანონზომიერებების კომპლექსური შესწავლა და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და წარმატებული კომპანიების გამოცდილების მუდმივი კვლევა, რის საფუძველზეც აღნიშნული მიმართულებით უნდა მოხდეს პრაქტიკული ღირებულების მქონე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

ინოვაციური პოლიტიკის ფორმირება და შემდგომ მისი წარმატებული მართვა ნებისმიერი ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ინოვაციური მენეჯმენტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი კონკურენტუნარიანობის არეალი ძალზედ მასშტაბურია და არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტული დარგით. ანუ, მენეჯერი, რომელიც თავის ორგანიზაციაში წარმატებულად ავითარებს ინოვაციურ პროცესებს შესაძლოა იქცეს მსოფლიო ყურადღების ცენტრში, ვინაიდან იმ პირობებში, როცა კაცობრიობის წინაშე მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევა დგას, თითოეული ინოვაციური იდეის განხორციელებას ადამიანები იმედით ელოდებიან. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ გლობალური მასშტაბის ინოვაციის შემუშავებას წინ უსწრებს ხოლმე ადამიანთა დაუღალავი შრომა და შესაბამისი ხელმძღვანელი პირების რუდუნებით აღსავსე მმართველობითი პროცესი. სწორედ, აღნიშნული გარემოება აქცევს ინოვაციურ მენეჯმენტს თემად, რომელიც საინტერესოა არამარტო ეკონომისტებისათვის, არამედ სხვა სფეროში მოღვაწე ადამიანთათვისაც. იგი სულ უფრო პოპულარული ხდება თანამედროვე მსოფლიოში. ინოვაცია გვესმის ყველგან, სადაც მიმდინარეობს შემოქმედებითი საქმიანობა. ინოვაციებზე ბევრს წერენ სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ცივილიზებულ სამყაროს სიახლეებისადმი ინტერესი ჰქონდა,

აქვს და მომავალშიც ექნება, საქართველო კი ყოველთვის იყო და იქნება თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. ჯერ კიდევ 1862 წელს ილია ჭავჭავაძე სტატიაში - „საქართველოს მოამბეზედ“ (1862 წ.) აღნიშნავს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალეზზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“.

ინოვაციებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის კვლევები ტარდება მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომელთა რეიტინგებშიც საქართველო საკმაოდ ჩამორჩება თანამედროვე ქვეყნებს და აღნიშნული გარემოების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ, ქვეყანაში ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ნაკლებობა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით ინოვაციების შექმნის უნარით საქართველო 137 ქვეყნიდან 99-ე ადგილზეა, ტექნოლოგიური მზადყოფნით 70-ე, ხოლო ინოვაციური კვლევების დაფინანსების ფაქტორული სუბინდექსით 122-ე ადგილზე. კორნელის უნივერსიტეტისა და მსოფლიოს ბიზნესის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) 2018 წელს მსოფლიოს 128 მონაწილე ქვეყანას შორის საქართველო 59-ე პოზიციას იკავებს. საქართველო საერთოდ არ მოხვდა Bloomberg-ის კვლევის შედეგად გამოვლენილ 50 ყველაზე ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. Innovation Cities™ Index 2018-ის რეიტინგში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 500 ქალაქს შორის ინოვაციურობის თვალსაზრისით 418-ე ადგილზეა.

ინოვაციური პროცესების ეფექტიანობასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების შესწავლას უცხოელ მეცნიერთა მრავალი კვლევა ეძღვნება, კერძოდ, აღნიშნულ საკითხს იკვლევდნენ და იკვლევენ ჰ. ბარნეტი, ი. შუმპეტერი, პ. დრუკერი, ბ. სახტო, დ. ჯონსონი, ბ.გოდინი, პ. ნოვოტნი, კ. დანიელსონი, ჯ. ტიდი, ჯ. ბესანტი ჯ. ბაუმგარტნერი და მრავალი სხვა. ბოლო პერიოდში ინოვაციების თემატიკისადმი მზარდი ყურადღებით გამოირჩევა ქართველი მეცნიერებიც, მათ შორის ო. შატბერაშვილი, ვ. პაპავა, ლ. ქოქიაური, ე. ბარათაშვილი, რ. აბესაძე, ა. აბრალავა, თ. ვერულავა, გ. მამულაძე, ბ. გეჩხაია, ნ. მახარაძე და სხვები. ასევე, როგორც აღინიშნა საკითხის ირგვლივ გარკვეული ინფორმაციის მოძიება

შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციისა და კვლევითი ცენტრების ცალკეულ ანგარიშებშიც.

მეცნიერული შრომების სიმრავლის მიუხედავად, ეროვნულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებია სამეცნიერო კვლევები, რომლებიც კომპლექსურად განიხილავენ ინოვაციური მენეჯმენტის ჩამოყალიბებასა და ამ კუთხით არსებულ თანამედროვე მდგომარეობას საქართველოს რეალობაში, რისი უმთავრესი მიზეზიც გახლავთ ჯერ საბჭოთა კავშირის 70 წლიანი მმართველობა, როცა ქვეყანაში პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო მენეჯერულ საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების შესახებ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და გაჟღერება, ხოლო შემდგომში, 90-იან წლებში ის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომლის წინაშეც აღმოჩნდა სამეცნიერო საზოგადოება. შესაბამისად, საქართველოში მხოლოდ მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ჩნდება ფუნდამენტური კვლევები ინოვაციებისა და მენეჯმენტის ურთიერთკავშირზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ საკითხის შესწავლის მხრივ გარკვეული წვლილი შეგვეტანა არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაში, შევისწავლეთ საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობა, გამოვკვეთეთ ამ მიმართულებით კონკრეტული პრობლემები და მათი მოგვარების შესაძლებლობები.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს, განისაზღვროს ინოვაციური პროცესების მასტიმულირებელი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და ადგილობრივი ორგანიზაციების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესებაში, მოხდეს ინოვაციური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების განხორციელების წინააღმდეგობათა ანალიზი და მათი დაძლევის გზების დადგენა. აღნიშნულის საფუძველზე გამოვლინდეს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის ფორმირების პერსპექტივები და შემუშავდეს მისი განვითარებისათვის საჭირო პრაქტიკულ-მეთოდური რეკომენდაციები.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ინოვაციური აქტივობების ზრდის აუცილებლობის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრა;

- თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის ტიპებისა და მათი ძირითადი თავისებურებების განხილვა;
- ინოვაციური მენეჯმენტის, როგორც ეკონომიკური ზრდის და ეფექტიანი წარმოების უზრუნველმყოფი ფაქტორის შეფასება;
- სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების ერთიან ინოვაციურ სისტემაში მოქცევის მიზანშეწონილობის გამოკვეთა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებას;
- საერთაშორისო ბიზნესზე ინოვაციების გავლენის განხილვა და ბიზნესში ინოვაციური პროცესების განხორციელების, როგორც კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვების განმსაზღვრელი აუცილებელი ფაქტორის დასაბუთება;
- ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების ტენდენციების გამოვლენა, როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ ბაზარზე. ინოვაციების, როგორც ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის უმთავრესი ინსტრუმენტის მნიშვნელობის გამოვლენა;
- საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმებისა და აქტივობების განხილვა;
- ინოვაციური მენეჯმენტის, როგორც მდგრადი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორის განხილვა და მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის აუცილებლობის დასაბუთება;
- ქართველ მომხმარებელთა და მენეჯერთა მიერ ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი დამოკიდებულების კვლევა და მათი ქცევის თავისებურებების გამოვლენა;
- ჩატარებული კვლევების საფუძველზე საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების ტენდენციების გამოვლენა;
- თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პირობებში, საქართველოში არსებული საერთო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის ფონზე მენეჯმენტის სფეროში ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების პროცესის და მისი სრულყოფის ინოვაციური ასპექტების შესწავლა და ქართული ორგანიზაციებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი. ინოვაციური მენეჯმენტი, როგორც უნიკალური მახასიათებლების მქონე, თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებული მმართველობითი საქმიანობა.

კვლევის საგანი. საქართველოში არსებულ კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში ინოვაციური მენეჯმენტის ფორმირების პროცესის ოპტიმიზაციის ძირითადი თავისებურებები.

სამეცნიერო სიახლე. ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- შეფასებულია ინოვაციური მენეჯმენტის თეორიული ასპექტები და სხვადასხვა კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია აღნიშნულ სფეროში არსებული ტენდენციები;

- დასაბუთებულია საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მმართველობით საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების გამოყენების აუცილებლობა;

- გაანალიზებულია ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიის მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ორგანიზაციის, ასევე ქვეყნისათვის;

- შესწავლილია საქართველოში არსებული ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები და აქტივობები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ ქვეყანაში ინოვაციური პროცესების განვითარებას;

- დადგენილია ინოვაციური მენეჯმენტისა და მდგრადი განვითარების მჭიდრო ურთიერთკავშირი;

- ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოკვეთილია ქართველი მომხმარებლების მიერ ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებით სარგებლობისა და დაინტერესების თავისებურებები;

- გამოვლენილია საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების მენეჯერთა მიერ, მმართველობით საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები;

- შემუშავებულია მენეჯმენტის უნივერსალური მოდელი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში ინოვაციური პროცესების დანერგვასა და განვითარებას;

- თეორიული მასალებისა და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებულია საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის აუცილებელი ძირითადი რეკომენდაციები;

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. შემოთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები ხელს უწყობენ ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასა და სტიმულირებას საქართველოში. ეს ყოველივე გაზრდის ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს, დაეხმარება მათ კონკურენტული უპირატესობის მიღწევასა და გრძელვადიანი წარმატების მოპოვებაში. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ადგილობრივი კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ასევე ეკონომიკის, ბიზნესისა თუ მენეჯმენტის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და მკვლევარების მიერ.

კვლევის თეორიულ-მეთოდური საფუძველი. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები, ჟურნალები, საკუთარი კვლევები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგები და ინტერნეტ რესურსები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, როგორც ზოგად სამეცნიერო, ასევე ეკონომიკური კვლევის მეთოდები, კერძოდ: ფუნქციონალური ანალიზისა და სინთეზის, სისტემური და ლოგიკური მიდგომების, დაჯგუფების, შედარების, შეფასებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. ნაშრომში ასევე, გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, რომელთა ფარგლებშიც გამოიკითხა, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაცია აპრობირებულ იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე 2018 წლის 27 ივნისს (ოქმი N 8). ნაშრომის ძირითადი დებულებები ხუთი სტატიის სახით, გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და კონფერენციის მასალებში.

დისერტაციის სტრუქტურული და ენობრივი გამართულობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და ცხრა ქვეთავისგან. თემას თან ერთვის დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი I. ინოვაციური მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები

1.1. ინოვაციური მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

ბოლო პერიოდში ინოვაციები იქცა სხვადასხვა სფეროში მოქმედ ორგანიზაციათა თანამედროვეობის ერთგვარ ბარომეტრად, როგორც მარკეტინგის ასევე მენეჯმენტის თვალსაზრისით. მაგრამ, ვიდრე ინოვაციები მმართველობით საქმიანობაში შეიძენდა ესოდენ დიდ პრაქტიკულ ღირებულებას, მეცნიერთა მხრიდან ხდებოდა აღნიშნული საკითხის შესწავლა, ექსპერიმენტების ჩატარება, და ა.შ., რის საფუძველზეც იხვეწებოდა მისი თეორიული ასპექტები, იქმნებოდა თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთაც ძალზედ დიდი როლი ითამაშეს პრაქტიკაში ინოვაციების დანერგვასა თუ პოპულარიზებაში. თავის მხრივ ინოვაციების მიმართულებით შექმნილი თეორიული საფუძვლები განაპირობებებს მისი შემდგომი კვლევის ინტერესს. აქედან გამომდინარე, დღეისათვის ინოვაციებით დაინტერესებულია სხვადასხვა მეცნიერების მიმდევრები და მათ შორის ეკონომისტები.

საკუთრივ ინოვაციების ცნება ერთ-ერთი ვერსიით პირველად კულტუროლოგებმა გამოიყენეს 1540-1550 წლებში, ამით ისინი გამოხატავდნენ ერთი რომელიმე კულტურის ელემენტების გადატანას მეორეში. ცნების შინაარსი დინამიურად იცვლებოდა განსაკუთრებით 1940-1950-იან წლებში. როდესაც 1942 წელს იმ დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთმა გავლენიანმა ეკონომისტმა იოზეფ შუმპეტერმა თავის ნაშრომში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ ინოვაცია განიხილა მოგების მაქსიმიზაციის მნიშვნელოვან ხერხად და იგი განასხვავა გამოგონებისაგან მას შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ტერმინი ინოვაციის თანამედროვე აღქმა და მისი აქტიურად გამოყენება სამეცნიერო ნაშრომებში (**Dictionary...**).

ინოვაციური მენეჯმენტის ფორმირებისა და განვითარების საწყისი თეორიული საფუძვლები, როგორც შესავალში აღინიშნა მომზადებული და განხორციელებული იქნა ძირითადად უცხოელი (ევროპელი და ამერიკელი) ავტორების მიერ. კერძოდ, აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა კუთხით იკვლევდნენ და იკვლევენ ჰ. ბარნეტი, ი. შუმპეტერი, პ. დრუკერი, ბ. სახტო, დ. ჯონსონი, ბ.გოდინი, ჰ. ნოვოტნი, კ.

დანიელსონი, ჯ. ტიდი, ჯ. ბესანტი ჯ. ბაუმგარტნერი და მრავალი სხვა. ინოვაციების თემატიკისადმი ყურადღებით გამოირჩევიან ქართველი მკვლევარები: ო. შატერაშვილი, ვ. პაპავა, ლ. ქოქიაური ე. ბარათაშვილი, რ. აბესაძე, ა. აბრალავა, გ. მამულაძე, ბ. გეგბაია, ნ. მახარაძე და სხვა. საკითხის ირგვლივ გარკვეული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციისა და კვლევითი ცენტრების ცალკეულ ანგარიშებშიც.

ვიდრე უშუალოდ ინოვაციური მენეჯმენტის ასპექტებზე ვისაუბრებთ განვიხილოთ საკუთრივ ინოვაციის ცნების განმარტებები სხვადასხვა მეცნიერთა მხრიდან: ი. შუმპეტერი ინოვაციას მიიჩნევს საწარმოო ფაქტორების ახალ სამეცნიერო-ორგანიზაციულ კომბინაციად, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე (**Шумпетер, 1982 :112**). ი. შუმპეტერი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვის პერიოდში შეინიშნება ე.წ. „აღმშენებლობითი ნგრევა“, რომელსაც მოსდევს ქვეყნების ეკონომიკური ზრდა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. (**Schumpeter, 1943 :81-84**). ტ. ბრაიანი ნაშრომში „მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების მართვა“ ინოვაციის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: ეს არის პროცესი, როდესაც გამოგონება, სიახლე ან იდეა იძენს ეკონომიკურ შინაარსს (**Мединский, 2002: 43**). ტ. ბრაიანის მსგავსად, ბ. ტვისიც აქცენტს აკეთებს ინოვაციის ეკონომიკურ შინაარსზე (**ТВИСС, 1988 : 102**). ბ. სანტო კი თვლის, რომ ინოვაცია ტექნიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესია, რომელიც მიმართულია ახალ ტექნოლოგიათა შექმნისაკენ, ახალი იდეებისა ან გამოგონებების გამოყენებით (**САНТО, 1992**). რ. ასათიანი ინოვაციას განსაზღვრავს, როგორც შრომის ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმების დანერგვას არა მხოლოდ ცალკეულ საწარმოებში, არამედ მთლიანად ამა თუ იმ დარგში (**ასათიანი, 1996 : 76**). თ. შენგელიას აზრით ინოვაცია წარმოგვიდგება, როგორც შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, რომელიც მომართულია ახალი სახეობის ნაწარმის, ტექნოლოგიის შემუშავებაზე, შექმნასა და გავრცელებაზე, ახალი ორგანიზაციული ფორმების დანერგვაზე და ა.შ (**შენგელია, 1997 : 205**). ა. აბრალავას აზრით, ინოვაცია არის ადამიანთა თეორიული და პრაქტიკული შემოქმედებითი საქმიანობიდან წარმოშობილი და რეზულტატირებული გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მქონე ყოველგვარი სიახლე (**აბრალავა, 2001 : 19**).

ინოვაციების სხვადასხვა განსაზღვრების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინოვაციების არსი მდგომარეობს ცვლილებებში. თანამედროვე ადამიანების მიერ სამყაროსადმი პრაგმატულმა დამოკიდებულებამ გასულ საუკუნეებთან შედარებით გამოიწვია ინოვაციების, როგორც ცნების აღქმის ტრანსფორმირება, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ის, რომ ზოგადად ინოვაციების კონცეფცია მოიცავს სიახლეების ძალიან ფართო არეალს, უკანასკნელ წლებში კი ინოვაციები მომხმარებელში უმეტესწილად ასოცირდება ტექნოლოგიურ სიახლეებთან.

მარტივი გაგებით ინოვაცია შეიძლება გავაიგივოთ ახალ იდეასთან, მოწყობილობასა თუ მეთოდთან (**Merriam-webster...**). ეკონომიკაში ინოვაციას ხშირად განმარტავენ და განიხილავენ როგორც სიახლეს, რომელიც მიმართულია ადამიანთა ახალი მოთხოვნების ან არსებულის უკეთ დაკმაყოფილებისაკენ (**Maryville, 1992 : 27-31**). ვიდრე ი. შუმპეტერი ჩამოაყალიბებდა ინოვაციისა და გამოგონებას შორის განსხვავებას ხშირად ხდებოდა ამ ტერმინთა გაიგივება ერთმანეთთან, ბევრი მეცნიერი დღესაც აკეთებს ამას, რაც არ მიგვაჩნია მართებულად თუმცა ტერმინთა შორის ხშირ შემთხვევაში ძალიან მჭიდრო კავშირია. მთავარი, რაც ინოვაციას გამოარჩევს გამოგონებისაგან ისაა, რომ ინოვაცია კვლევის შედეგია და ბაზარზეა რეალიზებული. ანუ ის გამოგონება თუ აღმოჩენა, რომელიც ჯერ კიდევ არაა რეალიზებული ბაზარზე, მხოლოდ სიახლეა და არა – ინოვაცია (**Bhasin, 2012**). სიახლის ინოვაციად გარდაქმნას ინოვაციური პროცესი ჰქვია. სწორედ, ინოვაციური პროცესის ეფექტურად წარმართვა გახლავთ ინოვაციური მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანა. ამ კუთხით ინოვაცია თავისი სპეციფიკით ყველაზე ახლოს მენეჯმენტთან დგას, ვინაიდან თუ როგორ დანერგავ, როგორ წარუდგენ საზოგადოებას ამა თუ იმ სიახლეს უშუალოდ შესაბამისი პროცესის მართვის შედეგია. გარდა ამისა, მმართველობითი ინოვაციები მოიცავს არამხოლოდ ახალი გამოგონების წარმატებულად რეალიზებას, არამედ ნებისმიერ სიახლეს, რომელიც ინერგება ორგანიზაციის მენეჯმენტში.

საქართველოს კანონში „ინოვაციების შესახებ“ ნაშრომში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი სახის განმარტებები (**საქართველოს კანონი ... 2016**):

ინოვაცია – ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის, მათ შორის:

ინოვაციური პროდუქტი – ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, რომელიც არ გულისხმობს სხვა პირის მიერ შემუშავებული ან წარმოებული ინოვაციური პროდუქტის მხოლოდ ესთეტიკურ ცვლილებას;

ინოვაციური პროცესი – წარმოების ან მომსახურების ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენება, რომელიც პირისთვის არის სიახლე ან გაუმჯობესება, იმის მიუხედავად, ეს პროცესი სხვა პირის მიერაა შექმნილი თუ არა;

ორგანიზაციული ინოვაცია – მენეჯმენტის სტრუქტურის ან მეთოდის ახალი ან მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მიმართულია ორგანიზაციაში პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ ან/და ცოდნის გამოყენების გაუმჯობესებისკენ ან ბიზნესის ეფექტიანობის ზრდისკენ;

ინოვაციური საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების შესაქმნელად;

ინოვაციური პროექტი – პროექტი, რომლის მიზანია ინოვაციური საქმიანობის განხორციელება;

ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა – გარემო, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების დაკავშირებისა და თანამშრომლობისკენ და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისკენ;

ინოვაციის კომერციალიზაცია – ინოვაციის პრაქტიკული გამოყენება, რომელსაც დადებითი ეკონომიკური ან სოციალური ეფექტი აქვს;

ინოვაციების ეკოსისტემა – ეროვნული და რეგიონალური ინოვაციების სისტემების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების თანამშრომლობას და მიმართულია სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის შექმნისაკენ, განვითარებისაკენ, გავრცელებისა და გამოყენებისაკენ ქვეყა-

ნაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით (საქართველოს კანონ... 2016).


ინოვაციების თანამედროვე განმარტებების შერწყმის შედეგად შეიძლება ჩამოვყალიბოთ აღნიშნული ცნების დეფინიცია შემდეგნაირად, რომ ინოვაცია არის დამატებითი ღირებულების მქონე სიახლის ექსპლოატაცია სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც თან ახლავს გარკვეული სოციალური ეფექტი. ორგანიზაციისათვის ინოვაცია არის კვლევითი მიღწევების გამოყენება მატერიალური თუ არამატერიალური სარგებლის მიღების მიზნებით. ბიზნესის გაფართოება და განახლება, ახალი წარმოების მეთოდების შემუშავება, მენეჯმენტის ახალი სისტემების და მიდგომების ჩამოყალიბება, ამ ყველაფერს მოიცავს ინოვაციური მენეჯმენტი. ამრიგად, ინოვაციური პროცესების მართვას ინოვაციური მენეჯმენტი ჰქვია.

ინოვაციური მენეჯმენტის შეფასება ხდება ძირითადად ორი მიმართულებით, პირველი ეს გახლავთ სიახლის მასშტაბი ანუ ესა თუ ის სიახლე ნოვაციას წარმოადგენს რომელიმე ფირმისთვის, რიგი კომპანიებისათვის, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკისათვის თუ მთელი მსოფლიოსათვის. მეორე - ინოვაციის ტიპი, ანუ როგორია ინოვაციის შინაარსი.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საწარმო დაინტერესებულია შეიმუშავოს საქონლისა თუ მომსახურების შემუშავების უფრო ეფექტიანი და ოპტიმალური ვარიანტი თავისი მომხმარებლის დასაკმაყოფილებლად. სწორედ, ეს მიზანი გახლავთ უმთავრესი ფაქტორი კომპანიების მიერ თავიანთ ხარჯვით ნაწილში კვლევებისა და განვითარების - R&D ხარჯების გათვალისწინებისა და იმ რისკების საკუთარ თავზე აღებისა, რომლებიც თან ახლავს ნებისმიერ ინოვაციურ პროცესს.

ორგანიზაციები შესაძლოა ორიენტირებული იყვნენ განსხვავებული ინოვაციების შემუშავება/დანერგვაზე. ზოგიერთი მენეჯერი აქცენტს აკეთებს არსებული პროდუქციისა თუ მომსახურების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, ხოლო არსებობს ორგანიზაციები, რომელთა მენეჯმენტიც სრულიად ახალი პროდუქციის/მომსახურების შექმნაზეა ორიენტირებული. ინოვაციების ტიპი მეტწილად დამოკიდებულია საკუთრივ ობიექტსა და შესაბამის დარგზე, სადაც ის ვრცელდება.

ასევე, მასშტაბსა და ინტენსიურობაზე. ამ კომპონენტებზე დაყრდნობით ინოვაციების კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. სქემა N1):



წყარო: ადაპტირებულია ავტორის მიერ

სქემა N1-ზე ასახული კლასიფიკაციის პირველი ჯგუფი - ინოვაციები ობიექტის მიხედვით გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ორგანიზაციის მიერ ხდება ახალი პროდუქციის ან მომსახურების შემუშავება. ხოლო პროცესის ინოვაცია არის ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ ახალი ელემენტების შემოტანა საკუთარი პროდუქციის ან მომსახურების წარმოებისა თუ მიწოდების პროცესში. პროდუქციის ინოვაცია ძირითადად ხდება ორგანიზაციის შექმნის საწყის ეტაპებზე, ხოლო საწარმოო პროცესების გარდაქმნა უფრო დამახასიათებელია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ბაზარზე უკვე დამკვიდრებულნი არიან. აღსანიშნავია, რომ პირველი შემთხვევა რისკებთან არის დაკავშირებული ვინაიდან, ახალი პროდუქციის ან მომსახურების შემუშავება ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია კომპანიის წარმატებას გამოიწვევს თუ მარცხს. ხოლო საწარმოო პროცესების ახლებურად მართვა მეტწილად მენეჯმენტის ხარისხზეა დამოკიდებული. სწორი ინოვაციური მენეჯმენტის დროს უმრავლეს შემთხვევებში ის ამართლებს.

კლასიფიკაციის ტიპების მეორე ჯგუფში პირველ შემთხვევაში საუბარია ორგანიზაციულ ინოვაციაზე, რომელიც ძირითადად ადმინისტრაციულ ორგანოებს ეხება და გავლენას ახდენს უწყების ორგანიზაციულ სისტემაზე, ამ დროს ხდება გარკვეული ცვლილებები მენეჯმენტის პროცესებზე ანუ მიმდინარეობს ახალი ადმინისტრაციული მიდგომების, პროცესების შემუშავება. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვასა და შეფასებაზე. მაგალითად, საჯარო დაწესებულებებში სწორად დანერგილი ადმინისტრაციული ინოვაციები გაამარტივებს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციასა და ინფორმაციის

მიმოცვლას. ტექნოლოგიური ინოვაციები კი ეს არის ახალი მოწყობილობები, რომლის მეშვეობით იოლდება არსებული პროდუქციის ან მომსახურების გადამუშავების და მისთვის საბოლოო ჯამში განახლებული სახის მიცემის პროცედურები. ტექნოლოგიური ინოვაციები ერთგვარი „მუზაა“ მწარმოებელთათვის ახალი იდეის გენერირებაში და შემდგომ მის წარმატებით განხორციელებაში. ბოლო დროს მცირე საწარმოები განსაკუთრებულ აქტივობებს იჩენენ ტექნოლოგიური ინოვაციებისადმი, ვინაიდან ეს უკანასკნელი იქცა კონკურენტუნარიანობის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

სქემა N 1-ზე მოცემულ მესამე ჯგუფს, რაც შეეხება აქ საუბარია ინკრემენტულ და რადიკალურ ინოვაციებზე. პირველი მათგანი არ ახდენს ზეგავლენას ორგანიზაციულ სისტემასა და მნიშვნელოვნად არ ცვლის კომპანიის სტრატეგიას. ეს არის მიდგომა, როდესაც მენეჯმენტი ცდილობს, რომ მოძველებული და მოდიდან გადასული პროდუქცია თუ მომსახურება განახლებული ვარიანტით შესთავაზოს მომხმარებელს. რადიკალური ინოვაცია კი ძირეულად ცვლის ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემას, მის სტრატეგიას და საწარმოო პროცესებს. მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს რებრენდინგი და ბაზარზე ახალი იმიჯის შექმნა. რიგ შემთხვევებში აღნიშნული ინოვაცია ერთგვარი იმპულსია ორგანიზაციის საქმიანობაში და მას უბიძგებს ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნისათვის. უნდა ითქვას, რომ რადიკალურ ცვლილებებს კომპანიები იშვიათად მიმართავენ, ვინაიდან აღნიშნული პროცესი რთულია როგორც მენეჯმენტისათვის ასევე პერსონალისათვის, მოითხოვს რა ფინანსურ რესურსებს, კვალიფიკაციასა და მკვეთრ ცვლილებებთან შეგუების უნარს (Types...).

საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონირებენ ისეთი საწარმოები, რომლებიც ან ამა თუ იმ სახის ინოვაციურ საქმიანობაზე არიან დასპეციალიზებული ან/და ინოვაციური მომსახურების სპექტრს ახორციელებენ კომერციულ საფუძველზე. მსხვილ კორპორაციებს აქვთ იმის მატერიალური შესაძლებლობები და ჰყავთ იმ დონის კვალიფიციური პერსონალი, რომ უზრუნველყოფენ ინოვაციური პროცესების დინამიურობას და ინარჩუნებენ ლიდერობას როგორც საკუთარ, ისე მსოფლიო ბაზრებზე. ინოვაციური განვითარების ორგანიზაციული ფორმები მჭიდროდ უკავშირდება სინერგიზმის საფუძველზე მეურნეობრიობის წარმართვის ახალ პრინ-

ციკებს. ამ თავისებურებამ მთელ მსოფლიოში ჩამოაყალიბა ინოვაციური პროცესის სამი საბაზრო ორგანიზაციული ფორმა: ადმინისტრაციულ-სამეურნეო, პროგრამულ-მიზნობრივი და საინიციატივო (აბრაღავა, 2014 : 33-34).

პირველი გულისხმობს ისეთი კორპორაციის არსებობას, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მეცნიერულ კვლევებსა და დამუშავებებს, ახალი პროდუქციის შექმნასა და გასაღებას;

მეორე ფორმაში უპირატესობა ენიჭება მართვის კოორდინირებულ ფორმას, როცა პროექტის მონაწილეები თავიანთ ორგანიზაციებში საქმიანობენ, ხოლო მათ ამ საქმიანობას პროექტის მართვის ცენტრი წარმართავს;

მესამე ფორმის არსი მდგომარეობს ცალკეული შემოქმედი და გამომგონებელი ადამიანების, საინიციატივო ჯგუფებისა თუ მცირე ფირმების სამეცნიერო-ტექნიკური, მმართველობით-საკონსულტაციო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის დაფინანსებაში.

ლ. ქოქიაური აღნიშნავს, რომ ინოვაციური მენეჯმენტის წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის ციკლურ განვითარებასთან. იგი ერთიმეორეს უხამებს ევოლუციურ და რევოლუციურ ცვლილებებს, რომლებიც სტიმულირდება მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნით და მწარმოებელთა საბაზრო კონკურენციით (ქოქიაური, 2016).

როგორც აღინიშნა ინოვაციური მენეჯმენტი არის ინოვაციური პროცესის მართვა, ხოლო ინოვაციური პროცესი იწყება მაშინ, როდესაც კომპანია შეიმუშავებს ახალ იდეას, რასაც ინოვაციური პროცესის სწორად წარმართვა გარდაქმნის ინოვაციურ პროექტად. ინოვაციური პროცესი - ეს არის მეცნიერული ცოდნის, იდეის, სიახლის, ინოვაციებად გარდაქმნის პროცესი. იგი გულისხმობს ქმედებების და სიახლის შექმნის თანმიმდევრულ სქემას, რომელიც ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს: პროცესუალურს, დამატებითს, საბაზისოს, პროდუქტიულს და ა.შ. ამრიგად, ინოვაციური პროცესი მდგომარეობს სიახლეთა მიღებასა და მის კომერციულ რეალიზაციაში. იგი მოიცავს არამარტო მეცნიერულ-ტექნოლოგიურ დამუშავებას, წარმოებას, არამედ გაცვლასა და მოხმარებასაც (ქოქიაური, 2016).

ინოვაციური პროცესი მიზანშეწონილია განხილული იქნას ორი თვალსაზრისით:

- ინოვაციური პროცესი - სიახლეების ახალ ტექნოლოგიებად გარდაქმნის პროცესია;

- ინოვაციური პროცესი, ეს არის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ან არსებული ტექნოლოგიების არსებითად გაუმჯობესების და სრულყოფის პროცესი;

ინოვაციური პროცესის საფუძველია ახალი პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი: ახალი იდეის წარმოშობის მომენტიდან მომხმარებლების მიერ მის პრაქტიკულ ექსპლუატაციამდე, რიგი სპეციალისტების აზრით, ინოვაციური პროცესი, როგორც რთული მრავალ ასპექტიანი კატეგორია, შეიძლება განხილულ იქნეს სულ მცირე სამ ასპექტში:

- სამეცნიერო კვლევითი, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, ინოვაციური, საწარმოო საქმიანობის და მარკეტინგის პარალელურ-თანმიმდევრული განხორციელება;

- ინოვაციების სასიცოცხლო ციკლის დროითი ეტაპები იდეის წარმოშობიდან მის დამუშავებასა და გავრცელებამდე;

- პროდუქციისა და მომსახურების ახალი სახეების დამუშავებისა და გავრცელების ინვესტირების პროცესი.

საერთოდ, ინოვაციური პროცესი მოიცავს: გამოგონების, ახალი ტექნოლოგიების, ახალი სახის პროდუქციისა და მომსახურების შემუშავებასა და კომერციალიზაციას, საწარმოო, ფინანსური, ადმინისტრაციული ან სხვა ხასიათის გადაწყვეტილებებს, და ინტელექტუალური საქმიანობის სხვა შედეგებს. კონკრეტული ინოვაციური პროცესის შინაარსი განისაზღვრება დანერგვის ობიექტით - ახალი პროდუქტით და გავრცელების არეალით. (**Berkhout, 2010 : 474-490**).

ინოვაციური პროცესის ძირითადი თავისებურებაა ციკლურობა და ეტაპობრიობა. ინოვაციური საქმიანობის მასშტაბებზე დამოკიდებულებით სხვადასხვა დონის ციკლები განიხილება. კონკრეტული სიახლეების სასიცოცხლო ციკლთან მიმართებაში - ინოვაციური პროცესი საზოგადოებრივი მოთხოვნის უკვე ჩამოყალიბებული ან ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების სიახლეების მთელი ჯაჭვია (**ქოქიაური, 2016**).

თეორიული საფუძვლებთან ერთად ყურადღება გვსურს გავამახვილოთ ინოვაციების პრაქტიკულ ასპექტებსა და მის მასშტაბურ შედეგებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ ინოვაცია არის განხორციელებული სიახლე, რომელიც აუმჯობესებს ადამიანთა ცხოვრებას. „ინოვატორები სამყაროს სხვაგვარად ხედავენ“. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე ვებ-პორტალ The Startupguide-ის მიერ შემუშავებულ იქნა ტოპ-12, ყველა დროის ინოვატორთა შესახებ, რომელიც ასე გამოიყურება (**start up...**):

1. თომას ედისონი - ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ინოვატორი. ამერიკელი მეწარმე და გამომგონებელი ელექტრიფიკაციის სფეროში. სახელი გაითქვა ფონოგრაფის გამოგონებით.

2. სტივ ჯობსი - კომპიუტერული ინდუსტრიის წამყვანი ფიგურა და გამომგონებელი. ის იყო Apple-ის თანადამფუძნებელი, თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი დირექტორი (CEO). 1986–2006 წლებში ის ასევე იყო პიქსარის ანიმაციური სტუდიის აღმასრულებელი დირექტორი. პიქსარის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმზე სათამაშოების ისტორია, მან იმუშავა, როგორც აღმასრულებელმა პროდიუსერმა. როდესაც სტუდია უოლტ დისნეის კომპანიამ შეიძინა 2006 წელს, ჯობსი გახდა დისნეის დირექტორთა საბჭოს წევრი და კომპანიის უმსხვილესი მეწილე.

3. ნიკოლა ტესლა - სერბი-ამერიკელი ფიზიკოსი, ინჟინერი, გამომგონებელი ელექტრო და რადიოტექნიკის სფეროში. იგი გახდა ფართოდ ცნობილი თავისი მეცნიერულ - რევოლუციონური წვლილის შენატნით ელექტროობასა და მაგნიტიზმის დარგში XIX ს. მილეულს და XX ს.ს დასაწყისში. ტესლას პატენტებმა და თეორიულმა ნამუშევრებმა შექმნა ბაზისი თანამედროვე ტექნიკაში რომლებიც მუშაობენ ცვლად დენზე ასევე ელექტროძრავის ბევრფაზიან სისტემაზე რომლებიც საშუალებას აძლევს სამრეწველო რევოლუციის გადაყვანას მეორე ფაზაზე.

4. ბილ გეიტსი - ამერიკელი ბიზნესმენი, ფილანტროპი, ინვესტორი და კომპიუტერული პროგრამისტი, კომპანია Microsoft-ის დამფუძნებელი. გეიტსის ხელმძღვანელობის პირობებში „Microsoft“ ყოველთვის მიისწრაფის იმისკენ, რომ გააუმჯობესოს კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა, რათა უფრო ადვილი იყოს საზოგადოებისთვის მისი გამოყენება.

5. ბენჯამინ ფრანკლინი - აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე დავაწმოსილი დამფუძნებელი, ადრეული პოლიტიკური ფიგურა და სახელმწიფო მოღვაწე; მეცნიერი, გამომცემელი. ბენჯამინ ფრანკლინი - ერთ-ერთია აშშ ფუძემდებლებიდან, რომელმაც ხელი მოაწერა სამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტს და ამ გზით საფუძველი ჩაუყარა ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ეს დოკუმენტებია: აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაცია; აშშ-ის კონსტიტუცია; 1783 წელს ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება.

6. ალექსანდრე ბელი - ტელეფონის ერთ-ერთი გამომგონებელი. 1872 წელს ბელმა ბოსტონში გახსნა ყრუთა სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელი სასწავლო დაწესებულება. 1876 წელს აშშ-ში აიღო პატენტი მის მიერ გამოგონებულ ტელეფონზე, შემდეგ კი მემბრანაზე და არმატურაზე. სხვებთან ერთად გამოაქვეყნა შრომები და აიღო პატენტი ბგერის ჩაწერისა და აღწარმოების დარგში (1884-1886). ბელის სხვა გამოგონებები არის - ედისონის ფონოგრაფის სრულყოფა, მოქნილი ელერონების გამოყენება უხეშ საყრდენ ზედაპირთან ერთად თვითმფრინავების ფრენის მართვისთვის. ბელმა გამოაქვეყნა 100-მდე სტატია და მიიღო 30 პატენტი.

7. ლეონარდო და ვინჩი - ნამდვილი გენიოსი, რომელმაც წარუშლელი კვალი დაამჩნია რენესანსის ეპოქის მსოფლიო ხელოვნებასა და არქიტექტურას. გარდა იმისა, რომ მან შექმნა მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების შედეგები. ასევე, დატოვა ნახატები, რომლებზე გამოსახული იყო ტანკი, ვერტმფრენი და მზის ენერჯია.

8. სენდფორდ ფლემინგი - შოტლანდიელ-კანადელი ინოვაციური და გამომგონებელი. ფლემინმა შეიმუშავა საინჟინრო, გეოდეზიური და რუკები, რათა დახმარებოდა მე -19 საუკუნის ტრანსკონტინენტურ რკინიგზის მშენებლობას. ფლემინგმა თავისი წვლილი შეიტანა დროის სტანდარტული ზონების შექმნაში.

9. მარი კიური - ფიზიკოსი და ქიმიკოსი. ეროვნებით პოლონელი. მისი შრომები რადიოაქტიურ ნივთიერებათა შესწავლის შესახებ საფუძვლად დაედო ფიზიკისა და ქიმიის ახალ დარგებს. პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი ქალი.

10. ორვილ და უილბურ რაიტები - ორი ამერიკელი ძმა, გამომგონებლები, ავიაციის პიონერები რომლებიც ცნობილნი არიან, მსოფლიოში პირველი წარმატებული აეროპლანის შექმნითა და მსოფლიოში პირველად ადამიანის მიერ მართული, ძრავიანი და სტაბილური ჰაერზე მძიმე აპარატით ფრენის განხორციელებით 1903 წლის 17 დეკემბერს.

11. გალილეო გალილეი - იტალიელი ფიზიკოსი, ასტრონომი და ფილოსოფოსი, სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, პოეტი, ფილოლოგი და კრიტიკოსი. მის მიღწევათა შორისაა ტელესკოპის გაუმჯობესება, რიგი ასტრონომიული დაკვირვებებისა, ნიუტონის პირველი და მეორე კანონები. მას ხშირად თანამედროვე ასტრონომიის მამად მოიხსენიებენ, ისევე როგორც თანამედროვე ფიზიკისა და მეცნიერების მამად. მისი ექსპერიმენტალური ნაშრომები ფართოდ აღიარებულია, ფრენის ბეკონის შრომებთან ერთად, თანამედროვე მეცნიერული მეთოდის ფუძემდებლად. გალილეოს კარიერა თან ხვდება იოჰანეს კეპლერისას.

12. რიჩარდ ფეინმანი - ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში (1965). 1943-1945 ბირთვული იარაღის შექმნაზე მომუშავე, მანჰეტენის პროექტის აქტიური წევრი ლოს-ალამოსში, ასევე იყო კოსმოსური შატლ „ჩელენჯერის“ კატასტროფის გამომძიებელი პანელის წევრი. ფეინმანი იყო ელემენტარული ნაწილაკების გარდაქმნების ამსახველი, „ფეინმანის დიაგრამების“ შემქმნელი. ფეინმანს ასევე მიიჩნევენ კვანტური კომპიუტერის შექმნის ერთ-ერთ პიონერად და ნანოტექნოლოგიის კონცეფციის შემმუშავებლად.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ადამიანები გახლავთ, არამარტო ინოვატორები, არამედ გამორჩეული ნიჭისა და უნიკალური თვისებების მქონე პიროვნებები, რომლებიც მათ თანამოაზრეებთან ერთად ღირსეულად უძვებოდნენ იმ პროცესებს, რაც წინ უსწრებს ხოლმე გლობალურ მოვლენებსა თუ გამოგონებებს. ვინაიდან, ნებისმიერი მასშტაბური გამოგონება შესაბამისი მმართველობითი საქმიანობის შედეგია.

ინოვაციებისა და მენეჯმენტის ურთიერთკავშირთან მიმართებაში წინამდებარე ქვეთავში განხილული თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტები იძლევა იმის საშუალებას, რომ დასკვნის სახით ჩამოვყალიბოთ შემდეგი მოსაზრება -

ინოვაციური მენეჯმენტის უპირვილესი ბერკეტი არის ცოდნა და მმართველობით საქმიანობაში ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რაც აქცევს მას არა მხოლოდ გარკვეული ორგანიზაციების პრიორიტეტად, არამედ იგი არის მთელი მსოფლიოსა თუ ცალკეული ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების პრიორიტეტი, როგორც საჯარო ასევე, კერძო მენეჯმენტში.

1.2. ინოვაციები, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის

როდესაც გამომგონებელს და გრანდიოზული ინოვაციური პროექტების ავტორს - მილიარდელ ილონ მასკს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა თუ რა არის ცხოვრების აზრი, მან უპასუხა, რომ „ადამიანის ცხოვრების აზრი მდგომარეობს საკუთარი, ჩვენი ოჯახის წევრების, ახლობლების და ზოგადად კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში. თითოეული ჩვენგანისათვის ყოველი დილა უნდა იწყებოდეს ამაზე ზრუნვით, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს კარგავს ჩვენი არსებობა.“ ადამიანების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და მათი მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილება გახლავთ ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანი. ამ მიზნის ირგვლივ ერთიანდება თანამედროვე მსოფლიო, გლობალიზაციაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება და ამ პროცესში სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეებმა ვფიქრობ საკუთარ თავზე უნდა ავიღოთ გარკვეული პასუხისმგებლობები ამ კუთხით, რათა დაისვას სწორი კითხვები და აქტიურად დავუჭიროთ მხარი ინოვაციურ მენეჯმენტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს კვლევით-სამეცნიერო პროგრესთან, ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და მის წარმატებულ ფუნქციონირებასთან.

ფაქტია, რომ ნებისმიერი წარმატებული ინოვაციური პროექტი პირველ რიგში დადებითად აისახება იმ ქვეყნის ეკონომიკაზე, სადაც შეიქმნა იგი. აქედან გამომდინარე მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ქვეყნები ცდილობენ თავიანთი ეკონომიკა ეფუძნებოდეს ცოდნას და ამ მიმართულებით ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს სხვადასხვა სფეროში ადგილობრივ, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები იდგმება საქართველოში, კერძოდ ბოლო პერიოდში ინოვაციებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს ქვეყნის სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია და გარდა იმისა, რომ

ხდება ინოვაციების პოპულარიზება აღნიშნული ასევე, ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ნათქვამია, რომ საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე, შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზად კი სახელდება ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონე. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ამ ეტაპზე წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (სტრატეგია 2020...). სტრატეგიის თანახმად, კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობა ხელს უწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც თავის მხრივ მოიცავს, როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობას მათი სახელმწიფო დაფინანსების ზრდით, ასევე სხვა ინსტრუმენტების შემუშავებით. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებები იგეგმება ასევე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც თავის მხრივ, ქვეყანაში ინოვაციების მთავარი მამოძრავებლები არიან. კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე პრაქტიკაში დანერგვის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარი მიზნებია კომპანიების მიერ ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

ზემოაღნიშნულ სტრატეგიაში შემოთავაზებულია ერთგვარი პროგნოზი გლობალურ კონკურენციაში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების შესახებ,

რომელთა შესწავლის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნული პროგნოზი ამ დროისათვის უმეტესწილად გამართლებულია (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1 მიზნები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის

მიზნები	საბაზისო	2017	2020
ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი	68	55	45
გლობალური ინოვაციების ინდექსი	73	65	60
ფაქტორების მთლიანი პროდუქტიულობა (ყოველწლიური, %)	2.70	3.00	3.20
ახალი ბიზნესის ფორმირება (1000 სულ მოსახლეზე)	2.32	3.40	4.62
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი	44	40	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი	65	58	50

წყარო: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020;

ინოვაციური მენეჯმენტის კონტექსტში უნდა განვიხილოთ მთავრობის მიერ შემუშავებული კიდევ ერთი სტრატეგიული დოკუმენტი - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია (2016-2020 წლები), სადაც განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების, კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პრიორიტეტული ქმედებები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და ძირითადად აქცენტს აკეთებს სამეცნიერო-პრაქტიკული (R&D) კვლევების სახელმწიფო სტიმულირებასა და ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე:

- მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება;
- ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება;
- ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა;
- მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება;

- ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება (FabLabs; TechPark; BroadBand; კომპიუტერიზაცია);

ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, მცირე სამეწარმეო ბიზნესს სახელმწიფო ძირითადად ორი გზით ეხმარება: მთლიანად მცირე ბიზნესს და იმ საწარმოებს, რომლებიც უშუალო საინოვაციო საქმიანობას ახორციელებენ. ამ სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სამეცნიერო კვლევით საქმიანობასა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას ვენჩურული მეწარმეობის პირდაპირი დაფინანსების, დაზღვევის, შეღავათიანი დაკრედიტებისა და დაბეგვრის საფუძველზე (**აბრაღავა, 2014 : 35**).

მეწარმეობის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ინოვაციებს ექსპორტის ზრდის ხელშეწყობაში, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ შემოქმედებითი აზროვნება, ინოვაციური საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოებული ტექნოლოგიები პირდაპირ აისახება ქვეყნის ექსპორტის რაოდენობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ინოვაციური და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა შეიძლება იყოს ერთ-ერთი საუკეთესო გზა ექსპორტის ზრდისა.

ზემოაღნიშნული მიმართულებით პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შემოქმედებითობასა და ინოვაციებს, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია მომავალში ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებასთან. ხელშეწყობაში მოიაზრება საგადასახადო შეღავათები და საინვესტიციო კრედიტები, რომელიც გამოყენებული იქნება კვლევებისა და განვითარებისათვის. ეს კი გააძლიერებს ქვეყნის კონკურენტუნარიან უპირატესობას საერთაშორისო ასპარეზზე.

საქართველოში, ექსპორტის სტიმულირების ინოვაციურ ინსტრუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ ექსპორტის დაკრედიტება და დაზღვევა. ექსპორტის დაკრედიტება – გულისხმობს, სახელმწიფოს მიერ ექსპორტიორ კომპანიებზე გრძელვადიანი სესხის გაცემას შედარებით დაბალი %-ით ვიდრე ამას აკეთებენ კერძო ბანკები, აშშ-ში ექსპორტის დაკრედიტებას უზრუნველყოფს ექსპორტ-იმპორტის ბანკი ე.წ. Ex-Im Bank, რომელიც ჩამოაყალიბდა 1930-იან წლებში. აშშ-ში

გარდა აღნიშნული ბანკისა, ექსპორტს ხელს უწყობენ სხვა საბიუჯეტო დაწესებულებები, მათ შორის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, კერძო ინვესტიციების საზღვარგარეთ განხორციელების სახელმწიფო კორპორაცია. ასევე ექსპორტის წახალისების მიზნით აშშ-ში მოქმედებს ვაჭრობისა და განვითარების პროგრამა.

ზემოთ აღნიშნული Ex-Im Bank - ის მსგავსი საფინანსო ორგანიზაცია არსებობს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ინდოეთშიც (იგივე სახელწოდებით), გარდა ამისა ინდოეთში მოქმედებს ვაჭრობის განვითარების მართვის სააგენტო და სხვა დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში ექსპორტიორთა წახალისებას. დიდ ბრიტანეთში შექმნილია ექსპორტის ოფიციალური საკრედიტო სააგენტო UK Export Finance, რომელიც ხელს უწყობს საექსპორტო კომპანიებს და სთავაზობს დაბალპროცენტულ კრედიტს. იაპონიაში ექსპორტის წახალისებას 1985 წლიდან ახორციელებს სავაჭრო-საექსპორტო ორგანიზაცია (Japan External Trade Organization) რომელიც ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და იმდროისათვის საწყისი კაპიტალი დაახლოებით 2 მლრდ გახლდათ.

ექსპორტის სახელმწიფო დაკრედიტებას უნდა მოჰყვეს ექსპორტის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნებში ძირითადად ზემოთ აღნიშნული Ex-Im ბანკი ახორციელებს, ასევე შეიძლება ამ საქმიანობას სახელმწიფოში დამოუკიდებელი ორგანიზაცია ეწეოდეს. აღნიშნული დაწესებულება ექსპორტიორ კომპანიებს აზღვევს სხვადასხვა რისკებისაგან. მაგალითად, სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი ადგილობრივ ექსპორტიორებს უზღვევს:

- 1.ექსპორტის კრედიტებს;
- 2.დებიტორულ დავალიანებებს;
- 3.საწარმოო რისკებს;
- 4.ინვესტიციებს უცხოეთში,
- 5.აკრედიტივებს;
- 6.საბანკო გარანტიებს.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის დაკრედიტების ინსტიტუტი საქართველოში უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც მსოფლიოში აპრობირებული სხვადასხვა ინოვაციური ხერხებით ფინანსურ მხარდაჭერას გამოუცხადებს

პოტენციურ და არსებულ ექსპორტიორებს, ასევე დაეხმარება მათ რეკლამისა და პრომოციის მიმართულებით. ამ კუთხით აქტიურად მუშაობს საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელთა მთავარი მისიაც გახლავთ ქართული ბიზნესის მხარდაჭერა მოგების გაზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარებაში. აღნიშნული სააგენტოს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქართული ექსპორტის განვითარებისათვის (**Exim...**), (**Eximbanka...**).

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)) კონტექსტში. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ექსპორტის ხელშეწყობის და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციას. ამ მიზნით, 2016-2020 წლებისთვის საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში მოცემულია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
2. მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში;
3. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება;
4. მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში;
5. ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პოპულარიზაცია;
6. უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages);

მცირე და საშუალო ბიზნესის ზემოაღნიშნული მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში კომპანიებს უნდა დაეხმაროს გაზარდონ ექსპორტი,

მოახდინონ საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიცირება, მოიზიდონ დამატებითი ინვესტიციები, დაწერონ თანამედროვე ტექნოლოგიები და სამეწარმეო კულტურა, შესაბამისად, გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანები.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ განხილული თითოეული პრიორიტეტული მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებათა განხორციელება ქართული რეალობისათვის ინოვაციური პროექტებია და ხელს უწყობს მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და განვითარებას, როგორც ბიზნესში ასევე, სახელმწიფო სექტორში. გარდა ზემოაღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებებისა უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს მიერ ბიზნესში კვლევების ჩატარების დაფინანსება.

ბიზნესში ინოვაციების დანერგვის კუთხით საინტერესო შედეგები აჩვენა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2018 წელს ჩატარებულმა კვლევებმა. პირველი კვლევის პროცესში გამოიკითხა სხვადასხვა სექციებში ოპერირებადი აქტიური საწარმოს ხელმძღვანელობა ინოვაციურ პროდუქცია/მომსახურებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანი იყო აღნიშნული მიმართულებით 2013-2015 წლების მაჩვენებლების შედარება 2016 წლის მაჩვენებლებთან (იხ. ცხრილი N2) (პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად).

ცხრილი N2. ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება)

	2013-2015	2016
თქვენმა საწარმომ ბაზარზე შეიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი?	48,8%	13,1%
თქვენმა საწარმომ ბაზარზე შეიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება?	51,2%	13,9%

წყარო: ცხრილი ადაპტირებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

სტატისტიკის თანახმად, 2013-2015 წლებში (3 წელიწადში) გამოკითხული აქტიური საწარმოების დაახლოებით ნახევარმა ახალი საქონელი ან მომსახურება შეიტანა ქართულ ბაზარზე, ხოლო 2016 წელს, თუ შევადარებთ 2013-2015 წლების ანალოგიური მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულს შეიძლება ითქვას ამ კუთხით

სიტუაცია უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. იმისათვის, რომ მეწარმეები უფრო დაინტერესდნენ ცოდნაზე დაფუძნებული მენეჯმენტის განვითარებაზე საჭიროა ინოვაციების პოპულარიზება და მისი კონკურენტული უპირატესობების შესახებ უფრო მეტი ცოდნის გავრცელება სამეწარმეო სფეროში, რაც ისევ და ისევ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ არასამთავრობო დაწესებულებებთან ერთად. მთლიანობაში ინოვაციების ირგვლივ მიღებული ახალი ცოდნა, გაზრდის საწარმოთა მიერ ინოვაციებთან დაკავშირებულ აქტივობებს სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული მეორე კვლევის თანახმად, რომლის მიზანი იყო იმის გაგება, თუ საწარმოთა მხრიდან ძირითადად რა სახის აქტივობები ხორციელდება საქართველოში ინოვაციური პროდუქციის/მომსახურების შემუშავებისათვის, მიღებულ იქნა შემდეგი სურათი (იხ. ცხრილი N3):

ცხრილი N3. საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში, 2016 წლის მიხედვით (%)

აქტივობა	%
საკუთარი კვლევები და დამუშავებები	13,1%
გარე კვლევები და დამუშავებები	5,2%
მანქანა - დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა	21,5%
გარე ცოდნის შექმნა	8,6%
ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული სწავლება	13,8%
ინოვაციების შეტანა ბაზარზე	11,8%
დიზაინი	15,6%
სხვა	10,4%
სულ	100,0%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

N3 ცხრილზე მოცემული აქტივობები ქვეყანაში ძალიან მცირე ორგანიზაციის მიერ ხორციელდება და შესაბამისად ეს მაჩვენებლები ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას ქვეყნის მასშტაბით ამ კუთხით არსებულ ვითარებაზე. აგრეთვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ არამხოლოდ ციფრებსა და პროცენტულ მაჩვენებლებზე, არამედ ამა თუ იმ აქტივობის ხარისხსა და მიღებულ შედეგებზე. საწარმოთა მხრიდან განხორციელებული კვლევები, დამუშავებები ნამდვილად არის თუ არა

თანამედროვე, ან ის მანქანა-დანადგარები თუ პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებსაც შეიძენენ საწარმოები, ხომ არ არის უკვე მოძველებული განვითარებულ ქვეყნებში და ა.შ..

გერმანიის, ფინეთის, აღმოსავლეთ აზიის წარმატებული ეკონომიკების გამოცდილება ადასტურებს, რომ საწარმოთა ინოვაციური ძალისხმევის სტიმულირებასა და გაძლიერებაში გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მათი მთავრობების აქტიური როლი (მარგველაშვილი, 2016). აღნიშნული მხარდაჭერა პირველ რიგში გამოიხატება ფინანსური კუთხით, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან კრეატიულობის პოპულარიზების ღონისძიებები. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია შემოქმედებითი ნიჭი - უნარი, შესაძლებლობები გამოიგონოს ან გააუმჯობესოს რაიმე. შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანისათვის მნიშვნელოვანია თავისუფლება, ფართო არეალი, რათა მან შექმნას რაიმე ღირებული. თუ მას ეს თავისუფლება, ეს არეალი არ მიეცა, რომ განავითაროს თავისი იდეები მაშინ მინიმუმამდე ეცემა ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე ინოვაციური იდეების გენერირების და შემდგომში მათი განხორციელების შანსი.

რას ვგულისხმობთ თავისუფლებასა და ფართო არეალში და რა როლი აკისრია სახელმწიფოს ამ მიმართულებით, რათა თავისი ქვეყნის მოქალაქეებმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იფიქრონ „განსხვავებულად“, ინოვაციურად და შექმნან “არაფრისგან” მატერიალური ან სოციალური ეფექტის მქონე პროდუქცია თუ მომსახურება. სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ლეგიტიმური ბერკეტებით მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიაზე განავითაროს ეკონომიკის და მეცნიერების ის მიმართულებები, რომლებიც აინტერესებს მაღალშემოსავლიან მომხმარებელს და თანამედროვე მეცნიერებას. ეს არის უმთავრესი წინაპირობა ქვეყანაში არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და მისი წარმატებული პოზიციონირების, როგორც მსოფლიო ბაზარზე ასევე, კვლევით-სამეცნიერო ბაზაში. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულის განხორციელება ძალზედ რთული და მძიმე პროცესია პოსტკომუნისტურ ქვეყანაში იმდენად, რამდენადაც ინოვაციებზე ორიენტირებული მენეჯმენტი ერთგვარი ფსიქოლოგიური მოვლენაა კაცობრიობისათვის, რომელმაც მალევე მოახდინა ადაპტირება საბაზრო ეკონომიკასთან, რასაც საქართველო არცისე დიდი ხნის წინ ეზიარა. მიუხედავად ამისა

უკანასკნელ წლებში ნამდვილად იდგმება პოზიტიური ნაბიჯები ამ მიმართულებით და სახელისუფლო ორგანოების მიერ აქტიურად მიდის მოქალაქეებში ინოვაციური იდეების „აღმვრის“ პოლიტიკა, რაც ვფიქრობთ ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან რამდენიმე წლის წინ საქართველოს მოქალაქეების ბევრად ნაკლებმა რაოდენობამ იცოდა ინოვაციის ცნების არსი და ის თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის ინოვაციური მიდგომები, რაც პირდაპირ აისახება ქვეყანაში ინოვაციურ აქტივობაზე.

ინოვაციური შესაძლოა იყოს ნებისმიერი უბრალო იდეა, ამის ნათელი მაგალითია ახალგაზრდა ავსტრალიელი დედის ჯენიფერ ჰოლანდის იდეა მანათობელი ფირფიტის შექმნის შესახებ, რომელიც ხელს უწყობს ყელის გამოკვლევის ჩატარების გამარტივებას, როგორც ბავშვებისათვის ასევე ექიმებისა და მშობლებისათვის. იდეის დაპატენტება მოხდა 2015 წლის თებერვალში, პროდუქტი ბაზარზე კი ძალიან მალე 2015 წლის ოქტომბერში გავიდა. ინოვაციური პროდუქტი საკმაოდ სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს 140 ქვეყანაში. ენის მანათობელი ფირფიტის შექმნისა და რეალიზაციისათვის განხორციელდა, დაახლოებით, 150 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, წარმოებული პროდუქციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა კი შეადგინა 15 მილიონი აშშ დოლარი. ზემოაღნიშნული ფაქტი არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა თუ როგორ უნდა გავხადოთ მარტივი იდეა ინოვაციური, თანაც იმგვარად, რომ უმოკლეს ვადებში დაიმკვიდროს ადგილი კონკურენტუნარიან გარემოში და იყოს მისაღები მომხმარებლისათვის (Throatscope...).

ნებისმიერ პროცესს აქვს თავისი ეტაპები, რომლებიც უნდა გაიარო. რომელიმე ეტაპის გამოტოვების შემთხვევაში დიდი ალბათობით აღმოჩნდები ლაბირინთში, მოგიწევს უკან დაბრუნება და ახლიდან დაწყება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველომ საერთაშორისო არენაზე წარმატების მისაღწევად და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებლად უნდა გაიაროს ის გზა, რომელიც გაიარა შვედეთმა, ფინეთმა, შვეიცარიამ თუ სხვა ევროპულმა სახელმწიფომ. თუ ინოვაციის არსი არ გესმის მაშინ წარმოუდგენელია გესმოდეს ინოვაციისგან ეკონომიკური თუ სოციალური სარგებელის მიღების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე საჭიროა პირველ რიგში ინოვაციის არსი გაიგოს

ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ, ვფიქრობ სწორედ ამ ეტაპზე ვიმყოფებით ამ დროისათვის. ამის შემდეგ უნდა გავაცნობიეროთ საქართველოს ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით რომელ სფეროში შეგვიძლია წარმატების მიღწევა, რა მოგვცემს ეკონომიკურ სარგებელს და რა მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის. ეს ეტაპი განსაკუთრებით რთულია და სულ მალე ჩვენ აღმოვჩნდებით სწორედ ამ ეტაპზე. შესაბამისად, ვისაც უკვე ესმის ინოვაციის არსი უნდა იმუშავოს მის ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებაზე. უნდა მიმოიხედოს მის ირგვლივ და იფიქროს სიახლეებზე, იფიქროს იმაზე, რომ შევქმნათ ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით ისეთი პროდუქცია თუ მომსახურება, რომელიც მომხიბლველი იქნება, როგორც ჩვენთვის ისე, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთათვისაც. ვფიქრობ, მსგავსი მიდგომა თითოეული მოქალაქის ვალია.

ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვასა და პოპულარიზაციაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს. უფრო მეტიც, ეს მათი განვითარებისათვის აუცილებელიცაა ვინაიდან, მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ცვლილებები, მუდმივი სწრაფვა საბაზრო ურთიერთობების სრულყოფისაკენ, კომპანიების მიერ საწარმოო პროცესების აუცილებელი, ხშირ შემთხვევაში იძულებითი გარდაქმნები და მომხმარებელთა მოთხოვნების მრავალფეროვნება პირდაპირ ზემოქმედებს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ბაზარზე. აღნიშნული მდგომარეობა განაპირობებს ორგანიზაციაში ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების აუცილებლობას.

ამრიგად, საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვა-განვითარება ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური აღმავლობისათვის, რომელიც საბოლოო ჯამში მატერიალურ დოვლათს ქმნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ პროცესში ანუ ინოვაციური მენეჯმენტის პოპულარიზაციაში აქტიურად უნდა ჩაებას, როგორც ყველა სამთავრობო უწყება ასევე, არასამთავრობო თუ სამოქალაქო სექტორი და ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით სავსე დამოკიდებულებით. ყველა ხელმძღვანელმა პირმა მაქსიმალურად უნდა

უზრუნველყოს მასზე დაქვემდებარებულ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის ინოვაციებისადმი ინტერესის გაღრმავება. ასევე, პედაგოგებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა მოუწოდონ ახალგაზრდებს კრეატიულობისაკენ და შეეცადონ კარგად გაარკვიონ ისინი ინოვაციების არსში. უნდა გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია რომელიმე ჩვენგანის ერთმა იდეამ საფუძველი ჩაუყაროს ახალი კომპანიის ჩამოყალიბებას, რომელიც აწარმოებს საქართველოში (არა მხოლოდ საქართველოში) და თავის პროდუქციას თუ მომსახურებას გაყიდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში.

ფართოა საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის გავრცელების არეალი. ძირითადად, შეგვიძლია ჩვენი იდეები განვაფიქროთ მომსახურების სფეროში. ასევე, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მეტალურგიის, მშენებლობის, ჰიდრორესურსების, მედიცინის, ასევე მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებით და ა.შ.. წარმატების მისაღწევად, პირველ რიგში თითოეული მიმართულებით მოქმედ კომპანიებში უნდა ჩამოყალიბდეს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტები (R&D department), რომლებიც იმუშავენ ინოვაციების მიმართულებით.

თანამედროვე კომპანიები ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავენ ინოვაციური კვლევებისათვის, მაგალითად: კომპანია Volkswagen-მა ინოვაციურ სამუშაოებზე 2015-2016 წლებში დახარჯა (R&D spend) 28,5 მილიარდი აშშ დოლარი, Samsung-მა 26,8 მილიარდი აშშ დოლარი, Apple-მა 14,1 მილიარდი და ა.შ. (Swansonreed...) რას წარმოადგენს R&D (კვლევისა და განვითარების) ხარჯები? R&D ხარჯი არის კვლევითი საქმიანობის დაფინანსება. აღნიშნული კვლევის საბოლოო მიზანია არსებული პროდუქციის თუ მომსახურების გაუმჯობესება ან ახლის შექმნა. ინოვაციური პროდუქციის შექმნაზე ყველაზე დიდი თანხები იხარჯება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2016 წელს ამერიკაში სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ გაწეული R&D ხარჯები შეადგენს 512,5 მილიარდ აშშ დოლარს, რამაც იმ პერიოდისათვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (18,237 მილიარდი აშშ დოლარი) 2,81 პროცენტი შეადგინა. უკანასკნელ წლებში აშშ-ში მთლიანი R&D ხარჯის დაახლოებით 2/3 იხარჯება კერძო სექტორის მიერ, ხოლო 1/3 სახელმწიფო ორგანოების მიერ. მაშინ, როდესაც 1960-იან წლებში სახელმწიფო სექტორი ხარჯავდა

2/3, ხოლო კერძო კომპანიები კი 1/3 (GLOBAL 2017). აღნიშნულიდან გამომდინარე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამერიკაში იქმნება ყველაზე მეტი ინოვაციური პროდუქცია, რაც თავის მხრივ აისახება ქვეყნის მშპ-ზე. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების მშპ უკანასკნელ წლებში ყოველწლიურად დაახლოებით 560-600 მილიარდით იზრდება.

გარდა იმისა, რომ იქმნება ინოვაციური პროდუქცია თუ მომსახურება, იზრდება ქვეყნის მშპ, ამასთან ერთად პოპულარული ხდება ინოვაციებზე მუშაობა, რაც თავის მხრივ ავითარებს ადამიანთა ცნობიერებას და მეცნიერების როგორც ტრადიციულ ასევე, ახალ მიმართულებებს. ალბათ, ეს არის ის ფუნდამენტური საფუძველი, რაზედაც დგას მსოფლიოს უპირველესი ეკონომიკური და სამხედრო სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები. ლოგიკურია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რესურსები ბევრად აღემატება ჩვენი ქვეყნის რესურსებს და შესაბამისად არ იქნება სწორი ამ ორ ქვეყანას შორის პარალელის გავლება, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა ციფრებზე და გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებზე, არამედ ინოვაციური მენეჯმენტისადმი ქვეყნის დამოკიდებულებაზე და იმაზე თუ რაოდენ დიდი წარმატებები მოუტანა ამ დამოკიდებულებამ ქვეყანას.

გლობალური R&D ხარჯების უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 90 პროცენტს) ახორციელებს ე.წ. „Top 40“ ქვეყანა. მათ შორის საინტერესოა ისრაელის მაგალითი, რომელიც 40 ქვეყნიდან ერთ-ერთი ყველაზე ნაკლები მთლიანი შიდა პროდუქტის მქონეა, თუმცა პროცენტულად 2017 წელს მშპ-სთან მიმართებაში R&D ხარჯებით (4,1 %) მხოლოდ სამხრეთ კორეას (4,28 %) ჩამორჩებოდა. აღსანიშნავია, რომ ისრაელი ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობით. მშპ-ს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის შექმნის საფუძველი გახლავთ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული და განვითარებული ინოვაციური მენეჯმენტი, რომელიც საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენება, როგორც ეკონომიკურ სექტორში ასევე საჯარო უწყებებში. აღნიშნულ კონტექსტში გვურს მოვიშველიოთ ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის შიმონ პერესის მიერ 2015 წლის 13 მაისს კიევში საჯაროდ წარმოთქმული სიტყვებიდან ამონარიდი: „ჩვენ გავხდით სწავლულები. ისრაელის ყოველმა ფერმერმა და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ

განვითარებინა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე... და ჩვენ განვავითარეთ ის. ეს იყო პირველი სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელიც ჰაი-ტექზე (მაღალ ტექნოლოგიაზე) დაფუძნდა. მე თვითონ მაშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეტარებინა ირიგაცია... ცხელი წყლით ვრწყავდით ხეებს და გვეგონა, რომ ისინი ასე უკეთ გაიზრდებოდნენ. ჩვენდა გასოცრად, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობა არამხოლოდ ნიადაგზე, არამედ ჰაი-ტექზე დაფუძნებულიც მუშაობს“ (შიმონ პერესი...) (იხილეთ დანართი N1 და N2).

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის აუცილებელია სახელისუფლო ორგანოების მიერ აღნიშნული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სხვადასხვა სივრცეების შექმნა, სადაც ადამიანს შეეძლება განავითაროს თავისი ფანტაზია და უახლოესი ტექნოლოგიების დახმარებით იდეა რეალობად აქციოს. მსგავსი სივრცეა ე.წ. „ფაბლაბი“. ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომელსაც აქვს იდეა და სურს მისი განხორციელება. ის ყველას აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე, ამ სივრცეებში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა, მომავლის პროფესიების ფორმირება და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზება (ფაბლაბი...).

ფაბლაბებთან ერთად ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წელს გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი), რომელიც უზრუნველყოფს როგორც სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე ხელს შეუწყობს სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პროდუქტამდე. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაძლებლობა ექნება მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან მის პროტოტიპად ჩამოყალიბებასა და ბიზნესად განვითარებაში. ტექნოლოგიური პარკის საშუალებით, სახელმწიფო წახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა (სააგენტო... A).

საქართველოში ამ ეტაპზე ინოვაციური მენეჯმენტის თვალსაზრისით ყურადღებას შედარებით იპყრობს არა კერძო კომპანიები არამედ, სახელისუფლო ორგანოები. ამ კუთხით უკანაკნელ წლებში შეიძლება ითქვას არაპროპორციულად ვითარდება ეს ორი ურთიერთგანსხვავებული სექტორი. ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა საჯარო მენეჯმენტი, რასაც ვერ ვიტყვით კერძო ორგანიზაციებზე, რომლებიც ძირითადად ინარჩუნებენ ტრადიციულ მმართველობით სტილს. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილე 300-ზე მეტი რესპოდენტის დაახლოებით 90 პროცენტს უჭირს ქართული ინოვაციური კომპანიისა და ინოვაციური მენეჯერის დასახელება, რაც განამტკიცებს ზემოხსენებული მსჯელობის სისწორეს.

რაც შეეხება იმ „სტარტაპებს“, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოსგან თანხები და დაიწყეს ინოვაციებზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება უნდა ითქვას, რომ უმეტესი მათგანის მიერ შემუშავებულ პროდუქციაზე მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არსებობს, თუმცა სწორი მენეჯმენტის და ფინანსური სახსრების ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში მათ ნამდვილად აქვთ შანსები გარკვეული დროის შემდეგ (თუ ამას გაუძღვები) ბაზარზე საკმაოდ „ავტორიტეტი“ მოიპოვონ და განავითარონ ბაზრის ის სექტორი, სადაც ისინი იფუნქციონირებენ. სამეწარმეო სექტორში ქართული ბაზრის პირობებში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად მიგვაჩნია მომხმარებელთა ტრადიციული ბუნება, რაც გამოწვეულია მათში ჩამოყალიბებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

ამრიგად, თუ ჩვენ გვსურს ქვეყანაში მიღწეულ იქნეს სწრაფი ეკონომიკური ზრდა აუცილებელია საქართველოს ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და სხვა მიმართულებების მქონე ორგანიზაციებში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს მათ მიერ ინოვაციური პროცესების შედეგად, ახალი/გაუმჯობესებული პროდუქციისა თუ მომსახურების შემუშავებას.

1.3 . ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები

ბოლო საუკუნეებში განხორციელებულმა ტექნოლოგიურ, მეცნიერულ თუ სხვა მიღწევებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მოქალაქეთა აზროვნების ტრანსფორმაცია და დღეისათვის ფირმების მიერ მომხამრებელთა გაკვირვება ძალზედ რთულ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშულიდან გამომდინარე იზრდება მენეჯმენტის გამოწვევათა არეალი და ორგანიზაციების ერთ-ერთი გამოსავალი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად იქცა სწორედ ინოვაციებზე დაფუძნებული მმართველობითი საქმიანობა - ინოვაციური მენეჯმენტი, რომლის გამოწვევათა არეალი ძალზედ ფართოა.

ალბერტ ეინშტეინისა და ერნესტ რეზერფორდის გარდა ალბათ ძალიან ცოტა ადამიანი თუ იფიქრებდა გასული საუკუნის 10-იან წლებში, რომ დაახლოებით 25 წელიწადში შეიქმნებოდა მასშტაბური ატომური იარაღი. თუ გავავლებთ ქრონოლოგიურ პარალელს წინა საუკუნის ანალოგიურ პერიოდთან მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ მიმდინარე საუკუნესაც ექნება ჩვენთვის უამრავი „სიურპრიზი“ და ჩვენს მოლოდინებს ბევრად გადააჭარბებს ამ საუკუნის მიღწევები, რომლებიც საგულისხმოა, რომ ძირითადად ტექნოლოგიური მიმართულებით იქნება და ხელს შეუწყობს გლობალური ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ინოვაციები გახლავთ უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მსოფლიო მასშტაბით წარმატებული ეკონომიკური სისტემები აქცენტს აკეთებენ ინოვაციურ ორგანიზაციებზე, ვინაიდან სწორედ მათგან ელიან ყველაზე დიდ შედეგებს, გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით. ინოვაციებზე ორიენტირებული ორგანიზაციები ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისათვის. განვიხილოთ მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები ინოვაციების კონტექსტში (იხ ცხრილი № 4.)

ცხრილი № 4 მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები

კონტექსტის ცვლილება	ინდიკატორები
„ცოდნის წარმოება“	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ყოველწლიურად სახელმწიფო თუ კერძო სექტორის მიერ დაახლოებით 1500 მილიარდი დოლარი იხარჯება ახალი ცოდნის შექმნისათვის.
ცოდნის გლობალური გავრცელება	გლობალიზაციამ განაპირობა ცოდნის გავრცელება კიდევ უფრო ფართო ტერიტორიებზე. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სწრაფად განვითარებად ბაზრებზე, როგორცაა BRIC (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი). შესაბამისად, არსებობს საჭიროება იმისა, რომ მოძიებული იქნეს ინოვაციური შესაძლებლობები, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს ბევრად უფრო ფართო სფეროებს. ამის ნათელი მაგალითია, Microsoft- ის მესამე უდიდესი R & D ცენტრი შანხაიში, სადაც დასაქმებულია ათასობით მეცნიერი და ინჟინერი.
ბაზრის დივერსიფიკაცია	ტრადიციულად მსოფლიო ბიზნესი მიმართულია, დაახლოებით, ერთი მილიარდი ადამიანის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ საკმარისი ფინანსური შესაძლებლობის მქონე სუბიექტებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსოფლიო მოსახლეობა უკვე 7 მილიარდზე მეტს შეადგენს და მსოფლიო ბაზარიც კონცენტრირებულია გაფართოვდეს ისეთ არატრადიციულ ტერიტორიებზე, როგორცაა აფრიკა, ლათინური ამერიკა, აზია. შესაბამისად, ახალი მოსახლეობისათვის საჭიროებებისა და შეზღუდვების გაგება ეს არის მსოფლიო ბაზრის გამოწვევები.
ბაზრის დანაწევრება	გლობალიზაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზრისა და სეგმენტის სპექტრი, რის შედეგადაც დღეისათვის იგი ფართოდ გავრცელებული და მრავალფეროვანია. გლობალიზაცია აქტიურ ზეწოლას ახდენს ინოვაციურ კვლევებზე, რათა მან მოიცვას კიდევ უფრო მეტი ტერიტორია. იგი უმეტესწილად მისწრაფის ტრადიციული გამოცდილებიდან შორს მყოფი ტერიტორიებისაკენ, რომლებსაც გააჩნია მნიშვნელოვნად განსხვავებული საჭიროებები და მოლოდინები.
საბაზრო ვირტუალიზაცია	ფართომასშტაბიანი სოციალური ქსელების არსებობა კიბერსივრცეში წარმოადგენს გამოწვევას საბაზრო კვლევისათვის. მაგალითად, სოციალური ქსელი „Facebook“-ი თავისი მილიარდი მომხმარებელით მსოფლიოში მესამე უდიდესი ქვეყანაა. ასევე „Second Life“-ს ჰყავს 6 მილიონზე მეტი „რეზიდენტი“, ხოლო „World of Warcraft“-ს ჰყავს 10 მილიონზე მეტი მოთამაშე.
აქტიური მომხმარებლების როდენობის ზრდა	უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ მომხმარებელი ეს არის ინოვაციის წყარო. მაგალითად, მომხმარებელი „Youtube“-ზე, ყოველდღიურად, დაახლოებით, 100 მილიონ ვიდეოზე მეტს უყურებს, ასევე დღის განმავლობაში აქტიური მომხმარებლების მიერ იტვირთება 70 000 ახალი ვიდეო.
მზარდი შემფოთება	მსოფლიოში არსებული ენერჯისა და რესურსების გამოყენება დღევანდელ დღეს წარმოადგენს მნიშვნელოვანი კვლევის ობიექტს. მოსახლეობის ცნობიერების ამაღება გარკვეულ შემთხვევაში იწვევს უარყოფით შედეგებს. მაგალითად კლიმატის ცვლილებას. მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს ეს პრობლემა და ცდილობს შეინარჩუნოს არსებული გარემო პირობები.
ტექნოლოგიისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება	ინფორმაციებისა და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზრდამ ინტერნეტ სივრცეში განაპირობა ახალი სოციალური ქსელების შექმნა. ამავედროულად სიმულაციის ზრდა იჩენს თავს, რაც ართულებს მწამოებლისა და მომხმარებლის გამიჯვნის შესაძლებლობას.

წყარო: Tidd 2014

ცხრილი №4-ზე განხილული თანამედროვე მენეჯმენტის გამოწვევებთან გამკლავების ერთ-ერთი უმთავრესი გზა სწორედ ინოვაციური პროცესებია. რა გარდაქმნის კომპანიას ინოვაციურად, ანუ რა არის ინოვაციური მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები, რას უნდა აკმაყოფილებდეს ინოვაციური კომპანია. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში კომპანიისათვის ინოვაციურობის, როგორც თვითმიზნად დასახვა ამტკიცებს თანამედროვე მკვლევარი ჯეფრი ბაუმგარტნერი. იგი თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ ორგანიზაცია იყოს ინოვაციური მას უნდა ჰქონდეს 7 აუცილებელი მახასიათებელი, რომელთაც შემდგომ თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ (Management...):

1. უნიკალური და რელევანტური სტრატეგია;
2. ინოვაცია, როგორც სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალება;
3. ინოვაციური მენეჯერები არიან ლიდერები;
4. ინოვატორი ადამიანების ჩამოყალიბება;
5. წარუმატებელი იდეების დაშვება/განხორციელება;
6. ურთიერთნდობის გარემო;
7. თანამშრომლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა;

ინოვაციების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში უფრო და უფრო იზრდება. ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, გაარღვიოს ბაზრის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მოწინავე კომპანიები არ იშურებენ ფინანსებს, კვლევის და განვითარების კომპონენტის გაძლიერებისთვის. თუმცა, როგორც აღინიშნა ინოვაციები მნიშვნელოვანია არამხოლოდ კომპანიებისთვის, რათა გაზარდონ საკუთარი მოგება, არამედ ქვეყნებისა და საზოგადოებისთვისაც. ინოვაციების არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს.

ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 12 წელია რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება. გლობალური ინოვაციის ინდექსი 7 მთავარი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

- ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო; მარეგულირებელი გარემო; ბიზნეს გარემო.);

- ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება; უმაღლესი განათლება; კვლევა და განვითარება.);
- ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; ზოდადი ინფრასტრუქტურა; ეკოლოგიური მდგრადობა.);
- ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები; ინვესტიციები; ვაჭრობა; კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი);
- ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე; ინოვაციისათვის საჭირო კავშირების არსებობა; ცოდნის მიღების შესაძლებლობა.);
- ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა; ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში; ცოდნის გავრცელება.);
- შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები; შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება; ელექტრონული შემოქმედებითობა), (იხილეთ დანართი N3).


2018 წლის რეიტინგით, გლობალური ინოვაციის ინდექსის სიის სათავეში შვეიცარიაა, მას მოსდევს ჰოლანდია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ და სინგაპური. რაც შეეხება საქართველოს, 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 59-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი 5 პოზიციით გაუმჯობესდა (2016 წელს ქვეყანა აღნიშნულ რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებდა). აღნიშნული კომპონენტებიდან, საქართველოს შედარებით ძლიერ მხარეებს წარმოადგენს: ბიზნესგარემო და ბაზრის განვითარების დონე, ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენს: განათლება კვლევა და განვითარება, ინვესტიციები და დასაქმებულთა ცოდნის დონე.

თუ გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს წლების მიხედვით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2016 წლიდან მოყოლებული საქართველოს რეიტინგი მზარდი დინამიკით ხასიათდება ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს დაბალი შედეგი აქვს. ქვეყანას მაღალი შედეგი აქვს ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დიდი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტი გამოირჩევა. 2018 წლის მონაცემებით, წინა წელთან

შედარებით ყველაზე დიდი წარმატება ბაზრის განვითარების კომპონენტში გვაქვს. (იხ. დიაგრამა N 1).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგი 2018 წელს წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ვინაიდან, ქვეყანას დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, რაც გრძელვადიან პერიოდში ინოვაციური განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს. კერძოდ კი ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ასევე, ცოდნისა და ტექნოლოგიების კომპონენტებში. (იხ. დიაგრამა N 1)

დიაგრამა N 1. საქართველოს გლობალური ინოვაციების ინდექსი 2016-2018 წლებში



წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

ზემოთაღნიშნულ კვლევას მსოფლიოს ბიზნეს სკოლა პარტნიორებთან ერთად ყოველწლიურად ატარებს. გარდა აღნიშნული ორგანიზაციისა ინოვაციებთან დაკავშირებით კვლევებს სისტემატიურად აწარმოებენ მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციები: მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი და სხვა. ასევე, ცნობილი სააგენტოები მათ შორის აღსანიშნავია „ბლუმბერგის“ სისტემა.

2016 წელს ინოვაციებისადმი ინტერესის წარმოუდგენელი ზრდა შეინიშნებოდა მსოფლიოს მასშტაბით. უამრავი ადამიანი მუშაობდა ინოვაციებზე, რათა დადებითი

გავლენა მოეხდინა არამხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ ეკონომიკაზე. ხოლო ქვეყნები სულ უფრო მეტ თანხებს ხარჯავდნენ ინოვაციური კვლევებისა და განვითარების მიმართულებით. გთავაზობთ ტოპ 10 ქვეყანას, რომლებმაც ყველაზე მეტი თანხები გაიღეს ამ კუთხით 2016 წელს (იხ. ცხრილი № 5).

ცხრილი № 5. ქვეყნები, რომლებიც სულ უფრო მეტ თანხებს ხარჯავენ ინოვაციური კვლევებისა და განვითარების მიმართულებით

N	ქვეყანა	მშპ (მილიარდი აშშ \$)	R&D ხარჯის წილი მშპ-ში %	მთლიანი R&D ხარჯი (მილიარდი აშშ \$)
1	აშშ	18 237,0	2,81 %	512,46
2	ჩინეთი	20 669,7	1,94 %	400,99
3	იაპონია	4 854,2	3,55 %	172,32
4	გერმანია	3 906,3	2,88 %	112,5
5	სამხრეთ კორეა	1 898,9	4,26 %	80,89
6	ინდოეთი	8 570,3	0,85 %	72,85
7	საფრანგეთი	2 681,4	2,24 %	60,06
8	რუსეთი	3 688,3	1,5 %	55,32
9	დიდი ბრიტანეთი	2 727,2	1,75 %	47,73
10	ბრაზილია	3 086,7	1,2 %	37,04

წყარო: (GLOBAL 2017...)

როგორც ცხრილ N 5-ზე ჩანს ტოპ ათეულში ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი საკმაოდ დაბალია, თუმცა უნდა ითქვას, რომ კვლევებისა და ინოვაციების ფარგლებში ევროკავშირი ერთ-ერთი ლიდერია. ევროკავშირი აფინანსებს მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური კვლევების 24 პროცენტს, ხოლო მსოფლიო გამოგონებათა დაპატენტებაში 32 პროცენტი ევროკავშირის მაცხოვრებლების გახლავთ, ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირში ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5-6 %. ჩატარებული სამეცნიერო კვლევების მაღალი სტანდარტები, განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული სამეცნიერო ცოდნა და გამოცდილება გახლავთ ის უპირატესობები, რამაც განაპირობა ზემოთ აღნიშნული შედეგები (Global 2017...).

ევროკავშირი აფინანსებს სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც ახდენენ ინოვაციური სფეროს პოპულარიზაციას. მათ შორის აღსანიშნავია, „ჰორიზონტი 2020“, ეს არის უმსხვილესი პროგრამა ევროკავშირის ისტორიაში, რომელიც აფინანსებს ინოვაციების შემუშავების კვლევებს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 80 მილიარდ ევროს, გაწერილია 7 წელზე. პროგრამა გახლავთ მარტივად გასაგები და მოხსნილია ყოველგვარი ბიუროკრატიული ბარიერები, რათა მსურველებმა მარტივად შეძლონ მათი კვლევებისათვის საჭირო თანხების მიღება. აღნიშნული პროგრამა განკუთვნილია, როგორც კერძო პირებისათვის, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, მათ შორის უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის (**ჰორიზონტი 2020**).

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნაში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სიმრავლე. საქართველოს კანონში „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ განმარტებულია, რომ სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (ინსტიტუტი, ცენტრი, ლაბორატორია და სხვა) შეიძლება არსებობდეს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი – სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტრუქტურული ერთეული. აღნიშნულ კანონში ცალკე მუხლად არის განსაზღვრული (მუხლი 21) ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც:

1. სახელმწიფო ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქმიანობენ, აძლევს ინოვაციური საქმიანობის დაცვის გარანტიას, მიუხედავად საკუთრების ფორმისა.

2. სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ინსპექციები, სხვა სახელმწიფო უწყებები ქმნიან მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დარგობრივ ფონდებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, აუცილებლობის შემთხვევაში – რეგიონულ ფონდებს. ამ ფონდების დებულებას ამტკიცებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაცია.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან შექმნან მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერთა მხარდამჭერი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (საქართველოს კანონი ...1994).

ასევე, ინოვაციების შემუშავებაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ ცოდნას და ხელს უწყობენ მის გავრცელებას სტუდენტების მეშვეობით (Salter...2001 : 509-532). სალტერსა და მარტინს თავიანთ ნაშრომში აღწერილი აქვთ ექვსი შესაძლებლობა, რითიც უნივერსიტეტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ინოვაციურ გარემოზე:

- ცოდნის მოცულობის ზრდა;
- კვალიფიციურ კურსდამთავრებულთა მომზადება;
- ახალი ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება;
- არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე მუშაობა;
- პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების გაზრდა;
- ახალი ფირმების შექმნა;

თანამედროვე მკვლევარები გერტლერი და ვინოდრაი ხაზს უსვამენ უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობას. ისინი ამბობენ, რომ უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს ახალგაზრდა ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი გაგებით, რათა შექმნას ადამიანური კაპიტალი, რომლის წარმომადგენლებიც იქნებიან საუკეთესო მოქალაქეები და საზოგადოების გამორჩეული წევრები. სწორედ, ეს ადამიანები არიან მომავალი ინოვაციური მენეჯერები (Gertler... 2005 : 293-315). აქედან გამომდინარე, ვფიქრობ ქართული უნივერსიტეტები დიდი გამოწვევების წინაშე დგანან. თითოეულმა უნივერსიტეტმა უნდა შექმნას ისეთი გარემო სტუდენტისათვის, რომელშიც იგი კომფორტულად იგრძნობს თავს და განავითარებს თავის ნიჭს. რიგ უნივერსიტეტებში, მაგალითად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წელს ჩამოყალიბდა „ფაბლაბი“, სადაც ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მივიდეს და გამოიყენოს მაღალტექნოლოგიური დანადგარები თავიანთი იდეების განხორციელებისათვის, ასევე იგეგმება ტექნოპარკის გახსნა. მსგავსი გარემო შეიძლება ითქვას აიძულებს

სტუდენტს იფიქროს განსხვავებულად და იყოს კრეატიული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

დიდია პროფესორ-მასწავლებელთა როლი ახალგაზრდებში ინოვაციური ბიზნესისადმი ინტერესის გაღვივებაში (Scott, 2008 : 452-458). აღსანიშნავია, რომ 1940–50-იანი წლების განმავლობაში სტენფორდის უნივერსიტეტის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, ფრედერიკ ტერმანი, საკუთარ სტუდენტებს გამუდმებით უბიძგებდა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საკუთარი ბიზნესი დაეარსებინათ. სტუდენტების უმეტესობა დეკანის რჩევას ითვალისწინებდა და შედეგად, სტენფორდის უნივერსიტეტის კამპუსის გარშემო სტარტაპების დიდმა რაოდენობამ დაიწყო გამოჩენა, მათ შორის ისეთი მაღალტექნოლოგიური კომპანიები, როგორცაა „ჰიულეტ-პაკარდი“ (HP) და „ვარიან ასოციეიტს“ (Varian Associates). სწორედ აქედან იღებს სათავეს სილიკონის ველი, ფრედერიკ ტერმანს ხშირად „სილიკონის ველის მამასაც“ კი უწოდებენ ამ ტექნოლოგიურ-ეკონომიკური ცენტრის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის. დღეისათვის, სილიკონის ველზე განთავსება სტრატეგიულ მიზნად იქცა ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანიებისათვის. აქ თავს იყრის ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Facebook, Google, Cisco, Yahoo!, Oracle, Apple, Adobe Systems, eBay, Intel, Twitter და ა.შ. (Centre...).

როდესაც ორგანიზაციის მენეჯმენტი გადაწყვეტს ინოვაციური პროცესების წარმართვას იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სხვადასხვა გაუგებრობები, საჭიროა გარკვეულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მათ შორის:

- რატომ და როგორ იცვლება? თუ ორგანიზაცია არ არის მზად ცვლილებებისათვის, თუ კონკრეტულად გაწერილი არა აქვს რა და როგორ უნდა შეიცვალოს, მაშინ შესაძლებელია ინოვაციურმა პროცესებმა სავალალო შედეგები გამოიწვიოს;

- რა უნდა შეიცვალოს? ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნები, შესაძლებლობები და მოსალოდნელი რისკები;

- ინოვაციის გაგება. ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ ინოვაციური პროცესის მიმდინარეობაში კარგად უნდა ითავისებდნენ ინოვაციის არსს, მათ ფუნქციას ამ პროცესში და საბოლოო მიზანს. მაგალითად: ჰოვმა შექმნა პირველი საკერავი მანქანა მაგრამ ეს პროდუქცია ზინგერთან ასოცირდება იმიტომ, რომ მან ეს

პროდუქცია ინოვაციად აქცია თავისი კომპანიისათვის. ასევე, თანამედროვე ეპოქაშიც იქმნება უამრავი სიახლე მაგრამ მთავარი გამოწვევა ორგანიზაციებისათვის არის ის თუ ვინ შეძლებს ყველაზე მეტი ადამიანის მოხიბლვას თავისი ინოვაციებით.

- ინოვაციური კულტურის მშენებლობა; მენეჯერები მუდმივად უნდა ცდილობდნენ თავიანთ ორგანიზაციებში გაზარდონ ინტერესი ინოვაციებისადმი. თანამშრომელთა ყოველდღიურ საქმიანობას „სოუნდტრეკით“ უნდა გასდევდეს სიახლეებზე ფიქრი. ეს გამოიწვევს თანამშრომელთა ინტელექტუალურ დახვეწილობას და მათ გონებრივ შესაძლებლობების გაფართოებას, რასაც ისევ და ისევ მოახმარენ ორგანიზაციას.

- კვლევების გაგრძელება; ორგანიზაციაში ყველას კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებული ის, რომ ინოვაციების დანერგვა არ არის ერთჯერადი მოვლენა არამედ, ინოვაციურ კვლევებს აქვს სისტემატიური ხასიათი და შესაძლებელია წლების შემდეგ მიაგნო იმას, რაც კონკურენტებთან უპირატესობას მოგაპოვებინებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი ინოვაციური კვლევა ფინანსურ უზრუნველყოფას მოითხოვს.

- ღრმა ჩართულობა ინოვაციაში; თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები და ადამიანის მოთხოვნები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია ღრმად ჩაერთოს ინოვაციებში და მომხმარებელს შესთავაზოს ახალი პროდუქცია თუ მომსახურება;

- კომუნიკაციების მართვა; კომუნიკაციების მართვა ძალიან ნიშვნელოვანია ნებისმიერი ინოვაციური პროცესის მიმდინარეობისას (**Bessant, 2003 B**).

ინოვაციური მენეჯმენტის გამოწვევების ძირითადი ამოცანაა შექმნას და გააძლიეროს ქცევის ნიმუშები, მოდელები, ინოვაციისათვის დადგენილი წესების იდენტიფიკაციისა და დამტკიცების გზით.

როგორც ზემოთ აღინიშნა მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა გლობალური პრობლემები. ისეთი, როგორცაა კლიმატის ცვლილება, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა. აღნიშნულთან დაკავშირებით 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169

ამოცანას, რომელიც ვფიქრობთ ინოვაციური მენეჯმენტის გარდუვალობის ერთგვარი წინაპირობაც გახლავთ.

ახალი მიზნები წარმოადგენენ მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები უნივერსალური გამოყენებისანი არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს (გაერო...).

ამრიგად, თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის გამოწვევები საკმაოდ მრავალფეროვანია. შესაბამისად, თითოეული ინოვაციური პროცესი უნდა დაიგეგმოს ამ გამოწვევების გათვალისწინებით, რათა მაქსიმალურად პროგნოზირებადი გახდეს ამა თუ იმ ინოვაციის სოციალური და ეკონომიკური ეფექტი. ამასთან, გლობალური სამყაროს სოციალური გამოწვევები, როგორცაა: ურბანიზაცია, დიגיტალიზაცია, კლიმატის ცვლილება, მოსახლეობის გადაბერება, ეპიდემიები და სხვა, თანამედროვე ორგანიზაციებს უყენებს მოთხოვნას დანერგონ ინოვაციები და გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები თავიანთი პროდუქციისა თუ მომსახურების წარმოების პროცესში.

მსოფლიოში არაერთი წარმატებული ორგანიზაცია არსებობს, რა განაპირობებს მათ გამორჩეულობას? რა თქმა უნდა, თავად წარმოებული პროდუქცია თუ სერვისი, მომხმარებელი, ლიდერები, მაგრამ თუ უფრო ღრმად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათი წარმატების ფუნდამენტური საფუძველი ინოვაციური მენეჯმენტია, ვინაიდან ინოვაციური მენეჯმენტი არის ორგანიზაციაში მმართველობით, მომსახურების თუ წარმოების პროცესში გარკვეული სიახლეების დანერგვის წინაპირობა.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო ბაზარზე არსებული კომპანიები უპირატესობას ინოვაციურ მენეჯმენტს ანიჭებენ, რადგან მენეჯმენტის პრინციპებისა და პროცესების ინოვაციას შეუძლია შექმნას გრძელვადიანი ხელსაყრელი პირობები და ამავდროულად კონკურენტუნარიან გარემოში მოახდინოს სასიკეთო ცვლილებები. ინოვაციური მენეჯმენტი ქმნის გრძელვადიან უპირატესობას, თუ იგი შეესაბამება კანონმდებლობას და თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ

სტანდარტებს, ასევე თუ სისტემურია და წარმოადგენს მეთოდებისა და პროცესების ერთობლიობას.

ორგანიზაციაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერიოდში რიგი პრობლემები იჩენს თავს, თუმცა მიიჩნევა, რომ რაც უფრო დიდია პრობლემა მით უფრო მეტია ინოვაციური მენეჯმენტის შესაძლებლობაც. ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა, რომელიც თავს იჩენს ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერიოდში, მოითხოვს მენეჯმენტის პრინციპებისადმი ახლებურ მიდგომას.

თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკა, ძირითადად, დაფუძნებულია ტრადიციული პრინციპების კომპლექსურ ერთობლიობაზე, როგორცაა მაგალითად, დაგეგმვა, კონტროლი, კოორდინაცია. აღნიშნული პრინციპები დღემდე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, თუმცა პერიოდულად საჭიროებს განახლებას, რათა გაიზარდოს ორგანიზაციის ეფექტიანობა. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი დიდი გენიოსი ალბერტ ეინშტეინის ციტატის თანახმად, „თუ ყველაფრის კეთებას გააგრძელებ ისე, როგორც აქამდე აკეთებდი, მაშინ მიიღებ იმას, რასაც აქამდე ღებულობდი“. ანუ ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როდესაც საჭიროა გარკვეული ცვლილებები, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრებისეული მიღწევები, ასეთივე აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე ორგანიზაციებიც და ხშირ შემთხვევაში უკვე სახელმწიფოები.

ამრიგად, ორგანიზაციის ინოვაციური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა უკეთესი მომსახურებისა და პროდუქციის წარმოება და მომხმარებლის სურვილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება მინიმალური დანახარჯებით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ორგანიზაციის ეკონომიკური წარმატების მიღწევასა და კონკურენციაში პოზიციების გაუმჯობესებას. ამასთან, მმართველობით საქმიანობაში დანერგილი ინოვაციური პროცესები შესაბამისობაში უნდა იყვნენ თანამედროვე მენეჯმენტის გამოწვევებთან, რომლებიც საკმაოდ მრავალმხრივია და უმთავრეს აქცენტს უნდა აკეთებდეს მომავალზე.

თავი II. ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკა და მისი მართვის თანამედროვე მიდგომები

2.1. ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები

ნაშრომის პირველ ნაწილში აღინიშნა, რომ 1942 წელს ჟოზეფ შუმპეტერმა გაამახვილა ყურადღება ორგანიზაციებისათვის ინოვაციების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე. თავდაპირველად იმდროინდელი მეცნიერების ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა ამ მოსაზრებას, ვინაიდან საზოგადოება ბოლომდე არ იყო გარკვეული ინოვაციების არსში, თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულ ტერმინში. დაახლოებით 1980-იან წლებში უკვე ნათელი გახდა, რომ ინოვაციები გულისხმობს არამარტო ახალ იდეებს, არამედ მათ რეალიზებას/განხორციელებას, ეს კი მოითხოვს არამარტო შესაბამის ცოდნას და მენეჯერულ უნარებს, არამედ ამა თუ იმ ორგანიზაციის გარკვეულ პოლიტიკას აღნიშნული მიმართულებით, რათა პროცესი წარიმართოს თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად.

მმართველობითი თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება. პირველი ეს გახლავთ არსებული ინოვაციური პოლიტიკის რამდენადმე შეცვლა და მეორე - ახალი პოლიტიკის შემუშავება და ძველის უგულებელყოფა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ქართულ რეალობაში ორგანიზაციების დაახლოებით 95 პროცენტს საერთოდ არ გააჩნია ინოვაციური პოლიტიკა. შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა.

ინოვაციურ პოლიტიკაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ე.წ. ინოვაციების წინარე ეტაპზე. მიიჩნევა რომ ნებისმიერი ინოვაციური პროცესის წინაპირობა ეს არის „საექვო“ წინარე ეტაპი (FEI), რომელიც ფაქტიურად მოიცავს ყველა ფაზას დაწყებული იდეის შემუშავებიდან დამთავრებული ინოვაციური პროდუქტის შექმნამდე. ეს ეტაპი საკმაოდ მნიშვნელოვანია ინოვაციური პროცესისათვის, ვინაიდან ამ ეტაპზე ხდება ყველა ძირითადი საკითხის გარკვევა და დამუშავება. ინოვაციის წინარე ეტაპი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შესაძლებლობა მთლიანი ინოვაციური პროცესის განვითარებისათვის. ორგანიზაციების

ხელმძღვანელები აღნიშნავენ რომ ეს არის ეტაპი, სადაც ინოვაციური პროცესების ყველაზე სუსტი მხარეების გამოვლინება ხდება, მათ შორის შეიძლება იყოს:

- ახალი იდეების ანულირება რომელიც არ შეესაბამება ორგანიზაციის სტრატეგიას;

- ადამიანური რესურსების ნაკლებობა, რომლებიც შეძლებენ მუშაობას ახალ პროექტზე. ვინაიდან ადამიანური რესურსები რომელიც კომპანიას გააჩნია გამოყენებულია სხვა უკვე არსებული პროექტებისათვის;

- კონკურენტუნარიან ბაზარზე ახალი პროდუქციის დანერგვის შეფერხება;


ინოვაციის წინარე ეტაპი ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს ქაოტური, არასტრუქტურული და არაპროგნოზირებადი. შექმნილმა პროდუქციამ შემდგომში, შესაძლოა, განიცადოს მარცხი კონკურენტუნარიან ბაზარზე, მაგრამ გამოკვლევები ცალსახად ცხადყოფს, რომ ადრეულ ეტაპზე ორგანიზაციამ შესაძლოა შექმნას კონკურენტული უპირატესობები, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ინოვაციური იდეის განვითარებისათვის. უფრო ზუსტად, რომ განვმარტოთ, ინოვაციის წინარე ეტაპი ეს არის პერიოდი, როდესაც მიღებული უნდა იქნეს არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ორგანიზაციამ, რომელიც მიზნად ისახავს ინოვაციური სტრატეგიების განხორციელებას, აუცილებელია მოახდინოს ორგანიზაციული პოლიტიკის ინვესტირება, რომელიც ზრდის სათანადო წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. კომპანიამ უნდა შეიმუშავოს მარკეტინგული და სტრატეგიული პოლიტიკა.

ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკა განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციებში განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია განავითაროს, გამოიყენოს ყველა ძალა და რესურსი, რათა მიაღწიოს სასურველ შედეგს, გაურკვეველ სიტუაციაშიც კი, რომლებიც საკმაოდ ხშირად იქმნება ინოვაციური განვითარების ადრეულ ეტაპზე. ორგანიზაციული პოლიტიკის სწორად მართვა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, ორგანიზაციაში სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლექტიურად შესაძლებელია ამან გამოიწვიოს ხელმძღვანელ პირებს შორის დაპირისპირება და კონფლიქტი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება საბოლოო შედეგზე. სწორად დაგეგმარებული პოლიტიკა კი არის წინაპირობა მსგავსი ვითარების თავიდან აცილებისა. განსხვავებული აზრის არსებობა ყოველთვის იყო და არის დამახასიათებელი ახალი პროდუქციის

წარმოების ინოვაციური განვითარების ადრეული ეტაპის დაწყების პროცესში. განსხვავებულმა აზრებმა შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანთა შორის მწვავე კონფლიქტი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანებს შორის ყველაზე მეტად ძალაუფლებისადმი ლტოლვა იგრძნობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქვემოთ მოცემულ სქემაზე ჩვენ ვხედავთ ორგანიზაციის ორი ძირითადი ელემენტის კონსტრუქციას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას ინოვაციური პროექტის ადრეულ ეტაპზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ როგორც ორგანიზაცია ზემოქმედებს ინდივიდზე, ისე ინდივიდი ახდენს ზეგავლენას ორგანიზაციაზე (**Prognoz 2030...**).

სქემა N 2. ორგანიზაციული პოლიტიკა ინოვაციების შემუშავების წინარე ეტაპზე



წყარო: სქემა ადაპტირებულია ავტორის მიერ.

ორგანიზაციის მიერ შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ინოვაციური პროექტი, რომელთა ეკონომიკური ეფექტი შესაძლებელია თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან. ამიტომ საწყის ეტაპზე ორგანიზაციის ინოვაციური სტრატეგიის (პოლიტიკის) ფარგლებში სწორად უნდა იქნეს შემუშავებული ინოვაციური პროექტების თანმიმდევრობა.

ინოვაციური პროექტი - გარკვეული ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების კომპლექსური ერთობლიობაა, რომელიც დაგეგმილ პერიოდში შეიმუშავებს და

გაავრცელებს პროდუქციას, მომსახურებას თუ ტექნოლოგიას, ფინანსური მოგების ან სხვა სახის სარგებელის/ეფექტის მიღების მიზნით. ნებისმიერი ინოვაციური პროექტი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, ესენია: გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებით, პროექტის პარამეტრების განუსაზღვრელობით (დასახული მიზნის მიღწევის კონკრეტული ვადა, ზუსტი დანახარჯები, მოსალოდნელი შემოსავლები), პროექტის ცალკეული საფეხურების გულდასმით შემუშავება უნდა მოხდეს მაღალკვალიფიციური და კრეატიული სპეციალისტების მიერ უნიკალური რესურსების გამოყენებით, არასასურველი გვერდითი შედეგების მიღების დაბალი ალბათობით და სხვა.

პროექტის ეფექტიანობის შეფასების დროს გვსურს გამოვყოთ სოციალურ-ეკონომიკური, კომერციული და საბიუჯეტო შეფასების მეთოდი (იხილეთ ცხრილი N6) (Studfiles...).

ცხრილი N 6. ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

მეთოდი	სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა	კომერციული ეფექტიანობა	საბიუჯეტო ეფექტიანობა
აბსოლუტური	ჯამური მოგება, საშუალო წლიური მოგება	ჯამური, წმინდა დისკონტირებული შემოსავალი	წმინდა საბიუჯეტო დისკონტირებული შემოსავალი
ფარდობითი	ინვესტიციების რენტაბელობა	შემოსავლიანობის შიდა ნორმა (მოგებაიანობა)	შიდა საბიუჯეტო შემოსავლიანობის ინდექსი
დროებითი	ინვესტიციის უკუგების პერიოდი ე.წ. „Pay-Back Period“	შემოსავლიანობის ინდექსი, პროექტის უკუგების ვადები	პროექტის საბიუჯეტო უკუგების ვადა

წყარო: ცხრილის ადაპტირებულია ავტორის მიერ.

N6 ცხრილზე ნაჩვენებია ზემოაღნიშნული მეთოდების კრიტერიუმები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე საინვესტიციო საქმიანობის პრაქტიკაში და ინოვაციურ მენეჯმენტთან მნიშვნელოვან კავშირშია.

• პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა ასახავს ინოვაციური პროექტის გავლენას ორგანიზაციაზე, საზოგადოებასა და ზოგადად ეკონომიკაზე.

- კომერციული ეფექტიანობა განსაზღვრავს პროექტის მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებს და ძირითადად აქცენტს აკეთებს ინოვაციური პროექტიდან მისაღები ნაღდი ფულის სალდოზე.

- საბიუჯეტო ეფექტიანობის გამოთვლის მიზანია დადგინდეს პროექტის გეგმიური ბიუჯეტი, დაფინანსების წყარო და თუ რამდენად შესაბამისობაშია ერთმანეთთან კონკრეტული ასიგნებები და პროექტიდან მისაღები სარგებელი. აღნიშნული მეთოდი ძირითადად გამოიყენება მაშინ, როდესაც პროექტი ფინანსდება ორი ან მეტი სახელმწიფო ან/და კერძო ორგანიზაციის მიერ.

ინოვაციური პროექტის შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს განსახორციელებელი ინვესტიციებისა და სამომავლოდ მისაღები ფულადი ნაკადების შედარებითი ანალიზი. შესადარებელი მაჩვენებლები უმრავლეს შემთხვევაში დამოკიდებულია განსხვავებულ საანგარიშო პერიოდზე, ამიტომ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს რთულ პროცესს ისევე, როგორც პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა. საინვესტიციო პროცესი ყოველთვის რისკთან არის დაკავშირებული, ვინაიდან დრო აძლიერებს განუსაზღვრელობას და რაც უფრო ხანგრძლივია დანახარჯების ანაზღაურების ვადა, მით უფრო სარისკოა პროექტი. გადაწყვეტილების მიღებისას ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს დროის ფაქტორი, ე.ი. შეაფასოს დანახარჯები, ამონაგები, მოგება და ეკონომიკური რენტაბელობა დროის ცვლილების გათვალისწინებით. ამ ოპერაციას ეწოდება დისკონტირება და ჩვეულებრივ, ალტერნატიული ვარიანტის განხილვისათვის ტარდება. დისკონტირების პროცესის დროს უმთავრესად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ინფლაცია, საინვესტიციო გარემოს არასასურველი დინამიურობა, მოთხოვნის დონე, საგადასახდო ცვლილებები და სხვა. როგორც უკვე ითქვა ინოვაციური პროექტის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რისკისა და განუსაზღვრელობის შეფასებას, რომლის შედეგადაც საშუალება გვეძლევა დავაზუსტოთ საინვესტიციო კაპიტალისა და დისკონტირების განაკვეთის საშუალო შეწონილი ფასი ინოვაციის ეფექტიანობის მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის. რისკების შეფასებისას საჭიროა, როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემების გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის ანალიზის ყველა მეთოდი საანგარიშო პერიოდის მხოლოდ

გარკვეული მახასიათებლების დეტალურად განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ პროექტის ჯეროვნად შეფასებისათვის სასურველია კომპლექსურად გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი. ინოვაციური მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სწორედ პროექტის ეფექტიანობის ანალიზი გახლავთ. ამ დროს საჭიროა მენეჯერს ზემოაღნიშნული თეორიული მეთოდების ცოდნის გარდა, გააჩნდეს, პირველ რიგში, პროგნოზირების უნარი, სამეწარმეო ინტუიცია, მაღალი დონის ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება. ამ თვისებებიდან გამომდინარე იდეის ფორმირების ეტაპზევე მენეჯერმა მეტწილად უნდა განსაზღვროს პროექტის მოსალოდნელი შედეგები.

დისკონტირებისა და სააღრიცხვო შეფასების საფუძველზე პროექტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად. სააღრიცხვო შეფასების საფუძველია უკუგების პერიოდი (pay back period, PP), ინვესტიციის ეფექტიანობის კოეფიციენტი (average rate of return, ARR) და ვალის დაფარვის კოეფიციენტი (debt cover ratio, DCR) დისკონტირებულ შეფასებებზე დაფუძნებული პროექტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები მეტად ზუსტია, ვინაიდან გათვალისწინებულია ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები, შემოსავლიანობის ნორმები და ა.შ.. ამ მაჩვენებლებს მიეკუთვნება რენტაბელობის ინდექსის მეთოდი (profitability index, PI), წმინდა ღირებულება, სხვაგვარად „წმინდა დისკონტირებული შემოსავალი“ (net present value, NPV), და შემოსავლიანობის შიდა ნორმა (internal rate of return, IRR). დასახელებული მეთოდები ნაჩვენებია სქემაზე №3.

პროექტის შეფასების ტრადიციული მეთოდები ფართოდ გამოიყენება ფინანსურ პრაქტიკაში. კაპიტალდაბანდების უკუგების მეთოდი გახლავთ ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მისი არსებითი მინუსი არის მომავალი პერიოდის შემოსავლის გათვალისწინებით ფულის მომავალი ღირებულების იგნორირება და შესაბამისად, დისკონტირების შეუძლებლობა. ინფლაციის პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ხშირი ცვლილებისა და ორგანიზაციის შიდა დანაზოგების დაბალი ნორმის გათვალისწინებით ქართულ რეალობაში აღნიშნული მეთოდი ვერ იქნება ზუსტი და სანდო.

სქემა N 3. ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები



წყარო: სქემა ადაპტირებულია ავტორის მიერ (Барышева 2010)

ყურადღება უნდა მიექცეს საინვესტიციო ეფექტიანობის კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, როგორც მომგებიანობის საშუალო მაჩვენებელს პროექტის მიმდინარეობის მთელ პერიოდში. ეს კოეფიციენტი გამოიანგარიშება საშუალო წლიური მოგება შეფარდებული ინვესტიციის საშუალო წლიურ სიდიდესთან. შემდგომ ხდება ამ მაჩვენებლის შედარება ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტთან. კომერციული (საბუღალტრო) შეფასების საფუძველზე სამივე ტრადიციული ინდიკატორი არ ითვალისწინებს ფულადი ნაკადების დროის კომპონენტს. ისინი არ აერთიანებენ ფაქტობრივ ანალიზს და ეკონომიკურ რეალობაში ფულადი ნაკადების დინამიკას. ამდენად, პროექტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმალურად ზუსტად დისკონტირებული შეფასებების საფუძველზე. პროექტი ფინანსურად ეფექტურია, თუ წმინდა მიმდინარე ღირებულების მაჩვენებელი აღემატება ნულს.

თუ წმინდა საბიუჯეტო დისკონტირებული შემოსავალი ნულზე მეტია, მაშინ პროექტი ფინანსური თვალსაზრისით ეფექტიანია, ხოლო თუკი აღნიშნული მაჩვენებელი ნაკლებია ნულზე მაშინ - არაეფექტიანია. საბოლოო ჯამში საჭიროა პროექტის ფინანსური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებლებისა და საბიუჯეტო ეფექტიანობის შედარება. პროექტის ფინანსური ეფექტიანობა და საბიუჯეტო ეფექტიანობა. ინვესტირების შემთხვევაში აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოთხოვნა: წმინდა დისკონტირებული შემოსავლების სიდიდე და წმინდა საბიუჯეტო დისკონტირებული სიდიდეები უნდა იყოს დადებითი რიცხვები.

ინოვაციური პროექტის შეფასების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება საკუთარი თუ მოზიდული სახსრებით. ქართული კომპანიებისათვის დღეისათვის ძირითად საინვესტიციო წყაროდ მიიჩნევა საკუთარი მოგება და სხვადასხვა სახელმწიფო პროექტები თუ პროგრამები.

ტრადიციულ დაკრედიტებასთან ერთად ინოვაციურ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ ლიზინგს, ფორფეიტინგსა და ფრენჩაიზინგს. სალიზინგოა ოპერაციები, რომელნიც გულისხმობენ ბრუნვისგარეშე აქტივების გრძელვადიანი ვადით იჯარით გაცემას. მსგავს პროცესში მონაწილეობს სამი პირი: ლიზინგის გამცემი, ლიზინგის მიმღები და მიმწოდებელი (**ჩიბურდანიძე 2008**).

ფორფეიტინგი - ფინანსური აგენტის მიერ კრედიტორის წინაშე მსესხებლის ფინანსური ვალდებულებების შესყიდვის ოპერაციაა. ფორფეიტინგის არსია - ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა რისკების გადასვლა ფორფეიტერთან, გამყიდველზე უკუქცევის უფლების გარეშე. ფორფეიტერული ოპერაციების ძირითადი ობიექტები ხშირ შემთხვევაში არის მარტივი და გადასაპირებელი თამასუქები (**ბიზნესი და კანონმდებლობა 2010**).

ფრენჩაიზინგი არის მსხვილი და მცირე ფირმების სახელშეკრულებო სისტემა ბიზნესში. ეს გახლავთ მსხვილი ფირმის (ფრენჩაიზერი) შეთანხება მცირე ფირმასთან (ფრანშიზა), რომელიც კისრულობს ფრენჩაიზერის მიერ წარმოებული საქონლის გაყიდვის ვალდებულებას, ან მისთვის გარკვეული მომსახურების გაწევას (**შუბლაძე...2008**).

ფინანსურად ყველაზე სრულყოფილ და ეფექტიან სქემად მიიჩნევა ინოვაციურ საქმიანობაში საინვესტიციო რესურსების მოზიდვა ფრენჩაიზინგის მეშვეობით. ფრენჩაიზინგის ხელშეკრულებით გარდა ფინანსური რესურსებისა, კომპანიას შეუძლია მიიღოს არამატერიალური აქტივები (ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ), სასაქონლო ნიშანი და ა.შ. ინოვაციურ საქმიანობაში ფრენჩაიზინგს გააჩნია რიგი უპირატესობები კრედიტსა და ლიზინგთან მიმართებაში.

ზოგადად, სტანდარტული პროექტის მართვის პროცესში შეიძლება გამოვყოთ 6 სტადია/ფაზა, რომელთაგან პირველია ინიცირების ფაზა (იდეის შემუშავება). ამ დროს ხდება პროექტის იდეისა და მიზნების განსაზღვრა, დაფინანსების წყაროების შერჩევა და სხვა სახის რესურსების დამტკიცება.

დაგეგმვის დროს ხორციელდება ღონისძიებათა გეგმის შედგენა, დგინდება პროექტის მონაწილეები და პირობები. გასათვალისწინებელია, რომ შემდგომი პროცესები - შესრულება, კონტროლი, დახურვა - ერთგვარ ასახვას ჰპოვებს ამ სტადიაში, ამ დროს დგება ბიუჯეტი, მოქმედებათა გეგმა, განვითარების გეგმა, განისაზღვრება დასაშვები რისკი, ხდება პერსონალის შერჩევა, დანადგარების შესყიდვა და სხვა მსგავსი პროცესები;

შესრულება - გულისხმობს პროექტის გეგმების ამოქმედებას, რაც პროექტის ხელმძღვანელის მიერ, არსებული რესურსების გეგმის შესაბამისად განაწილებით იწყება. შესრულების სტადიაზე პროექტის რესურსები და დროის დიდი ნაწილი იხარჯება;

კონტროლის პროცესში ხელმძღვანელი პირები თვალყურს ადევნებენ პროექტის შესრულებას და აანალიზებენ ამ პროცესის გეგმისადმი თანხვედრას. შეუსაბამობის შემთხვევაში ტარდება, მაკორექტირებელი ღონისძიებები, რამაც შესაძლოა პროექტის გეგმები და მიზნები შეცვალოს;

დახურვა - მიზნის მიღწევის შემდეგ პროექტი იხურება, რაც უპირველესად პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეგროვებას და ანალიზს ნიშნავს. პროექტის მონაწილეები აანალიზებენ პროექტის გარშემო არსებულ მთელ ინფორმაციას, რათა ყოველივე ეს მსგავს შემთხვევებში გამოიყენონ. დახურვის დროს წყდება პროექტის საჭიროებისთვის დადებული ყველა კონტრაქტი და ხელშეკრულება;

შეფასება - პროექტის დახურვის შემდეგ უნდა შეფასდეს თავდაპირველი მიზნებისა და მიღებული შედეგების ერთმანეთთან თანხვედრა, პროექტის განხორციელების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები და სხვა.

ინოვაციური პროექტის შემთხვევაში კი ამ სტადიაში უნდა გამოვარჩიოთ - იდეის ფორმირების სტადია, რომელიც რიგით პირველია პროცესუალურად და თან ყველაზე მნიშვნელოვანი. ვინაიდან, თანამედროვე მსოფლიოში კარგი იდეა ძალიან ძვირად ფასობს, რომელიც მარკეტინგული ინსტრუმენტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხშირ შემთხვევაში წარმატებულ პროექტად გარდაიქმნება. იდეის ფორმირების პროცესში უნდა გამოიკვეთოს მენეჯერის ინოვაციური აზროვნება, ამ ეტაპზე უნდა გაიელვოს მის გონებაში პროექტის მართვის ყველა დანარჩენმა სტადიამ და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების

პერსპექტივებმა. ერთი შეხედვით შეიძლება გავიფიქროთ, რომ იდეის ფორმირებასთან რა კავშირშია მმართველობითი საქმიანობა, თუმცა თუ ღრმად ჩავუფიქრდებით ამ პროცესის მართვა არის ყველაზე დიდი ხელოვნება. მაგალითისთვის გავიხსენოთ კომპანია ფორდის პროექტი „მუსტანგი“. 1960-იან წლებში ამერიკაში მომხმარებელთა მიერ მზარდი პოპულარობით გამოირჩეოდა სპორტული მანქანები. ამ პერიოდში „ფორდი“ განიცდიდა დაღმასვლას. ბევრი ექსპერტი მას გაკოტრებასაც უწინასწარმეტყველებდა და ამ დროს მენეჯერ ლი იაკოკას გენიალურმა გადაწყვეტილებამ კომპანიის ბედი რადიკალურად შეცვალა. კრიზისიდან გამოსასვლელად კორპორაციამ გადაწყვიტა ისეთი სპორტული მოდელის შემუშავება, რომელიც მყიდველთა კეთილგანწყობას სადემონსტრაციო დარბაზიდანვე მოიპოვებდა. 1964 წელს ფორდმა ბაზარზე გამოუშვა სპორტული მოდელი მუსტანგი რომლის ფასი 2368\$ შეადგენდა, პროდუქტმა პირველივე წელს გაყიდვებით კორპორაციულ რეკორდს გადააჭარბა. ამ შემთხვევაში კარგად სჩანს, რომ კომპანიის მენეჯერმა შექმნა იდეის ერთგვარი თეორიული პროტოტიპი, რომლის ჩამოყალიბების პროცესი იყო ყველაზე რთული, მნიშვნელოვანი და ინოვაციური, ვინაიდან პრობლემა უკვე იდენტიფიცირებული იყო, კომპანიას შველა სჭირდებოდა, რისთვისაც სხვადასხვა გზა, აზრი თუ იდეა არსებობდა, რომელთაგან მენეჯერს უნდა აერჩია თუ რომელი მიმართულებით წასულიყო. ხოლო მისი სისრულეში მოქცევა უკვე, მენეჯმენტის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ამ პროცესში ინოვაციური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა იდეის მშენებლობა, ანუ როგორი უნდა იყოს ახალი იდეა, რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს მას და ა.შ. სწორედ, ეს გახლავთ ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველი, რაზე დაყრდნობითაც იქმნება უამრავი გენიალური პროექტი.

ამრიგად, ინოვაციური პოლიტიკა ძალზედ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რომლებიც გეგმავენ დანერგონ ინოვაციები და ასევე, გამოიყენონ ინოვაციური მიდგომები მმართველობით საქმიანობაში, რაც უკანასკნელ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად იქცა. ამიტომ საქართველოში არსებული ორგანიზაციების ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებაა.

2.2. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება, რისკები და თავისებურებები

ნებისმიერი ინოვაციური პროექტის განხორციელება მოითხოვს ფინანსებს, რომელთა მოძიება არ არის მარტივი თუკი პროექტი მაღალრისკიანი და მაღალტექნოლოგიურია. ამ მიმართულებით საქართველოში არაერთი პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელთა ფარგლებშიც უკანასკნელ წლებში ათობით ინოვაციური პროექტი განხორციელდა. გარდა სახელმწიფო პროგრამებისა/პროექტებისა არსებობს წვდომა საერთაშორისო პროგრამებთან, რომელთაგანაც თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა ევროკავშირის მიერ ინიცირებული - „ჰორიზონტ 2020“.

ფინანსები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინოვაციებთან მიმართებაში. ვინაიდან, სწორედ ფინანსები აძლევს ორგანიზაციებს იმის საშუალებას, რომ ჩაატარონ კვლევები, დანერგონ ტექნოლოგიები, გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ახალი მიგნებებისათვის და განახორციელონ ინოვაციების კომერციალიზაცია. ინოვაციების დაფინანსების გარე წყაროებზე წვდომა ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანაა. არსებობს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტები, მათ შორის ინვესტორების, სპეციალური ფონდების და ა.შ. სახით. დაფინანსების წყაროების მოძიება განსაკუთრებულად რთულია კომპანიისათვის საწყის ეტაპზე მაშინ, როდესაც არ გააჩნია ფირმას შესაბამისი გამოცდილება, რაც თავის მხვრივ ზრდის კონკრეტული პროექტის რისკებს. როგორც ფინანსებზე მოთხოვნა, ისე დაფინანსებაზე წვდომა მჭიდროდაა დაკავშირებული ფირმის განვითარების სტადიებსა და ინოვაციური პროექტების სფეციფიკაზე. პროექტის საწყის (წინარე) ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს კვლევები და ჯერ კიდევ უცნობია თუ რა სახის ინოვაცია შეიქმნება, ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს დაფინანსების მიღებას. მომდევნო ეტაპზე, როდესაც უკვე მიმდინარეობს პროტოტიპების შემუშავება ამ დროს სპეციალიზირებული ინვესტორების დაინტერესება უფრო მეტად შესაძლებელია, როგორებიც არიან ვენჩურული კაპიტალისტები და ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზები“. დასკვნით ეტაპზე, როდესაც რისკები შემცირებულია და პროექტთან დაკავშირებით გარკვეული ზუსტი პროგნოზების გაკეთება შესაძლებელი ხდება, ამ დროს უკვე ხელმისაწვდომია დაფინანსების

ტრადიციული წყაროები - შეღავათიანი საბანკო კრედიტი ან სახელმწიფო თანადაფინანსება.

მსხვილ კომპანიებს შეუძლიათ უფრო მარტივად დააფინანსონ მათი ინოვაციური საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი თუ ე.წ. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფარგლებში არსებული ფინანსური რესურსების მეშვეობით (ასეთი არსებობის შემთხვევაში), კრედიტით მიღებული სახსრებით, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული თანხებითა თუ საფონდო ბირჟის მეშვეობით. თავიანთი ინოვაციური საქმიანობისათვის ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც შიდა ასევე გარე დაფინანსების წყაროები. შიდა დაფინანსების ძირითად წყაროდ გვევლინება გაუნაწილებელი მოგება. ჩვეულებრივ ფირმები არჩევენ სწორედ შიდა დაფინანსების წყაროებს, ვინაიდან გარე წყაროები ხშირ შემთხვევაში ბევრად ძვირი ჯდება.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების უმეტესობა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისგან თავს იკავებენ. გამომდინარე იქედან, რომ მათ არ გააჩნიათ ფინანსების შესაბამისი ოდენობა და არც გარე ფინანსირების წყაროების მოზიდვა უღირთ ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება აქტიურად მუშაობს უკანასკნელ წლებში აღნიშნული მიმართულებით, რათა ეს „კომპლექსი“ რამდენადმე მოუხსნას ადგილობრივ მწარმოებლებს და ნებისმიერ ღირებულ იდეას დაეხმაროს მის სრულყოფასა და კომერციალიზაციაში.

ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, ფორმები და მახასიათებლები განისაზღვრება ეკონომიკური დონის (მასშტაბის) მიხედვით: მიკრო დონეზე (ცალკეული საწარმოები), მაკრო და ჰიპერ დონეებზე. საწარმოების დონეზე ასეთ წყაროებს წარმოადგენს:

- საწარმოს მესაკუთრეთა შენატანების ფულადი ნაწილი;
- მოგება, ამორტიზაცია;
- აქციების ემისია;
- საქველმოქმედო შენატანები;
- საბანკო კრედიტი;
- კომერციული კრედიტი;

- ლიზინგი;
- ფრენჩაიზინგი;
- ფორფეიტინგი;
- უპროცენტო სესხები;
- წილობრივი მონაწილეობა (ერთობლივი საწარმოების საფუძველზე);

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების წყაროების თვალსაჩინოების მიზნით გთავაზობთ შესაბამის ცხრილს:

ცხრილი N 7. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების წყაროები

საკუთარი სახსრები	მოზიდული სახსრები	ნასესხები სახსრები	ირიბი დაფინანსება
მოგება	სახელმწიფო საინვესტიციო რესურსები	ფინანსური კაპიტალი	მოწყობილობის ლიზინგი
ამორტიზაცია	უცხოური ინვესტიციები	კოლექტიური ინვესტიციების საინვესტიციო რესურსები	ფასიანი ქაღალდების განთავსება საჭირო რესურსების მოწოდების მიწოდების ფორმით
სადაზღვევო ანაზღაურება	ვენჩურული კაპიტალის ფონდები	იფოთეკა, ფინანსური ლიზინგი	ლიცენზიის შექმნა „როიალტის“ გადახდის ფორმით
არამატერიალური აქტივები	კერძო პირების კაპიტალი	ფორფეიტინგი	მოზიდული არამატერიალური აქტივები
		საპროექტო დაფინანსება	
		სავალო ვალდებულებების კერძო განთავსება	

წყარო: (ქოქიაური 2018)

სახელმწიფოს შეუძლია ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას მხარი დაუჭიროს არაპირდაპირი დაფინანსების მეთოდებით და გამოიყენოს საგადასახადო ინსტრუმენტები და შეღავათები საწარმოებისა და დარგებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქციას თუ მომსახურებას. დღეისათვის არსებობს საგადასახადო სტიმულირების ფართო სპექტრი, რომლებიც განსხვავდებიან როგორც

სტრუქტურით, ასევე შეღავათების მოცულობით. საზღვარგარეთის ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნოლოგიური საქმიანობის წახალისების ყველაზე გავრცელებულ მექანიზმს, პირველ რიგში მიეკუთვნება:

- შეღავათიანი კრედიტი ინოვაციური საქმიანობისათვის;
- ინოვაციურად აქტიური მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საგადასახდო გადავადებები;
- კვლევებისა და ინოვაციური განვითარებისათვის გამიზნული თანხების დაბეგვრისაგან განთავისუფლება;
- ინოვაციური კვლევების კომერციალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავლებზე შეღავათიანი საგადასახდო პირობების დაწესება;
- მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციური საქმიანობისათვის მოზიდული ინვესტიციების შეღავათიანი დაბეგვრა (**Боголиб 2015 : 592**).

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების გარე წყაროებიდან ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია შეღავათიანი სახელმწიფო ან საბანკო კრედიტი. რაც შეეხება საფონდო ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების შედეგად მიღებული ფინანსური რესურსებიც ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დაფინანსების წყაროდ, თუმცა ეს მიმართულებაც საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული, შესაბამისად პრაქტიკული შედეგები ამ მიმართულებით ფაქტობრივად ჩვენს რეალობაში არ არსებობს, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე დაიხვეწება საფონდო ბაზარი და გვეყოლება მისი მონაწილეებიც.

ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზები“ არიან მდიდარი ინდივიდუალური ინვესტორები, მაღალი სამეწარმეო ალლოთი, რომლებიც დაინტერესდებიან ინოვაციური საქმიანობის საწყის ეტაპზე ამა თუ იმ მცირე ფირმითა და აფინანსებენ მათ მომავალში მოგებიდან საკუთარი წილის მიღების მიზნით. ბოლო დროს „ბიზნეს-ანგელოზები“ ქმნიან ქსელებს, რათა მარტივად დაუკავშირდნენ ფირმები მათ. ისინი ეძებენ საინტერესო იდეების მქონე მომცრო ფირმებს და მათგან ქმნიან ინოვაციურ კომპანიებს, რომელთაც შემდგომში მოაქვთ მაღალი შემოსავლები.

„ბიზნეს-ანგელოზების“ საქმიანობა სხვადასხვა ეპოქაში ხელს უწყობდა მნიშვნელოვან გამოგონებებს. შედარებით მცირე, სარისკო პროექტებში ინვესტიციების განხორციელება ყველა დროში ხდებოდა. აღნიშნული საქმიანობის

ფარგლებში დაფინანსდა თ. ედისონის გამოგონება ელექტრო-ენერგეტიკის სფეროში, ა. ბელის კვლევითი სამუშაოები, რომელიც მიმართული იყო ტელეფონის შექმნაზე, ასევე სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა საკუთარი ჯიბიდან დააფინანსეს სტუდენტების საქმიანობა, რის შედეგადაც შეიქმნა ყველასათვის ცნობილი კომპანია HP.

ბევრი ტექნოლოგიური სიახლე, მათი მაღალ-რისკიანობის გამო, სწორედ კერძო ინვესტიციების წყალობით გამოდიოდა ბაზარზე.

მე-20 საუკუნის 50-60 იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში სამომხმარებლო საზოგადოების განვითარებამ განაპირობა მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე (მანქანებზე, მოწყობილობებზე, კომპიუტერებზე) მოთხოვნის ზრდა, რაც აღნიშნული მიმართულებით ინვესტიციების გააქტიურებაში აისახა.

კაპიტალის მოცულობის ზრდამ ხელი შეუწყო ინვესტორების გაერთიანებას, გაიზარდა ამ სფეროში ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა თუ სხვადასხვა ფონდების ჩართულობა, რის შედეგადაც, ჩამოყალიბდა ვენჩურული ინდუსტრია, ჯერ აშშ-ში, ხოლო შემდეგ ევროპაში. სწორედ ვენჩურულმა ბიზნესმა მისცა ინოვაციურ საწარმოებს განვითარებისათვის საჭირო ფინანსური ბიძგი. ვენჩურული ფონდებისგან დაფინანსება მიიღეს ისეთმა ფირმებმა, როგორცაა: Microsoft, Apple, Hotmail და ა.შ. აშშ-ს ვენჩურული კაპიტალის ეროვნული ასოციაციისა და ანალიტიკური სააგენტოს Global Insigth მონაცემებით, 1970 - 2005 წლებში ვენჩურული კაპიტალით დაფინანსებული ამერიკული კომპანიების მიერ შეიქმნა 10 მილიონი სამუშაო ადგილი და 2,1 ტრილიონი დოლარის შემოსავალი. შესაბამის სექტორში დასაქმებულია აშშ-ს სამუშაო ძალის 9% და იქმნება მშპ-ს დაახლოებით 17%. ამასთან, მოცემულ პერიოდში განხორციელებული ვენჩურული ინვესტიციების 80% „მაღალტექნოლოგიურ“ სექტორზე მოდიოდა. (შაბურიშვილი, 2009).

საქართველოში ბიზნეს-ანგელოზების მიერ დაფინანსებული პროექტები ნაკლებად მოიძებნება. სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე ხელისუფლება ცდილობს სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით, მხარი დაუჭიროს ინოვაციურ საქმიანობას, რათა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის კაპიტალში ინექციების წახალისება მოხდეს, ანუ დაფინანსდეს ის პროექტები, რომლებიც არიან კომერციულად სიცოცხლისუნარიანი.

მსგავსი ინიციატივები, ერთის მხრივ გაზრდის ქვეყანაში ინოვაციურ აქტივობას და თავის მხრივ საბანკო სისტემაზე უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება შესაბამისი პროექტების განხილვას, თუმცა მეორეს მხრივ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ინოვაციური პროექტების დაფინანსება, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი რისკებით მოითხოვს რაციონალური მეთოდოლოგიის შემუშავებასა და გარკვეული მოდელის შექმნას, რომელიც კონკრეტულ ექსპერტებს დაეხმარებათ პროექტის შეფასებაში.

ინოვაცია ყოველთვის დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რომლის არეალიც სწორედ ინოვაციური პროექტის შედეგების წინასწარ გათვლაზეა დამოკიდებული. კომპანიები დიდი რაოდენობით, მნიშვნელოვან რესურსებს იყენებენ, რათა მათ შეძლონ რისკების გარკვეულწილად მართვა და შედეგის გათვლა, მაგრამ ინოვაციური შედეგების ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია.

მენეჯერები გამუდმებით ცდილობენ განახორციელონ პროცესები, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს შესაბამისი პროექტის ინოვაციურ რისკს. სწორედ ამ დროს შესაძლებელია მათ მიიღონ არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში წარუმატებელი აღმოჩნდება ინოვაციური პროექტისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მცდარია ვარაუდი, რომ ყოველთვის მოსალოდნელი რისკი განაპირობებს ინოვაციური პროექტის წარუმატებლობას, არამედ პირიქით, იგი განპირობებულია მენეჯერის არასწორად დაგეგმილი და წარმართული პროცესით. ინოვაციური რისკის წარმატებით მართვისათვის მენეჯერმა უნდა შეიმუშაოს პრინციპი, რომელიც დაეხმარება დროული, სწორი და გაუმჯობესებული გადაწყვეტილების მიღებაში.

ინოვაციების მართვის პროცესში წარმოიშობა სხვადასხვა რისკები და კრიტიკული ელემენტები, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვემოთ წარმოდგენილ მიმართულებებს:

1. მოსალოდნელი რისკისა და შემოსავლების შეფასებისათვის აუცილებელია ინოვაციური პროექტის განვითარება; მენეჯერმა ინოვაციური პროექტების განვითარება უნდა განახორციელოს ცოდნის საფუძველზე. მათ შორის ისეთი პროექტებისაც, რომლებშიც მინიმალური ინვესტიციაა განხორციელებული და შესაბამისად, იგი ორიენტირებულია თუნდაც მინიმალური ინოვაციური ცვლილება მოახდინოს უკვე არსებულ პროდუქტზე. ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებით,

მენეჯერის თითოეული გაადწვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ გათვლებს. წინასწარი გათვლები გულისხმობს რისკის შეფასებას და ინოვაციური პროექტიდან სავარაუდო შემოსავლების მიღების განსაზღვრას. აუცილებელია ამ კუთხით პროექტი შეფასებული და განხილული იქნეს ინოვაციურ პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ, ვინაიდან წარმოშობილი დისკუსია და აზრთა სხვადასხვაობა ხელს შეუწყობს უფრო ზუსტი შედეგების გათვლას და შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში წარმოშობს ნაკლებ გაუთვალისწინებელ ფაქტორებს.

2. ყველა ინოვაციურ პროექტს ახასიათებს დამაბრკოლებელი თავისებურებები; არსებობს ინოვაციური პროექტის შეზღუდვების ფართოდ გავრცელებული ორი ტიპი. პირველი, როდესაც თავიდანვე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულია არასწორი პროექტი, სადაც ინოვაციების პოტენციალზე დაფუძნებული ვარაუდები და შეფასებები არასწორია. მეორე ტიპი კი გულისხმობს ნაწილობრივ სწორი, არასრული პროექტის არსებობას.

3. ინოვაციური პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელი გაურკვევლობები; მიუხედავად იმისა, თუ რა დროს დაუთმობს მენეჯერი ინოვაციური პროექტის შემუშავებას და რა ოდენობით რესურს გამოიყენებს, შეუძლებელია პროექტი მოიცავდეს და ასახავდეს ყველა იმ ფაქტს, რომლებიც თავს იჩენს შემდგომში ინოვაციური პროექტის განვითარების პერიოდში. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ შესაძლოა ერთდროულად თავი იჩინოს სხვადასხვა სახის რისკმა, რომლებიც ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. შესაბამისად, უკვე რთულდება პროექტის გეგმიური განხორციელება და მენეჯერს უწევს ახალი გადაწყვეტილებების მიღება. ეს შესაძლოა ერთგვარი გამოწვევაც იყოს მენეჯერისათვის, ვინაიდან წარმოქმნილი რისკის ფაქტორების იდენტიფიკაცია, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა სრულიად გაცდეს პროექტის ფარგლებს. შესაბამისად, ინოვაციური პროექტის განვითარების პერიოდში, მუდმივად მოსალოდნელია რისკის ფაქტორი, ამიტომ მენეჯერი და მთელი სამუშაო ჯგუფი მობილიზირებულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი მოსალოდნელი ფაქტისათვის.

4. ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებით მომხმარებლის ცოდნა და ინფორმირება; ხშირ შემთხვევაში მენეჯერები და ინოვაციურ პროექტზე მომუშავე ჯგუფები ორიენტირებულნი არიან მათ წინაშე არსებული დაბრკოლებების დაძლევაზე, რის-

კების აღმოფხვრაზე და ამის პარალელურად უგულბელყოფილი რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, ინოვაციური პროდუქტის მომხმარებელი. მენეჯერმა პროექტის დაგეგმარებისას უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: რა კვალიფიკაციის მქონე მომხმარებელზეა გათვლილი პროდუქცია? როგორ აღმოაჩენს ინოვაციურ პროდუქტს მომხმარებელი, რომელზედაც არის გათვლილი იგი? სწორად ესმით თუ არა მომხმარებელს ინოვაციური შეზღუდვების არსი როგორ შეუძლიათ გამოიყენონ ინოვაციური პროდუქტი ან მომსახურება?

5. ინოვაციური პროექტის ვიზუალური (ინფრასტრუქტურული) მხარე; ინოვაციური პროექტებისა და ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ მუდამ ისმება კითხვა თუ როგორი უნდა იყოს პროდუქტი ინფრასტრუქტურულად? მენეჯერი, რომელიც გეგმავს ინოვაციური პროექტის ბაზარზე გასაყიდად გატანას, დარწმუნებული უნდა იყოს რომ პროდუქტის ვიზუალური მხარე ადეკვატური იქნება და მომხმარებლის მიერ იქნება მოწონებული. პროდუქციის ინფრასტრუქტურული ცვლილება შემდგომშიც შესაძლებელია, თუმცა ამ შემთხვევაში მენეჯერს სჭირდება სწორი გათვლები (**Risk...**).

ზემოაღნიშნული ხუთი ძირითადი საშუალების გამოყენებით, კომპანიებს შეეძლებათ ეფექტურად დაძლიონ ინოვაციური პროექტების განხორციელების პერიოდში წარმოშობილი დაუგეგმავი რისკები. რაც თავისთავად, ხელს შეუწყობს ინოვაციური პროექტის განვითარებას.

ამრიგად, ინოვაციური პროცესების მართვა ძალზედ რთულ ამოცანას წარმოადგენს ნებისმიერი მენეჯერისათვის, თუმცა მას გააჩნია, როგორც მაღალი რისკები ასევე ერთი განსაკუთრებული თავისებურება, რომელიც განასხვავებს მას შედარებით დაბალრისკიანი ტრადიციული პროცესების მართვისაგან. ეს თავისებურება მდგომარეობს შემდეგში, რომ ინოვაციური პროექტის განხორციელების პროცესში პროექტზე მომუშავე ჯგუფს, განსაკუთრებით კი მენეჯერს არ ეძლევა მოდუნების საშუალება, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს პროექტის საბოლოო შედეგებზე. აღნიშნულ გარემოებასთან კონტექსტში გვსურს მოვიშველიოთ ჟურნალ „Forbes“-ის დამფუძნებელი მალკოლმ ფორბსის შემდეგი ციტატა - „რა თქმა უნდა მოტოციკლეტით მოძრაობა დაკავშირებულია რისკებთან: ერთი მხრივ, ავარიის დროს დიდია იმის რისკი, რომ უფრო მძიმე დაზიანებას

მივიღებთ ავტომობილთან შედარებით. მეორე მხრივ, როცა მოტოციკლზე ზიხარ და იცი მოსალოდნელი რისკების შესახებ, გამუდმებით ფიქრობ ამაზე და ხდები ყოველმხრივ უფრო ყურადღებიანი. ხშირად ხდება, როცა ავტომობილის საჭესთან მძღოლებს ჩასძინებიათ მაგრამ არასოდეს მოტოციკლეტის მართვისას ეს არ მომხდარა (**Forbes...**).“

2.3 თანამედროვე მაღალტექნოლოგიური (ინოვაციური) კომპანიების ძირითადი მახასიათებლები და კონკურენტული უპირატესობები

ძლიერი მაღალტექნოლოგიური კომპანიების არსებობა თანამედროვე ეკონომიკისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ვინაიდან, მსგავსი ორგანიზაციების გავლენა სცდება ცალკეული ქვეყნებისა თუ რეგიონების ეკონომიკას და იძენს გლობალურ მასშტაბებს ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. თანამედროვე საზოგადოებაში ინოვაციური კომპანიების სექტორი განიხილება, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი არამარტო თავიანთი ქვეყნისთვის არამედ, მთელი სამყაროსთვის. ამ სფეროს განვითარებისათვის საჭიროა კომპანიების მიერ ინტენსიური ინოვაციური საქმიანობა, მსხვილი ინვესტიციები და კვლევითი აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა. წინამდებარე ქვეთავში შევეცდებით განვსაზღვროთ ინოვაციური კომპანიის ძირითადი მახასიათებლები, კონცეფცია, რაც დაგვეხმარება დავინახოთ განსხვავება ინოვაციურსა და ტრადიციულ კომპანიებს შორის.

ინოვაციებთან დაკავშირებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს „Oslo methodology“-ს, მიხედვით, ინოვაციურია მოქმედი ორგანიზაცია, რომელმაც ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნა ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქცია თუ მომსახურება (**Manual**). ამჟამად, ინოვაციის ინტერპრეტაციისას ორ ძირითადი მიმართულება დომინირებს, პირველი მიდგომა გახლავთ ინოვაციები წარმოებაში, ეს შეიძლება იყოს ახალი ტექნოლოგიის გამოყენება კონკრეტული პროდუქციის/მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მეორე მიდგომა ხაზს უსვამს ინოვაციური პროცესის მნიშვნელობას ორგანიზაციაში, რომელიც გავლენას ახდენს თანამშრომელთა შემოქმედებით, ტექნოლოგიურ ცოდნაზე დამყარებული აზროვნების განვითარებაზე. იგი თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ორგანიზაციისა და შესაბამის

საზოგადოებაზე (Tidd, 2005), (Kotler, 1994). ზოგადად, ინოვაციური კომპანიის ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილზე:

ცხრილი N 8. ინოვაციური კომპანიის ძირითადი მახასიათებლები

ინოვაციური კომპანია	ძირითადი მახასიათებლები
	კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება (შესაბამისი ფინანსური რესურსების არსებობა)
	ინოვაციების გენერირების უნარი
	უახლოესი ტექნოლოგიებისა და ცოდნის გამოყენება
	ინოვაციების დანერგვა ბაზარზე
	ინოვაციების აუტოსორსინგის მაღალი შესაძლებლობა (უნარი შეისყიდოს სხვადასხვა კომპანიის მიერ შემუშავებული ახალი პროდუქციის და ტექნოლოგიების ნიმუშები)
	კომპანიის მთლიან წარმოებაში ინოვაციების მნიშვნელოვანი წილი
	მომავლის პროგნოზირების უნარი და შესაბამისი რეაგირების სწრაფად განხორციელება
	კომპანიის ინოვაციური პოტენციალის გამოყენება მაღალტექნოლოგიურ ორგანიზაციებს შორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით
	ეფექტური გუნდური მუშაობის უნარი და "ლტოლვა" მრავალფეროვნებისა და კრეატიულობის მიმართ

წყარო: (Aydogan, 2009) (Bessant, 2003) (Drucker, 2007) (Elttlie, 2006)

ხოლო თუ მოვახდენთ ინოვაციური და ტრადიციული ორგანიზაციების შედარებას მივიღებთ დაახლოებით შემდეგ სურათს, რაც გამოსახულია ცხრილზე N9:

ცხრილი N 9. ინოვაციური ორგანიზაციის შედარება ტრადიციულ ორგანიზაციასთან

	ტრადიციული ორგანიზაცია	ინოვაციური ორგანიზაცია
მიზნები და სტრატეგია	მოგების მიღება	დანახარჯების დაბრუნება მოკლევადიან პერიოდში ტექნოლოგიური ცვლილების მიჯნაზე
	ცვლილებების ადმი პასიური დამოკიდებულება	ცვლილებების შესაძლებლობა და სურვილი
	სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მატერიალური თუ სოციალური სიკეთის შემნის მიზნით	ინტენსიური, სტრატეგიული პარტნიორობა შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობა, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან
	კონკურენტული უპირატესობის მოპოვება კაპიტალისა და ფინანსური აქტივების ხარჯზე	კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციების ხარჯზე
	ძირითადად მატერიალური აქტივების ინვესტირება	მაღალი რისკის შემცველი მატერიალური და არამატერიალური აქტივების ინვესტირება
	წარმოება და ტექნოლოგია	საქონლის დიდი ოდენობით წარმოება მასობრივი მოხმარების მიზნით. პატენტების ძალიან მცირე ოდენობა და იშვიათი გამოგონება
მაღალი მოთხოვნა კაპიტალზე		მაღალი მოთხოვნა სამეცნიერო ინტერვენციებზე
მომავლის პროგნოზირების უნარი და შესაბამისი რეაგირების სწრაფად განხორციელება		მომავლის პროგნოზირების უნარი და შესაბამისი რეაგირების სწრაფად განხორციელება
სპეციალიზებული საამქროები		ცვალებადი ტექნოლოგიური გარემო
ხანგრძლივი პერიოდი ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი		ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტირება

	საწარმოო პროცესების ინტეგრაციის შეზღუდვა (ცალკეულ პროცესებზე ფოკუსირება)	საწარმოო პროცესების შერწყმა ინოვაციური პროდუქციის/მომსახურების შექმნის მიზნით
მომუშავე პერსონალი	იმ პერსონალთა სიმრავლე, რომელნიც უშუალოდ წარმოების პროცესში არიან ჩართული	იმ პერსონალთა სიმრავლე, რომელნიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და ცოდნის მოპოვებაზე არიან ორიენტირებულნი
	ინდივიდუალური მუშაობა	გუნდური მუშაობა
	პერსონალის დაბალი შემოქმედებითი უნარი და ხშირი დამოკიდებულება პრობლემის გადაჭრის დროს	პერსონალის მაღალი შემოქმედებითი უნარი და დამოუკიდებლობა პრობლემების გადაჭრის დროს
	კონკრეტული პროცესის გაუმჯობესებისათვის არასაკმარისი მომზადება და უნარები	პერსონალის მუდმივი სწრაფვა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და სწავლების გუნდური პრინციპი
	დისციპლინური პასუხისმგებლობა შეცდომების გამასწორებისათვის	შეცდომებზე სწავლა
ორგანიზაციული სტრუქტურა	ფოკუსირება - ორგანიზაციის ფუნქციებზე	ფოკუსირება - ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე
	იერარქიულობა, ვერტიკალური კავშირების დომინირება	ნაკლები იერარქიულობა, ჰორიზონტალური კავშირების დომინირება
	ფიქსირებული და სტრუქტურირებული ორგანიზაცია	ცვლილებების მაღალი დინამიკა და მოქნილი ორგანიზაცია
	მაღალი ცენტრალიზაცია	მაღალი დეცენტრალიზაცია
მენეჯმენტი	კონტროლზე ორიენტირებული მართვა	მხარდაჭერაზე ორიენტირებული მართვა
	სტერეოტიპების შექმნა	სტერეოტიპების უარყოფა
	გადაწყვეტილების მიღება ინტუიციურად ფიქსირებულ პროცედურებზე დაყრდნობით	გადაწყვეტილების მიღება ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით
	მენეჯერთა ავტორიტარულობა	თანამშრომელთა ავტონომია მათი კომპეტენციების გათვალისწინებით
	გაურკვევლობის თავიდან აცილება	გაურკვევლობათა მიღება და მუდმივი დახვეწა/განვითარება

წყარო: ცხრილი ადაპტირებულია ავტორის მიერ (Management...)

როგორც უკვე აღვნიშნეთ პუბლიცისტი ჯეფრი ბაუმგარტნერი გამოყოფს შვიდ ძირითად თვისებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს ინოვაციურ კომპანიას. განვიხილოთ თითოეული:

1. უნიკალური და რელევანტური სტრატეგია. ალბათ პირველი, რაც უნდა ახასიათებდეს ინოვაციურ კომპანიას სწორედ, უნიკალური და რელევანტური სტრატეგია გახლავთ. ყველასათვის ცნობილია ისეთი კომპანიები, როგორცაა Apple, Space X, Facebook და Google. ეს იმიტომ, რომ მათი განვითარების სტრატეგიები ნათლად გასაგებია და ამასთან, განუწყვეტლივ იხვეწება. თუკი ორგანიზაციას არა აქვს უნიკალური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია ის ვერ იქნება ინოვაციური. მშრალი სტრატეგიული მიზნები ისეთი როგორცაა „იყავი საუკეთესო“ ვერ იქნება ინოვაციური კომპანიის წარმატების საწინდარი, ვიდრე ისეთი სტრატეგიები, როგორცაა „მობილური კავშირის სამყაროში ტექნოლოგიურად მოწინავე პოზიციის დაკავება“ ან „ნებისმიერი რაღაცის ნებისმიერ წერტილში მიწოდება“. თუკი ორგანიზაციის სტრატეგია არ გამოარჩევს მას კონკურენტებისაგან, მენეჯერმა სასწრაფოდ უნდა შეცვალოს იგი.

2. ინოვაციები - სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალება. მაღალ-ტექნოლოგიური კომპანიები ინოვაციებს მიიჩნევენ სტრატეგიული მიზნის მიღწევის ძირითად საშუალებად. როგორც კარგი ფოტოაპარატი ეხმარება პროფესიონალ ფოტოგრაფს, რომ გადაიღოს კარგი ფოტოები, ისევე ორგანიზაციებს ეხმარება ინოვაციები თავიანთი სტრატეგიული მიზნის მიღწევაში. მართლაც თუ გადავხედავთ მსოფლიოს ყველაზე ინოვაციურ კომპანიების ვებ-საიტებს, ისინი ინოვაციებს ასახავენ თავიანთ კორპორატიულ ხედვაში.

3. ინოვატორები არიან ლიდერები. ინოვაციები ბაზარზე ლიდერული პოზიციების მოპოვების ძირითადი განმაპირობებელია. როდესაც კომპანიები ირჩევენ ინოვაციებს თავიანთი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ისინი ხშირ შემთხვევაში ლიდერობენ თავიანთ ბაზრებზე. კომპანია Amazon დასაწყისშივე გახლდათ ნოვატორი, როდესაც დანერგა ახალი სტანდარტები ელექტრონულ ვაჭრობაში. მიუხედავად ამისა, კომპანიას რამდენიმე წელი მაინც დაჭირდა, რომ გასულიყო მოგებაზე. Cord იყო ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური ავტომობილების მწარმოებელი კომპანია მსოფლიოში, როცა 1920-30 იან წლებში ბაზარზე გამოჩნდა

Cord-ის ავტომობილი წინა წამყვანი თვლებით და ე.წ. მცურავი ფარებით. მიუხედავად ამისა კომპანიამ ვერ მიაღწია ფინანსურ წარმატებას და დაასრულა არსებობა 1938 წელს. მეორეს მხრივ ისეთი ინოვაციური კომპანიები, როგორცაა Apple და Google თავიანთ ინოვაციურ მიდგომებთან ერთად ყოველთვის იყვნენ ლიდერები და ფინანსურად წარმატებულები. ამრიგად ნოვატორები არიან ლიდერები, თუმცა ყოველთვის არ გამოირჩევიან მაღალი შემოსავლებით.

4. ინოვატორთა იმპლემენტაცია. ბევრ კომპანიას ჰყავს შემოქმედებითი ნიჭის მქონე თანამშრომლები, რომელთაც აქვთ ბევრი იდეა, მათ შორის ზოგიერთი იდეა პირდაპირ კავშირში კომპანიის მიზნებთან. ინოვაციური კომპანიები ახორციელებენ თავიანთ იდეებს, ვიდრე ნაკლებად ინოვაციური კომპანიები, რომლებიც უფრო მეტს საუბრობენ იდეებზე ვიდრე ფიქრობენ მათ განხორციელებას.

5. „უარის თქმაც შესაძლებელია“. ორგანიზაციული კულტურის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ინოვაციურ კომპანიაში გახლავთ წარუმატებლობის წახალისება. თუკი პერსონალმა იცის, რომ თავისი იდეის წარუმატებლობის შემთხვევაში მათ პროფესიულ კარიერას საფრთხე არ დაემუქრება, ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან ინოვაციური პროექტებით, რომლებიც მეტად საჭიროა ინოვაციური კომპანიისათვის. მეორეს მხრივ, თუკი პერსონალი თვლის, რომ მის მიერ შეთავაზებული პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში მას დაემუქრება სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ისინი გაექცვიან ამ რისკებს. ეს ორი შემთხვევა შეიცავს, როგორც დადებით ასევე უარყოფით ელემენტებს, ამიტომ მენეჯერმა უნდა დაარეგულიროს ეს პროცესი ისე, რომ არცერთი ღირებული იდეა არ დაიკარგოს და თან წარუმატებელი პროექტების განხორციელება არ იქცეს კომპანიისთვის ფინანსური ზარალის მომტანი.

6. ნდობის ფაქტორი. ინოვაციურმა კომპანიამ თანამშრომელთათვის უნდა უზრუნველყოს სანდო ატმოსფეროს შექმნა. ზოგჯერ დიდებული იდეები დასაწყისში თითქოს არ იძლევა იმედს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ინოვაციური კომპანიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი გახლავთ გუნდური მუშაობის პრინციპი. შესაბამისად, თანამშრომლები თავიანთ იდეებს ავრცელებენ პირველ რიგში ჰორიზონტალურად, რა პროცესშიც იდეა რამდენადმე იხვეწება და ამის შემდეგ უკვე უშუალო მენეჯერთან განიხილება ესა თუ ის იდეა. წარმოიდგინეთ

ასეთ ვითარებაში თუკი თანამშრომლებს შორის იქნება კონფლიქტური სიტუაცია ან ერთმანეთისადმი ცინიკური დამოკიდებულება მინიმალურ დონეზეც კი მაშინ ეს გარემოება უკვე საფრთხეს უქმნის მთლიანად ორგანიზაციის მიზნებს, ამიტომ ინოვაციური მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ეგ არის, რომ ხელი შეუწყოს და შექმნას ისეთი გარემო რომ თანამშრომლებს შორის იყოს ნდობა და გაუზიარონ ერთმანეთს ნებისმიერი იდეა.

7. აუტონომია. ნდობა, არ უნდა აღვიქვათ მხოლოდ თანამშრომლებს შორის საჭირო - აუცილებელ ფაქტორად. დაქვემდებარებულსა და ხელმძღვანელს შორის ნდობა მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის, როდესაც მენეჯერი ენდობა კონკრეტულ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს და არ აკონტროლებს მათ ყოველ ქმედებას, რაც საბოლოო ჯამში დააკომპლექსებს პირებს და ასეთ გარემოში კი ინოვაციებზე საუბარიც ზედმეტია. ხელმძღვანელმა უნდა მისცეს კონკრეტულ ინდივიდებს და ჯგუფებს დავალებები, დაუსახოს მიზნები, მისცეს მითითებები ნებისმიერ დროს, უპასუხოს კითხვებს და ა.შ.. მაგრამ ეს ყველაფერი უნდა აკეთოს ისე, რომ დამოუკიდებლობა არ შეუზღუდოს. ასეთ გარემოში შესაძლებელია თანამშრომლებმა დაუშვან შეცდომები, არასწორად აირჩიონ მიზნის მიღწევის გზები თუ სხვა, მაგრამ ყველაზე ცუდ ვარიანტში ისინი თავიანთ შეცდომებზე ისწავლიან და აღმოაჩინენ ახალ მიდგომებს თავიანთ საქმიანობაში.

ინოვაციური ორგანიზაციის მახასიათებლების განხილვა დავიწყეთ ორგანიზაციის ინოვაციური სტრატეგიით და დავამთავრეთ კონკრეტულ თანამშრომელზე საუბრით. ინოვაციური მენეჯმენტის უმთავრესი ხიბლი გახლავთ ის, რომ მან იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომელი ორგანიზაციისათვის, რამეთუ მას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს ორგანიზაციის ბედი. სწორედ, ამიტომ კადრების შერჩევის დროს ორგანიზაციებმა არჩევანი უნდა გააკეთონ გონიერ, კრეატიულ და ღირსეულ პიროვნებებზე, მისცეს მათ სათანადო სტიმული, შეუქმნას შემოქმედებითი გარემო, სწორად დაუსახოს მიზნები და ისინი უმეტეს შემთხვევაში აუცილებლად შექმნიან ინოვაციურ პროდუქტსა თუ მომსახურებას.

ბოლო პერიოდში მაღალშემოსავლიანი კომპანიები ცდილობენ სხვადასხვა რეიტინგებში ყურადღება მიიქციონ ინოვაციური კომპონენტებით, რაც მათთვის

მომგებიანია უპირველესად მარკეტინგული თვალსაზრისით. ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კომპანიები SalesForce, Oracle, Tesla, Apple, Shanghai RAAS Blood Products, Netflix, Uber, Space X და სხვა.

მოცემულ ჩამონათვალში ჩვენ ვახსენეთ კომპანია - Space X, რომელიც ნამდვილად გამორჩეულია, როგორც თავისი მიზნებით ასევე, მაღალრისკიანობით. განვიხილოთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინოვაციური მენეჯერის ელონ მასკის, კომპანია Space X-ის სხვადასხვა ასპექტები, რათა უფრო ნათელი გახდეს თანამედროვე მენეჯმენტის თავისებურებები.

Space X ეს არის კოსმოსური ხომალდების მწარმოებელი ამერიკული კომპანია, რომელიც 2002 წელს დაარსა ელონ მასკმა. კომპანიაში დასაქმებულია 4000-ზე მეტი თანამშრომელი. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიას აქვს ფილიალები აშშ-ს 5 შტატში. კომპანიის მიზანია კოსმოსური ფრენების მკვეთრი გაიაფება, რაც კაცობრიობას მარსის კოლონიზაციის საშუალებას მისცემს. ფასის მკვეთრი შემცირება ძირითადად უნდა მოხდეს რაკეტების მრავალჯერადი გამოყენების შედეგად.

ცხრილი N 10. Space X -ის დახასიათება

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> -კერძო კომპანია; -უნიკლურობა; -ხომალდების წარმოება; -მაღალი ხარისხის მმართველობის ნდობა; -საჯარო პროფილი; -კონკურენტუნარიანობა. 	<ul style="list-style-type: none"> -ტექნოლოგიები; -სირთულეები; -ხელისუფლებაზე დამოკიდებულება; -ინფრასტრუქტურა;
შესაძლებლობები	საფრთხე
<ul style="list-style-type: none"> -იაფი სატელიტის ხელმისაწვდომობა; -საჰაერო ტურიზმი; -რაკეტის განვითარებული ტექნოლოგია; -ინოვაციური პოლიტიკის სტაბილურობა; -საქმიანი ურთიერთობა და კავშირი ნასასთან. 	<ul style="list-style-type: none"> -არასუვერენული სახელმწიფო; -სხვა კერძო კომპანიები; -რესურსები; -ტერორიზმი; -დედამიწაზე არსებული რესურსების გათვალისწინებით გათვალისწინებით.

წყარო : (Space X)

2011 წელს შეიქმნა Falcon Heavy კომპანიის სუპერ-მძიმე კოსმოსური ხომალდი. მას დედამიწის ქვედა ორბიტაზე 70 ტონა ტვირთის გატანა შეუძლია. ეს, სულ მცირე, ორჯერ მეტია, ვიდრე ნებისმიერი არსებული ხომალდის შესაძლებლობა. Space X-მა 2015 წელს მოახერხა კოსმოსური ხომალდის (Falcon 9) პირველი საფეხურის დედამიწაზე დაბრუნება და რბილად დასმა. Space X-ში უკვე შექმნეს Falcon1, Falcon 9 და კოსმოსური ხომალდი Dragon, რომელიც Falcon 9-ს გაყავს ორბიტაზე და

რომლითაც უკვე რამდენიმეჯერ მოხდა საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მომარაგება. კომპანიის 2017 წლის მიღწევებს შორის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განხორციელდა გამოყენებული ხომალდების წარმატებით გაშვება და დაბრუნება დედამიწაზე.

Space X მოკლევადიან პერიოდში მიზნად ისახავს შეინარჩუნოს კომპანია, რომელიც ქმნის და ავითარებს მარსზე მოგზაურობისათვის აუცილებელ ტექნოლოგიებსა და შესაბამის აღჭურვილობებს. რაც შეეხება გრძელვადიანს, Space X -ის მიზანია მარსის კოლონიზაციის ხელშეწყობა. Space X-ის სტრატეგიაა იმუშაოს და განახორციელოს თავისი მიზანი და საქმიანობა მსოფლიოში არსებული გამოწვევების კვალდაკვალ.

Space X-ის სტრუქტურა უმთავრესად არის ორგანული დიზაინის, სადაც გვხვდება მრავალფუნქციური ჯგუფები, რომლებიც ახორციელებენ საინჟინრო, სამეცნიერო და სამრეწველო სამუშაოებს. მას აქვს მატრიცის მსგავსი სტრუქტურა, რომელშიც დასაქმებულია სხვადასხვა სპეციალობისა და გამოცდილების მქონე ადამიანი, რომლებსაც გამუდმებით უწევთ არაერთ პროექტში მონაწილეობა და სხვადასხვა ფუნქციების შესრულება, რათა შენარჩუნებული იქნეს განვითარების დინამიკა. Space X არის ბიზნესის მოდელის ისეთი სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაკლები ფორმალურობა და მაღალი დეცენტრალიზაციის დონე. კომპანიის საქმიანობის კიდევ ერთი უმთავრესი მიმართულებაა მუდმივი სტრუქტურული განვითარება. ამიტომაც კომპანია ორიენტირებულია ყველაზე ინოვაციური და განვითარებული ტექნოლოგიების მქონე ორგანიზაციაში მიიზიდოს ნიჭიერი და ნათელი გონებით დაჯილდოებული კადრები.

წარმატებული და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელია ფინანსების სწორი მართვა. რასაკვირველია საჰაერო ტრანსპორტირება ძვირადღირებულ რისკებთანა დაკავშირებული, შესაბამისად თითოეული წარუმატებელი ნაბიჯი, მარცხი სერიოზულ ზეგავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე და შესაძლოა ფატალურიც კი აღმოჩნდეს.

კომპანია ორიენტირებულია ცვლად მენეჯმენტზე, რომელიც მიმართულია ინდივიდების და ჯგუფებისაკენ, რათა მათაც მოახდინონ ისეთი მეთოდების იმპლემენტაცია, რომლებიც კომპანიის ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებას უფრო

ეფექტურს გახდის მათ ხელთ არსებული რესურსების, ბიზნესის პროცესების, ბიუჯეტისა და ოპერაციის სხვა ფორმების გამოყენებით. Space X-სათვის, როგორც წამყვანი ინოვაციური კომპანიისათვის დამახასიათებელია ორგანიზაციის ისეთი ტექნიკური და სტრუქტურული მართვა, რომელიც ხელს უწყობს კომპანიის პროგრესულ მუშაობას ნებისმიერ გარემო ვითარებაში.

კომპანია ისწრაფვის გააუმჯობესოს მართვის სტრუქტურა და სტილი. ამისათვის დასაქმებულებს შეუძლია წერილობით (Feedback) მიმართოს ხელმძღვანელობას, ასევე ხშირად ტარდება ნებაყოფლობითი ინტერვიუები პირისპირ. მართვის მენეჯმენტი ასევე ითვალისწინებს განხილული იქნეს დასაქმებულთა საჭიროებები და ინტერესები.

საინტერესოა ასევე ის ფაქტიც თუ რამდენადაა დაცული დასაქმებულთა უსაფრთხოება კომპანიაში. მსგავსი საქმიანობა დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ისინი გამოიყენებენ სახიფათო მასალებსა და ქიმიურ ნივთიერებებს. Space X უზრუნველყოფს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულებას ყველაზე უსაფრთხო გზით, მათ აქვთ სპეციალური აღჭურვილობა, ხომალდის გაშვებისა თუ დაჯდომის დროს ყოველთვის დაცულია დისტანცია. გარდა ამისა ხომალდის წარმოებას სჭირდება სპეციალური ნებართვა, რომელსაც გასცემს აშშ-ს ეთიკის ორგანიზაცია. ისინი მუდმივ მონიტორინგს ახორციელებენ მსგავსი ორგანიზაციების.

რაც შეეხება Space X-ის პასუხისმგებელობას საზოგადოების მიმართ, იგი არამარტო აშშ-ს მოსახლეობის, არამედ მთელი მსოფლიოს წინაშეა ანგარიშვალდებული. ამას განაპირობებს რიგი ფაქტორები, კერძოდ, გარემოზე ეკოლოგიურ ზეგავლენას ახდენს კომპანიის გამონახობა. წარუმატებელი ცდის შემდგომ ხდება ენერჯისა და საწვავის გაფანტვა ჰაერსა თუ ოკეანეში. კომპანია ასევე პასუხისმგებელია იმ ხალხზე, რომლებიც გეგმავს მონაწილეობას პროექტში და მოგზაურობს ჯერ კიდევ შორეულ აღმოუჩენელ პლანეტაზე.

კომპანია Space X-ის ძირითადი მახასიათებლების განხილვის შემდგომ ალბათ უფრო ნათელი გახდა ის თვისებები და თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე ინოვაციურ კომპანიას. საქართველოში უახლოეს პერიოდში ცხადია ვერ შეიქმნება მსგავსი მასშტაბის კომპანიები, თუმცა შესაძლებელია შედარებით

მომცრო სტარტაპების განხორციელება, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ქვეყანაში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებაზე.

ის სულისკვეთება, რაც გააჩნიათ კომპანია Space X-ის მენეჯმენტსა თუ რიგით თანამშრომელს ნამდვილად უნიკალურია და გარკვეულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან არის კავშირში, ამიტომ ორგანიზაციის ინოვაციურ შესაძლებლობათა მართვა, საქართველოს პირობებში მთელი მისი აქტუალობის მიუხედავად, განხილული უნდა იქნეს, როგორც ზოგადად მენეჯმენტის ერთგვარი რეფორმა, რომელშიც ჩართულია, როგორც უშუალოდ სახელმწიფო უწყებები, ასევე კერძო სექტორი. ვინაიდან, ინოვაციური ეკონომიკის განვითარება პირდაპირ-პროპორციულადაა კავშირში თითოეულ ორგანიზაციაში მენეჯმენტის სწორ და მიზანმიმართულ განხორციელებაზე. თავის მხრივ, ინოვაციური განვითარების სტრატეგიაზე დამოკიდებული ორგანიზაციის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა ცვალებად პირობებში. სტრატეგიის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ისეთი პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, გაზრდის ორგანიზაციის ეფექტიანობასა და რენტაბელობას.

თავი III. ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების ძირითადი თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოში

3.1. ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის ძირითადი

მექანიზმები საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო თამაშობს და ეს როლი ყოველდღიურად უფრო და უფრო იზრდება. პარალელურად იზრდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მხრიდან ინოვაციური პროცესებისადმი ინტერესიც. შესაბამისად, განვითარდა ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერისა და წახალისების ფორმები. ამ მიმართულებით ვიდრე გადავალთ საქართველოში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმებსა და აქტივობებზე, მიმოვიხილოთ მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებში, ინოვაციური საქმიანობის წახალისების მიზნით სახელმწიფოს მხარდაჭერის ძირითადი თავისებურებები.

იაპონიაში, საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა საინოვაციო პოლიტიკა, რომლითაც მხარს უჭერს კონკურენტუნარიანი, მაღალი პრიორიტეტულობის მქონე ტექნოლოგიების დაფინანსებას. ანალოგიურად, ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფი ზოგიერთი სახელმწიფო აფინანსებს მრავალრიცხოვან კოოპერატიულ კვლევებს. ევროკავშირმა ასევე დანერგა EC-სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების სტიმულირებას და მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის მდგრადი განვითარება. აღნიშნული სტანდარტიზაციის პროცესში იქმნებოდა არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი ინოვაციებთან მიმართებაში და ინოვაციების წამახალისებელი სხვადასხვა მექანიზმები და პროგრამები, მათ შორის აღსანიშნავია ჩვენ მიერ უკვე ნახსენები „ჰორიზონ-2020“.

გარდა ევროკავშირის ზოგადი ღონისძიებებისა ინოვაციების მხარდაჭერის კუთხით ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებს გააჩნიათ თავიანთი ინდივიდუალური პროგრამები, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს ინოვაციური პროექტების განხორციელებას. მაგალითად, შოტლანდია გამოირჩევა ჯანდაცვისა და სამედიცინო პროდუქტების ინდუსტრიაში ინოვაციების მხარდასაჭერი აქტიურობით. გერმანიის კვლევისა და ტექნოლოგიის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები

განახორციელა მეგაპროექტებში, რომლებიც ითვლება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონედ, მაგალითად მაგნიტური ლევიტაცია. საფრანგეთის მთავრობამ ინვესტიცია გაუწია ვიდეო და სატელეკომუნიკაციო ინოვაციების მხარდაჭერას. ჩრდილოეთ ევროპაში და სკანდინავიაში კი შეიმჩნევა გარემოს დაცვით ტექნოლოგიებში ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, ასევე კვების პროდუქტებსა და შეფუთვაზე.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქვეყანაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამრეწველო და ტექნოლოგიური პოლიტიკის მიმართ ძლიერი წინააღმდეგობები შეიმჩნევა, ყველა სფეროში სახელმწიფო ორიენტირებულია ინოვაციების ხელშეწყობაზე. ეროვნული აერონავტიკა და კოსმოსური ადმინისტრაცია (NASA) დიდი ხანია მხარს უჭერს ტექნოლოგიების ინოვაციას და კომერციალიზაციას. სხვა ფედერალური ლაბორატორიები, კერძოდ, თავდაცვის დეპარტამენტისა და ენერჯეტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები, აქტიურად ახორციელებენ თავიანთი რესურსების ხელმისაწვდომობას კოოპერატიულ კვლევებზე ცალკეული ბიზნესის ან მრეწველობისთვის. აშშ-ის მთავრობის მიერ ინოვაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების მეშვეობითაც.

შეერთებულ შტატებსა და კანადაში პროვინციულ დონეებზეც კი ინოვაციების დიდი მხარდაჭერა შეიმჩნევა. ადგილობრივი, ფედერალური მთავრობები და კერძო ინდუსტრიები მხარს უჭერენ მსხვილ და საშუალო ზომის ბიზნესში ინოვაციების ხელშეწყობას. ასევე არსებობს მრავალი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული საჯარო/კერძო კვლევითი ორგანიზაციები (მაგ., მასაჩუსეტსის მიკროელექტრონული ცენტრი). გარდა ამისა, პრაქტიკულად ყველა შტატსა და პროვინციას აქვს ინოვაციისა და ახალი საწარმოების მხარდაჭერის ქსელი.

თანამედროვე მკვლევარი გრეგ სატელის მიერ, თავის სტატიაში მოყვანილია ოთხი უნიკალური მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თუ როგორ ახდენდა სახელმწიფო ინოვაციების მხარდაჭერას და რა შედეგები მიიღო სანაცვლოდ:

1. DARPA. 1939 წელს ლე სილარდმა თავის მეგობარს ალბერტ ეინშტეინს გაუგზავნა წერილი, სადაც საუბარი იყო საიდუმლო მოწყობილობის შესახებ, რომელსაც შეეძლო მოეცვა მთელი რიგი ქალაქები. ეინშტეინმა თავის მხრივ ეს ყველაფერი აცნობა ფრანკლინ რუზველტს, იგი დაინტერესდა ამ მოწყობილობით და დაიწყო სახელმწიფო მხარდაჭერის პროცესი. შედეგად ჩამოყალიბდა კვლევით-სამეცნიერო ცენტრი მანჰეტენის პროექტის სახელით, სადაც შეიქმნა პირველი ბირთვული იარაღი, რამაც ამერიკას და მის მოკავშირეებს მოაპოვებინა მთელი რიგი უპირატესობები. მოგვიანებით პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აღნიშნული ცენტრი ჩამოაყალიბა, როგორც სააგენტო - DARPA (თავდაცვის სფეროში პერსპექტიული პროექტების კვლევის სააგენტო). მას შემდეგ DARPA იქცა ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან ცენტრად. მისი უშუალო ჩართულობით განვითარდა ინტერნეტი, GPS სისტემა და სხვა.

2. NIH. ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის ნაციონალური ინსტიტუტის (NIH) მხარდაჭერით იქმნება მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტები. აღნიშნული ორგანიზაციის ბიუჯეტი 2018 წელს დაახლოებით 40 მილიარდი დოლარი გახლდათ. მისი მხარდაჭერით შეიქმნა სხვადასხვა ვაქცინები და მძიმე დაავადებების მკურნალობის ინოვაციური მეთოდები. ამერიკის კონგრესში ჩატარებული კვლევის მიხედვით ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პრეპარატების 60% იქმნება სწორედ ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის ნაციონალური ინსტიტუტის (NIH) უშუალო ჩართულობითა და ფინანსური მხარდაჭერით, რაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე დადებითად აისახება.

ორგანიზაციამ დააფინანსა ცნობილი პროექტი „ადამიანის გენომი“ 3,6 მილიარდი ამერიკული დოლარით, რომელმაც ერთგვარი რევოლუცია მოახდინა მედიცინის სფეროში და გარდა ამისა, პროექტის ეკონომიკური ეფექტი უკანასკნელ პერიოდში ყოველწლიურად დაახლოებით ტრილიონი დოლარია.

3. In-Q-Tel. აშშ-ში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს სახელმწიფო შესყიდვები გახლდათ სხვადასხვა უარყოფითი ნიშან-თვისების შემცველი. ბიურაკრატიული პროცესი, შერჩევა-შეფასების ხანგრძლივობა და სხვა ნიუანსები აფერხებდა შემსყიდველი სახელმწიფო უწყებების ტექნოლოგიურ განვითარებას. მოგეხსენებათ სწორედ, ამ პერიოდში ერთგვარი ტექნოლოგიური ბუმი იყო

ამერიკაში. მაგალითად, როცა ბაზარზე გამოჩნდებოდა ახალი ტექნოლოგია, სანამ დასრულდებოდა შესყიდვის პროცესი უკვე აღნიშნული ტექნოლოგია გაუმჯობესებული სახით იწარმოებოდა.

სახელმწიფო პროგრამა (ვენჩურული ფონდი) In-Q-Tel შეიქმნა 1999 წელს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (Central Intelligence Agency, CIA) ინიციატივით, რომლის ძირითადი ამოცანა ინფორმაციის შეგროვება და ანალიზია უცხოური ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საქმიანობის შესახებ. ფონდის შექმნის ძირითადი მოტივი გახლდათ ბრალდება საზოგადოების მხრიდან თითქოს სააგენტო მნიშვნელოვნად ჩამორჩება კერძო კომპანიების ტექნოლოგიური განვითარების დონეს საძიებო სისტემების მიმართულებით. თავდაპირველად In-Q-Tel-ის ბიუჯეტად განისაზღვრა 30 მილიონი ამერიკული დოლარი და აფინანსებდა დამწყებ ფირმებს, რომლებიც მუშაობდნენ ინტერნეტ-აპლიკაციებზე განსაკუთრებით კი საძიებო და კვანტურ სისტემებზე. ფონდის მიერ დაფინანსებულ ფირმებს შეუძლიათ დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება ფონდის პარტნიორთაგან, მათ შორის არის პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანი ჯეფ ბეზოსი.

დღეისათვის აღნიშნული პროგრამა დიდი პოპულარობით სარგებლობს და პროგრამის ფარგლებში ასეულობით დაფინანსებულ პროექტებს შორის არის ისეთი ცნობილი ტექნოლოგიური სიახლეები, როგორც არის: Browse3D, Stratify, SafeWeb და სხვა.

4. SBIR მცირე ბიზნესის ინოვაციური კვლევების (SBIR) მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებას ნამდვილად შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ინოვაციური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაში.

პროგრამა შედგება სამი ფაზისაგან. პირველ ფაზაში ხდება ბიზნესის კონცეფციის განსაზღვრა და მისი მაქსიმალური დაფინანსება 150 000 დოლარია; მე-2 ფაზაში ინოვაციური კომპანიის კვლევების დაფინანსება ხორციელდება, რომლის მაქსიმალური ოდენობა მილიონ დოლარს აღწევს და მესამე ფაზა, როდესაც უკვე კერძო ინვესტიციების მოძიება მიმდინარეობს და პარალელურად შესაძლებელია სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გარკვეული ბენეფიტის მიღება.

Qualcomm, iRobot и Symantec - ეს მცირე ჩამონათვალია ამერიკის მცირე ბიზნესის ინოვაციური კვლევების (SBIR) მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის წყალობით ჩამოყალიბებული წარმატებული პროექტებიდან (**Government...**).

ზემოთ განხილული მაგალითები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ინოვაციური პროექტების მიმართ სახელმწიფოს ყურადღებასა და მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორც საქართველოა.

დღეისათვის საქართველოში ხელისუფლება აქტიურად ცდილობს სხვადასხვა მექანიზმებით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებას, ტექნოლოგიების გამოყენებას ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ტრანსფერის ზრდას და სხვა. შესაბამისად, ადგილობრივი, რეგიონული თუ ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების სოციალურ-ეკონომიკურ (სამოქმედო) გეგმებში ინოვაციები და ინოვაციური მიდგომები ერთ-ერთი პრიორიტეტულია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების 3 პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთი ინოვაციები და ტექნოლოგიებია.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში განმარტებულია რომ ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემის და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა წარმოადგენს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. სახელმწიფო წახალისებს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას. სახელმწიფო მხარს დაუჭერს ცალკეულ ინოვაციურ და განსაკუთრებული (თანმდევრი) სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მქონე სამრეწველო პროექტებს. პროექტების განხორციელებისას, საქართველოს მთავრობა იხელმძღვანელებს ისეთი პრინციპებით, როგორებიცაა ინოვაციურობა, ექსპერიმენტულობა და მდგრადობა, გამჭვირვალობა და წარმატების კრიტერიუმების სიცხადე, სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა.

სტრატეგიაში ხაზია გასმული ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სხვადასხვა მიმართულებაზე. პირველი მიმართულება გახლავთ კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა. ამ პუნქტში განმარტებულია, რომ კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მთავრობა ხელს შეუწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც გულისხმობს გამოყენებითი კვლევების წარმოებაში დახმარებას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით, ასევე სხვა ინსტრუმენტების შემუშავებით. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, ამ კუთხით საქართველოს მთავრობა იზრუნებს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

მეორე მიმართულება გახლავთ - ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ინოვაციის მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს: შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, რეგიონული განვითარების სააგენტოები და საინოვაციო ცენტრები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის, უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციას. უნდა ითქვას, რომ 2017-2018 წლებში ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა ვინაიდან, სამოქალაქო ჩართულობა არ არის სათანადო სავარაუდოა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება ვერ იქნება თანმიმდევრული, ამ კუთხით არსებული რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

მესამე მიმართულება - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერებაა. ინოვაციების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. ამ მიზნით, ზემოაღნიშნული სტრატეგიის თანახმად, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული

საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად.

მეოთხე მიმართულება - ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, ასევე, მთელი მოსახლეობისთვის. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით სტრატეგიაში ნათქვამია, რომ შესაბამის პერიოდში საქართველოს მთავრობა იზრუნებს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტზე და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებზე ხელმისაწვდობა. ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა, სავარაუდოდ ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტზე და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროდუქტებზე ხელმისაწვდობა დოკუმენტში განსაზღვრულ ვადაში იქნება უზრუნველყოფილი, რაც გარკვეულწილად გაზრდის სოფლებსა და დაბებში ინოვაციებისადმი ინტერესსა და აამაღლებს შესაბამისი მოქალაქეების ცნობიერებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან მიმართებაში.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მეხუთე მიმართულება გახლავთ თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, სტრატეგიის თანახმად, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარება იქნება.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ, ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების ფარგლებში გატარებული პოლიტიკის

მთავარ (სასურველ) შედეგად მიიჩნევა: კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობა, ამის შედეგად, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ორიენტაცია და სხვა. მთლიანობაში შესაძლებელია აღნიშნული შედეგის მიღწევა, თუმცა ამისთვის მხოლოდ სახელმწიფო ნება არ არის საკმარისი და დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მოქმედ თითოეულ ორგანიზაციას, მისი დანიშნულების მიუხედავად ყველა უნდა ჩაერთოს ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვასა და პოპულარიზებაში, ხოლო ეკონომიკური განვითარებისათვის პირველ რიგში ბიზნეს სექტორმა უნდა იაქტიუროს.

ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა. ბოლო პერიოდში ქართული ეკონომიკის ტექნოლოგიური ბაზა მეტ-ნაკლებად ახლდება, არსებითად არ არის შექმნილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა თუმცა ამ კუთხით განხორციელდა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო („სააგენტო“). სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიური ბიზნესისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშეწყობი მექანიზმების, პროექტების, პროგრამების და ინფრასტრუქტურის ფორმირება. სააგენტო შექმნის დღიდან, კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული კომპეტენციების ფარგლებში, ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, მათ შორის:

- საგრანტო დაფინანსება: 2014-2015 წელს განხორციელდა პირველი საგრანტო კონკურსი, რომელიც გულისხმობდა ინოვაციური ბიზნეს იდეების/პროექტების 50 000 ლარამდე საგრანტო დაფინანსებას. პარალელურად, დაიწყო და ამჟამადც მიმდინარეობს მცირე (5000 ლარამდე) საგრანტო დაფინანსება, რომელიც გაიცემა ინოვაციური პროდუქტის პროტოტიპის შექმნის, გრანტის მიმღების მიერ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისა და საქართველოში დაგეგმილი ინოვაციების მხარდასაჭერი ღონისძიების დასაფინანსებლად.

- ინოვაციების ინფრასტრუქტურა: სააგენტოს მიერ ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით უნივერსიტეტების და მუნიციპალიტეტების ბაზებზე, საგრანტო დაფინანსების გზით, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებისა და ინოვაციების ცენტრების გახსნა და ასეთი ლაბორატორიებისა და ცენტრების ქსელების კოორდინირება და ასევე პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ორგანიზება; 2018 წლის ზაფხულამდე, სააგენტოს მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით გაიხსნა რვა ლაბორატორია და სამი ინოვაციის ცენტრი.

2015 წელს სააგენტოს მიერ განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი - პირველი ტექნოლოგიური პარკის სახით, რომლის შედეგადაც შეიქმნა და თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიებით სრულად აღიჭურვა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი. ხოლო 2016 წელს ფუნქციონირება დაიწყო ასევე ზუგდიდის ტექნოლოგიურმა პარკმა.

- გადამზადება და სტარტაპების მხარდაჭერა: 2015 წლიდან ხორციელდება IT სპეციალისტების გადამზადების პროექტი.

2016 წელს დამწყები საწარმოების (სტარტაპების) მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „სტარტაპ საქართველო“, რომლის შედეგადაც დაფინანსდა 20 დამწყები (სტარტაპ) კომპანია თითოეული 100 000 ლარით. ტარდება თანადაფინანსების გრანტების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება ინოვაციური ბიზნეს პროექტები, თითოეული არაუმეტეს 100 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული საგრანტო კონკურსის ბიუჯეტია 2 მილიონი ლარი.

2016 წლიდან სააგენტოს მიერ დაიწყო ბიზნეს ინკუბატორისა და აქსელერატორის პროგრამები. აღნიშნულის ფარგლებში ხდება კონკურსის გზით სტარტაპების შერჩევა, მათი უზრუნველყოფა ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსით, რომლის საბოლოო მიზანია პროგრამების მონაწილე სტარტაპების მომზადება პირველადი ინვესტიციის მისაღებად.

სააგენტო ასევე ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

„სტარტაპ მეგობრული“, რაც გულისხმობს ონლაინ პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც მოხდება კერძო ბიზნესისა და სტარტაპების ერთმანეთთან დაკავშირება, სტარტაპების მხარდაჭერა, მათთვის სხვადასხვა სახის მომსახურებისა და პროდუქტის შეთავაზების გზით.

„სტარტაპ ბითსი“, რაც გულისხმობს საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეწარმეების მიერ ქართველი სტარტაპებისთვის გამოცდილების გაზიარებას.

„ბუთექემფი“ - ინოვაციური ბანაკები, რომლის ფარგლებშიც მონაწილე სტარტაპებს უტარდებათ ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული თემატური ტრენინგები და ხდება დამწყები ბიზნესისათვის საინტერესო გამოცდილების გაზიარება.

სააგენტო 2016 წლიდან მუშაობს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის შექმნის პროექტზე. ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის მიზანია ინოვაციების კომერციალიზაცია, ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების ავტორებისა და ინვესტორების დაკავშირების გზით.

ზემოაღნიშნულის გარდა, განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკსა (IBRD) და საქართველოს მთავრობას შორის 2016 წელს გაფორმებული საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სააგენტო ახორციელებს მასშტაბურ პროექტს „ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემა“ (GENIE).

2019-2022 წლებში სააგენტო გეგმავს, როგორც არსებული პროექტების გაგრძელებას, ასევე ახალი პროექტებისა და იდეების განხორციელებას.

ევროკავშირის გრანდიოზული პროექტის „ჰორიზონტი 2020“-ის ეროვნული საკონტაქტო პირები საქართველოში სხვა ორგანიზაციებთან ერთად გახლავთ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოც, რომლებიც შემდეგ მომსახურებას სთავაზობენ პროგრამით დაინტერესებულ პირებს:

- ჰორიზონტი 2020 თემისა და ქმედების ტიპის შერჩევაზე კონსულტაცია;
- ადმინისტრაციული პროცედურებსა და სახელშეკრულებო საკითხებზე რჩევის აღმოჩენა;
- საპროექტო წინადადების დაწერასთან დაკავშირებით დახმარება;
- დოკუმენტაციის გავრცელება (ფორმები, სახელმძღვანელოები და ა.შ.)
- პარტნიორების მოძიებაში დახმარება.

ჰორიზონტი 2020 არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის უმსხვილესი პროგრამა დაახლოებით 80 მლრდ ევროს ბიუჯეტით, რომელიც 7 წლის მანძილზე (2014-2020) გრანტების სახით მოხმარდება სამეცნიერო თუ კვლევით აღმოჩენებს,

გამოგონებებს, ინოვაციებს და საუკეთესო იდეებს. პროგრამის მისიაა ხელი შეუწყოს მეცნიერებას, უპასუხოს საზოგადოებრივ და ინდუსტრიულ გამოწვევებს. ჰორიზონტ-2020 წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროპის კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნულში მოიაზრება ეკონომიური ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. სწორედ ამ მიზეზით, ჰორიზონტი 2020-ს გააჩნია სოციალურ-პოლიტიკური მხარდაჭერა ევროპის ლიდერების, ევროკავშირის პარლამენტის წევრებისა და შესაბამისი საზოგადოების მხრიდან. ჰორიზონტ 2020 პროგრამის ამოცანებია: უზრუნველყოს თანამედროვე მეცნიერების განვითარება, ხელი შეუწყოს ინოვაციას და შექმნას ინოვაციებისათვის ხელსაყრელი გარემო საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის გზით (სააგენტო ...B) .

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან წინაპირობებს ჰქმნის სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს.

„აწარმოე საქართველოში“ – ბიზნესის მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

„აწარმოე საქართველოში“ – ექსპორტის მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

„აწარმოე საქართველოში“ - ინვესტიციის მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა

ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

2018 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, სულ 2014 წლიდან მხარდაჭერილია 418 პროექტი (მოიცავს ინდუსტრიულ, სოფლის, სასტუმროს და ქონების მიმართულებებს), რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1 მილიარდ ლარზე მეტია. საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში 547 მლნ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტებით სულ შეიქმნება 15 900-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების კუთხით ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად გამოიკვეთა სოფლის მეურნეობა. ამ მიმართულებით მთავრობის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და პროგრამები, რომელთაც გააჩნიათ ინოვაციური კომპონენტი და ვფიქრობთ, თითოეული მათგანი თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციებისა და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას. მათ შორის:

- 2018 წლიდან დაიწყო სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“. პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით. პროექტის მიზნებია:

- სოფლად ახალგაზრდების მხრიდან მეწარმეობის განვითარება და ბიზნესში ჩართულობა;
- რეგიონებში ეკონომიკური ზრდის და კერძო სექტორის გაძლიერება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში ინვესტიციების განხორციელება, რომელთა შედეგად, გაუმჯობესდება ახალგაზრდა მეწარმეების სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები;

აღნიშნული პროექტი ისევე, როგორც ნებისმიერი მეწარმეობის ხელშემწყობი პროექტი სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს ბიზნეს იდეებს, მათ შორის ახალგაზრდებში გაზრდის ინოვაციური იდეებისადმი ინტერესს.

- “შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი”-ს ფარგლებში 2013-2018 წლებში გაცემულია საბანკო სესხები. აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. 2018 წელს „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ 10-ზე მეტი ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაცია იყო ჩართული.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 28.02.2018 წლის თარიღის მდგომარეობით გაიცა:

- საბრუნავი საშუალების მიზნობრიობით:
470 778 444 ლარის ღირებულების 11 597 სესხი;
26 535 048 დოლარის ღირებულების 79 სესხი;
- ძირითადი საშუალების მიზნობრიობით:
599 506 453 ლარის ღირებულების 16 550 სესხი;
220 359 279 დოლარის ღირებულების 2 221 სესხი;

ყველაზე მეტი სესხი გაიცა მესაქონლეობის, მეცხვარეობის, შერეული მემცენარეობის, მარცვლეულის წარმოების, მევენახეობის მიზნობრიობით (სამინისტრო... A).

- სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ს 2015-2018 წწ. პროექტი მიზნად ისახავს: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა.

2015 წლის დასაწყისიდან 31.03.2018 წლის თარიღის მდგომარეობით დანერგე მომავლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული გახლდათ ბაღების 807 და 2 სანერგე მეურნეობის განაცხადი. ბაღების კომპონენტში გაშენებული ფართობი შეადგენდა 4 885 ჰა-ს. სახელმწიფო დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 25,8

მილიონი ლარი. სანერგე მეურნეობების გასაშენებელი ფართობი შეადგენდა 4 ჰა-ს, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსება - 85 529 ლარს.

- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“. პროექტის მიზანი: ჩაის, როგორც აგრარული კულტურის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიოჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა და შედეგად, ქვეყანაში თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. 31.03.2018 წლის თარიღის მდგომარეობით აღნიშნული პროექტის ფარგლებში დამტკიცებული გახლდათ 33 განაცხადი. ჯამური ფართობი შეადგენდა 795 ჰა-ს. პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენდა 1 994 546 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება იყო 1 407 342 ლარს.

- სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR) თანადაფინანსების პროგრამა (აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა). პროექტის მიზანი: აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას; მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობას; საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. პროგრამა მოიცავს კომპონენტებს, როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის.

31.03.2018 წლის თარიღის მდგომარეობით პირველადი წარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 167 პროექტი. ჯამური ინვესტიციით 6 082 091 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენდა 2 416 010 ლარს; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტში დამტკიცებული იყო 6 განაცხადი, ჯამური ინვესტიციით 3 003 324 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენდა 1 178 783 ლარს.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების ფარგლებში (2014-2018 წლებში) გაიხსნა 170 ახალი საწარმო და გაფართოვდა 845 საწარმო (სამინისტრო...B). იმისათვის, რომ აღნიშნულმა საწარმოებმა სწორად განავითარონ თავიანთი საქმიანობა და მათი პროდუქცია თუ მომსახურება პასუხობდეს თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს საჭიროა

შესაბამისი მენეჯმენტის ხარისხი. თითოეული საწარმოს მენეჯმენტი უნდა ეფუძნებოდეს ცოდნას და თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლებიც აუცილებელია დარგის განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობისა და ეკო-სისტემის მიმართულებით კვლევით-სამეცნიერო თვალსაზრისით სხვადასხვა ინოვაციურ აქტივობებს ახორციელებს სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო რომლებიც მთლიანობაში ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციების პოპულარიზებასა და განვითარებას. მათ შორის:

- 2016 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული საშენ მეურნეობის მიერ მოეწყო ადგილობრივი ორნიტოფაუნის სახეობების საშენი. კერძოდ, კოლხური ხოხბის, კაკბის და ხონთქრის ქათმის. აღნიშნული საქმიანობა ფართოდ არის დანერგილი ევროპის ქვეყნებში, რითაც ხდება მონადირეთა მხრიდან ველურ ბუნებაზე ზეწოლის შემცირება და ხელი ეწყობა სამონადირეო მეურნეობების განვითარებას.

- 2017 წელს ასევე პირველად დაბა კვერეთში მოეწყო საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი მდინარის კალმახის საშენი მეურნეობა. რისთვისაც გამოყენებული იყო ცენტრალური ევროპის (სლოვენია, უნგრეთი) გამოცდილება. აღნიშნული საშენები ფართოდ არის გავრცელებული ევროპის ქვეყნებში მდინარეთა გათევზიანებისთვის.

- 2015-2017 წლებში საშენ მეურნეობაში გამოყვანილია საქართველოს „წითელ ნუსხის“ ბუნებაში მნიშვნელოვნად შემცირებული ისეთი სახეობების ხე - მცენარეები, როგორცაა ძელქვა, უხრავი, კოლხურ ბუა, ლაფანი, საკმლის ხე და ა.შ. ნერგების მიწოდება მიმდინარეობს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის და აგრეთვე რიგი მუნიციპალიტეტებისათვის, სადაც ოდესღაც გავრცელებული იყო აღნიშნული სახეობები, დღეს კი საგრძნობლად შემცირდა.

საშენი მეურნეობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები პირველ ეტაპზე გულისხმობს სადედე გუნდებისა და სარგავ - სათესი მასალის გენეტიკური ბანკის შექმნას, რის შემდეგაც დაგეგმილია სასტარტო მასალა მიეწოდოს როგორც

სამონადირეო მეურნეობებს, ასევე ადგილობრივ კერძო სანერგეებს შესაბამისი დარგების განვითარებისთვის (მეურნეობა...).

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ - 2016 წელს ინოვაციური პროექტის სახით, საქართველოში პირველად, დევდორაკის ხეობაში დამონტაჟდა ადრეული გაფრთხილების თანამედროვე (შვეიცარული) სისტემა, რომელიც ამალი-დევდორაკის ხეობაში ღვარცოფული პროცესების გააქტიურებას და წყლის დონეების მატებას კრიტიკულ ნიშნულამდე თანამედროვე ტექნოლოგიებით აკონტროლებს.

ასევე, აღნიშნულ პერიოდში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჩართულობით განხორციელდა კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ფონდის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მდ. რიონის აუზში დამონტაჟდა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების რამდენიმე ათეული ავტომატური სადგური, რამაც შექმნა აღნიშნულ რეგიონში მოსალოდნელი წყალდიდობა - წყალმოვარდნების შესახებ მაღალი გამართლებადობის პროგნოზების შედგენის საშუალება (გარემო...).

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ 2017 წელს, თბილისის მე-19 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ინტერაქტიული საგამოფენო პავილიონი წარმოადგინა, კერძოდ კი ვირტუალური რეალობის სათვალეები (VR Oculus rift), რომლის დახმარებითაც, დამთვალიერებლებს 3 დაცულ ტერიტორიაზე - მარტვილის და ბირთვისის კანიონებზე და ვაშლოვანის ეროვნულ პარკში შეეძლოთ ვირტუალურ რეალობაში მოგზაურობა. ვიდეო-რგოლები 360 გრადუსიანი ხედვის მქონე, უახლესი ტექნოლოგიების კამერებით იყო გადაღებული. 2018 წელს კი მე-20 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე სააგენტომ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ინტერაქტიული საგამოფენო პავილიონი წარმოადგინა, კერძოდ კი ინოვაციური პროექტი „დამატებითი რეალობა“, რომელიც საქართველოში პირველად განხორციელდა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სხვადასხვა დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის ევროკავშირი, გაერო და სხვა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მიერ საქართველოში შემოედინება

არამარტო ფინანსური რესურსი, არამედ უდიდესი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის. სწორედ, ამიტომ ვფიქრობთ, საინტერესო იქნება განვიხილოთ ზოგიერთი პროექტი, რომლებიც თავიანთი ბუნებით პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასთან.

ზემოაღნიშნული კუთხით პირველ რიგში უნდა გამოიყოს ევროკავშირი, რომელიც საქართველოსთან თანამშრომლობს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის (ENI) მეშვეობით, ENI წარმოადგენს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტს 2014-2020 წლების პერიოდში. მან შეიძლება ითქვას ჩაანაცვლა 2007-2013 წლების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის თანამშრომლობის ინსტრუმენტი (ENPI). სხვა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენენ თემატიკური პროგრამები, რომლებიც ძირითად აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. ევროკავშირი საქართველოს ეხმარება ძირითადად, სხვადასხვა სამოქმედო პროგრამების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად დაფინანსებულია ENI-ს ფარგლებში. ასევე, საქართველო იღებს დახმარებას ENI-ს ფარგლებში დაფინანსებული რეგიონული პროგრამებიდან (**EU NEIGHBOURS...**).

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების მნიშვნელოვან წინპირობას ქმნის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის შეიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმებს და საქართველოსთვის აღებს ევროკავშირის 500 - მილიონიან მომხმარებელთა შიდა ბაზრის კარებს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, რაც უმნიშვნელოვანესი ასპექტია. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა) და საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სამართალთან.

იმისათვის, რომ ქართულმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა სრულად ისარგებლონ ზემოაღნიშნული შესაძლებლობებით და გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა ევროკავშირის ქვეყნებში, აუცილებელია ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობა. მიმდინარე ადაპტირების პროცესი უმეტესწილად დაკავშირებული იქნება მეწარმეთა მხრიდან ახალი დანადგარებისა და ტექნოლოგიების ინვესტირებასთან, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტულ საწარმოებში ინოვაციური პროცესების განვითარებას.

ციფრული-ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონში გაიზარდოს ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის სამეცნიერო შინაარსის ინფორმაციაზე (პუბლიკაციები, პროგრამული უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო მასალა), რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ციფრული ეკონომიკის, მათ შორის „ციფრული უნარების“, „ICT ინოვაციების“, „ელექტრონული იდენტიფიკაციის, სანდო მომსახურებების, საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების (Trust&Secure), ელექტრონული ვაჭრობის (e-Trade), ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (Telecom) და ელექტრონული ჯანდაცვის (e-Health) ქსელების განვითარებაზე.

უშუალოდ მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ევროკავშირი ახორციელებს პროგრამას - მერები ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის. პროგრამა ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივ ადმინისტრაციას, რათა მათ შექმნან და განახორციელონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმები. ასევე, პროგრამა აძლიერებს ადგილობრივი თვითმმართველობების ტექნიკურ უნარებს, რათა მათ მიერ მოხდეს ეკონომიკური სტრატეგიების განხორციელება და მმართველობითი პრინციპების დახვეწა.

ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოში ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი სხვადასხვა მექანიზმები და აქტივობები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ჩამოყალიბდეს ეროვნული

ინოვაციური სისტემა, რომლის მხარდაჭერისას სახელმწიფომ უნდა გადაჭრას ორი ამოცანა. უპირველეს ყოვლისა, შექმნას ინოვაციური საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მეორე, განსაზღვროს პრიორიტეტები მიზნობრივი მხარდაჭერისათვის. ამასთან ერთად ინოვაციები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პრიორიტეტულ მიმართულებად სახელმწიფოს ინსტიტუტების ყველა დონეზე და ამ მიმართულებით თითოეულ პასუხისმგებელ პირს ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს გათავისებული თუ რაოდენ დიდია ინოვაციების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები საკმაოდ მრავალფეროვანია და რთულია მათი სრულყოფა დროის მოკლე მონაკვეთში, თუმცა სახელმწიფო უნდა იყოს მაქსიმალურად თანმიმდევრული იმ ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ახალი იდეების გაჩენას/რეალიზებას, რომელიც თავის მხრივ შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ახალ სერვისებს სხვადასხვა დარგებში, რამაც საბოლოოდ უნდა გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკა, რაც ძალზედ რთულია არსებულ რეალობაში მიღწეულ იქნეს ინოვაციური მენეჯმენტის გარეშე და ეკონომიკასა თუ სხვა დარგებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აქტივობების უმეტესი ნაწილი, სწორედ ინოვაციების წახალისებას უნდა ემსახურებოდეს.

ამრიგად, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბება და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმებით:

- ადეკვატური გადასახადები;
- კვლევითი საქმიანობის წახალისება;
- შეღავათიანი დაკრედიტება;
- საბიუჯეტო დოტირება;
- ინოვაციური ძირითადი საშუალებების საბაჟო პრეფერენციები;
- ეფექტიანი საამორტიზაციო პოლიტიკა;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფა;
- ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება და ადმინისტრირება;

- საპატენტო-სალიცენზიო რეგულირება სიახლეების გავრცელების მიზნით;
- ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების გავრცელების სისტემის შექმნა;
- რისკების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება;

3.2. მდგრადი განვითარებისა და ინოვაციური მენეჯმენტის საერთო კონცეფტები

ინოვაციებზე ორიენტირებული ორგანიზაციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისათვის. სწორედ ამიტომ, მსგავს ორგანიზაციებს ესაჭიროება შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მქონე მენეჯმენტი, რომელიც თავისი ორგანიზაციის მიზნებს სწორად განსაზღვრავს და პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნის პროცესს წარმართავს იმგვარად, რომ საბოლოო ჯამში მივიღოთ იმაზე მეტი ეფექტი ვიდრე აქამდე ვღებულობდით, მაგრამ ეს პროცესი დაფუძნებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებასა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე.

თანამედროვე ეპოქაში ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება, ვინაიდან ბუნებაში არსებული ნებისმიერი რესურსი ამოწურვადია, შესაბამისად იმისათვის, რომ სამყარო იყოს სიცოცხლისუნარიანი, მაქსიმალურად მომჭირნეობით უნდა გამოვიყენოთ არსებული რესურსები და შესაძლებლობები, ანუ ხელი უნდა შევუწყნოთ სამყაროს მდგრად განვითარებას. ამ თემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მიექცა, რასაც არაერთი საერთაშორისო ღონისძიება მიემდვნა (1972 წლის სტოკჰოლმის („ნულოვანი ზრდა“) და 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს („დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“) გარემოსა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მოხსენება (1987) – „ჩვენი საერთო მომავალი“ და სხვა, რომლებზედაც გამოითქვა შეშფოთება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპებისა და წარმოების არსებული ტექნოლოგიების შენარჩუნების შემთხვევაში, კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრებოდა. შედეგად მიღებული იქნა მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა გაგრძელდეს ეკონომიკის

უწყვეტი განვითარება ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ოღონდ მომავალი თაობების არსებობისათვის ზიანის მიყენების გარეშე (აბესაძე, 2018).

„საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში“ წარმოდგენილია რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების ალტერნატიული მიდგომების შემუშავებისა და დანერგვისაკენ. კერძოდ, რესურსებისა და მასალების ეფექტურობა, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და თავიდან აცილება, წყლის რესურსების მდგრადი გამყენება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ზრდა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რესურსების გონივრული მოხმარება და ა.შ.

საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოში მწვანე ზრდის საფუძვლების შექმნას და მზად არის, აღნიშნული დახმარება კიდევ უფრო გააღრმავოს. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UN Environment) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის მეორე პლატფორმის - „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში საქართველოში განხორციელდა პროგრამა „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (EaP GREEN) აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ სხვა ქვეყანასთან ერთად. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების რეფორმირებას, ახალი ანალიტიკური საშუალებების დანერგვას, დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაძლებლობების გაძლიერებასა და კერძო სექტორში საპილოტე პროექტების განხორციელებას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციამ საქართველოში განახორციელა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების“ სადემონსტრაციო პროექტი. პროექტის მიზანი იყო კერძო კომპანიებში

რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება და ამ გზით მდგრადი სამრეწველო განვითარების და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების“ კლუბები (პროგრამა...).

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. ანუ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსადმი მინიმალისტური, ვინაიდან ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია. დღესდღეობით, კაცობრიობის ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ფლორისა და ფაუნის ბევრი ჯიში განადგურების საფრთხის წინაშე დგას. იმავე მიზეზით დაბინძურებულია ჰაერი და წყალი.

მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტი მოიცავს სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეებზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის წევრებსაც, მათი მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, ხელი მიუწვდებათ აუცილებელ საჭიროებებზე, როგორებიცაა საკვები, ჯანდაცვა, განათლება, სამუშაო, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და ა.შ. მდგრადი სოციალური განვითარება, პირველ რიგში, გულისხმობს ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და საზოგადოების მოწყვლადი წევრების - შშმ პირები, ქალები, უმცირესობები - სოციალური უფლებების დაცვას. ამისთვის აუცილებელია ადეკვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავება, ტოლერანტულობა, დასაქმებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სისტემის შექმნა.

მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტი პირდაპირ კავშირშია, როგორც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან, ისე სოციალურ სოლიდარობასთან. მდგრადი განვითარება არ ნიშნავს, რომ ადამიანი უარს ამბობს იმ სიკეთეებზე, რომლებიც მას ტექნოლოგიურმა თუ ინდუსტრიულმა პროგრესმა მიანიჭა, არამედ იგი გულისხმობს, რომ ადამიანმა ეკონომიკური კეთილდღეობა ისე უნდა მოიპოვოს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დააზიანოს გარემო და მეტად იზრუნოს საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე (ასპექტები...).

მდგრადი განვითარების ზუსტი მნიშვნელობა პირველად განმარტებული იქნა 1987 წელს, რომლის თანახმადაც მდგრადი განვითარება აკმაყოფილებს დღევანდელ

მოთხოვნებს, მომავალი თაობების შესაძლებლობების დათმობის გარეშე. თუმცა დღეს მისი მნიშვნელობა უფრო ფართოა და აქვს სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებული ვითარებიდან გამომდინარე. მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავების შემდგომ მის განმარტებებს შორის გამოირჩევა სამი მიდგომა: სტატუს ქვო, რეფორმა და ტრანსფორმაცია.

სტატუს ქვოს მიდგომა მდგრადი განვითარებისადმი ამტკიცებს, რომ მანამ ვიდრე გარემოსა და საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებები აუცილებელია, მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ მიაღწიონ საჭირო შედეგებს ყოველგვარი ცვლილებების გარეშე. ასეთი მიდგომის მხარდამჭერები ხედავენ ზრდას მდგრადი განვითარების კუთხით, განსაკუთრებით კი ეკონომიკაში, ბიზნესში, კერძო საკუთრებაში, ახალი ტექნოლოგიების შექმნაში, მენეჯმენტის გაუმჯობესებაში და ა.შ.

რეფორმისტული მიდგომა მიიჩნევს, რომ მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა არსებული მიდგომების მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ პოლიტიკის მხარდამჭერები ზოგადად ამტკიცებენ, რომ ტექნოლოგიებს, ენერგოეფექტურობის ზრდას, საბაზრო მოდიფიკაციის რეგულაციებს და მზარდ დემოკრატიას შეუძლია გადაჭრას მდგრადი განვითარების პრობლემები.

ტრანსფორმაციული მიდგომა სხვებთან შედარებით უფრო მეტად კატეგორიულია და ამტკიცებს რომ არსებულ პრობლემებს განაპირობებს საზოგადოების ფუნდამენტური სტრუქტურა, როგორცაა პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები, სწორედ აქ უნდა განხორციელდეს უმთავრესი ცვლილებები რათა გავუმკლავდეთ ახალ გამოწვევებს.

საერთო ნიშანი რაც აერთიანებს ზემოაღნიშნულ მიდგომებს არის გარემო, საზოგადოება და ეკონომიკა. თუმცა სამივე მიდგომა სხვადასხვაგვარად უკავშირებს მათ მდგრად განვითარებას. (Gertler... 2005: 38-52).

ფაქტია, რომ საქართველო თავისი რესურსით ამ ეტაპზე ეკოლოგიური გამოწვევების გამკლავებას და მდგრადი განვითარების მოდელის ეფექტურ რეალიზაციას ვერ უზრუნველყოფს. აუცილებელია მისი ევროკავშირისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკო-ინოვაციურ პოლიტიკებთან ჰარმონიზაცია. ამ მიზნით, მკვლევარი მ. ხუსკივაძე მიიჩნევს, რომ საჭიროა სხვადასხვა სახის

კონცეპტუალური და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა. კერძოდ: ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში მიზნობრივი და სისტემური მიდგომების ფართოდ გამოყენება, რაც გულისხმობს კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას და უშუალოდ მის დაძლევაზე მიმართული ინოვაციური მექანიზმის შემუშავებას; ტექნიკურ-ეკონომიკურ, პროდუქტულ, ორგანიზაციულ, მარკეტინგულ და სოციალურ ეკოლოგიურ ინოვაციებზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირება (სახელმწიფო „მწვანე“ შესყიდვები, ახალი სამშენებლო ნორმების ფართოდ დანერგვა ენერგოეფექტიანობის გაზრდის მიზნით და სხვა); გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის ფორმირება; გარემოს გაჭუჭყიანების ნორმებისა და სტანდარტების ოპტიმიზაცია; ეკოლოგიური ინოვაციების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნა; ეკოლოგიური ექსპერტიზის, აუდიტის, დაზღვევის, სერტიფიკაციის და ბუნებათსარგებლობის მართვის სხვა ინსტრუმენტების დანერგვა ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზების პროცესში; ეკო-ინოვაციების სფეროში კვლევების აქტივიზაციისათვის საგრანტო სისტემის შემოღება და ზოგადად ეკო-ინოვაციების სტიმულირების ახალი ფინანსური ინსტრუმენტების (შეღავათიანი დაკრედიტება, საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები და სხვა) ფართოდ გამოყენება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სტიმულირება; ეკოლოგიური სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და ეკოლოგიური პროგრამების, კონცეფციებისა და სტრატეგიების შემუშავება (მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოლოგიური დოქტრინა, ეკოლოგიური განვითარების სტრატეგია და სხვა) და ა.შ. (ხუსკივაძე, 2018).

ეკონომიკური გაერთიანებისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტების თანახმად, ეკო-ინოვაცია განიმარტება როგორც ახალი პროდუქციის წარმოება, ათვისება და ექსპლუატაცია, ასევე გულისხმობს წარმოების პროცესს, მომსახურებას, მართვას და სხვა ბიზნეს მეთოდებს, რომლის მიზანია თავიდან აიცილოს გარემო რისკები, დაბინძურება და სხვა უარყოფითი შედეგები, როლებიც თან სდევს ამა თუ იმ რესურსების გამოყენებას (მათ შორის ენერგია) (OECD 2009), გარკვეულ კონტექსტში ეკო-ინოვაცია შეიძლება მიმართული იყოს ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ, სოციალური და ინსტიტუციური საფეხურებისაკენ (Rennings, 2000 :319-332). მდგრადი მამომრავებელი ინოვაცია განიმარტება როგორც ახალი საბაზრო

სივრცის, პროდუქციის, მომსახურების პროცესების შექმნა, რომელიც მართულია სოციალური, გარემოსდაცვითი და მდგრადობის საკითხებით (Little, 2005).

მდგრადი განვითარება ძირითადად ორიენტირებულია ისეთ ძირითად პრინციპზე როგორცაა ინტეგრაცია, გაერთიანება (კოოპერაცია), რომელიც თავის თავში მოიცავს ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას, სპეციალიზაციას, გამჭირვალობასა და ეფექტურ საქმიანობას. ახალი გლობალური პარადიგმების გვერდით, როგორც უკვე აღვნიშნეთ მსოფლიო საზოგადოება ითხოვს უფრო მეტ პასუხისმგებლობას გარემოს, სოციალური და ეკონომიკური კაპიტალისადმი. ამისათვის კი აუცილებელია ახალი ინოვაციური იდეების შექმნა.

ამრიგად, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ინოვაციური საქმიანობის აქტიურად დანერგვა/განხორციელებისათვის აუცილებელია საქართველოში პირველ რიგში ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება მისი კლასიკური გაგებით და შემდგომ ინოვაციური პროცესების ეფექტური მართვა. ეროვნული ინოვაციური სისტემა, „ეს არის ეკონომიკური სუბიექტებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების (ნორმების, წესების) რთული სისტემა, რომლებიც მონაწილეობენ ახალი ცოდნის შექმნაში, შენახვაში, გავრცელებასა და ახალ ტექნოლოგიებად, პროდუქტებად და მომსახურებად გარდაქმნის პროცესში, რომელსაც მოიხმარს საზოგადოება“ (Freeman, 1987).

საერთაშორისო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემდეგ განმარტებებს: ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო და კერძო სექტორებს, რომლებიც ინდივიდუალურად და ურთიერთზემოქმედებით განაპირობებენ ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და გავრცელებას კონკრეტული ქვეყნის საზღვრებში.

მკვლევარი ლ. ქოქიაური განიხილავს ეროვნული ინოვაციური სისტემის ხუთ ძირითად მიმართულებას. პირველი, როგორც სამართლებრივი, ფინანსური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების კომპლექსს, იმ ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლითაც მოქმედებენ ორგანიზაციები;

მეორე, ეროვნული ინოვაციური სისტემა, როგორც ღია სისტემა, წარმოდგენილია საკუთრების სხვადასხვა ფორმების მქონე ორგანიზაციების სახით, რომლებიც ქვეყნის ფარგლებში დაკავებულნი არიან მეცნიერული ცოდნის,

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების და მათი კომერციალიზაციისათვის მომზადებით.

მესამე, ეროვნული ინოვაციური სისტემის, როგორც ღია სისტემის საქმიანობის შედეგია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ბაზარზე ორგანიზაციათა ინტენსიური განახლება;

მეოთხე, ეროვნული ინოვაციური სისტემის ორგანიზაციები, სუბიექტები, რომლებიც აწარმოებენ მეცნიერულ ცოდნას, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს. ესენია - უნივერსიტეტების ლაბორატორიები და კათედრები, აკადემიური ქვედანაყოფები, ტექნოპარკები, ინოვაციური მცირე საწარმოები, რომლებიც დაკავებულნი არიან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კომერციალიზაციით.

მეხუთე, ეროვნული ინოვაციური სისტემის საქმიანობის შედეგები წარმოადგენენ ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აწარმოებს და აგროვებს მეცნიერულ ცოდნას, როგორც საზოგადოებრივ დოვლათს, სიკეთეს.

შესაბამისად, ეროვნული ინოვაციური სისტემა ეს არის ინსტიტუტების, წესების, პირობების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში ისეთი არამატერიალური აქტივების წარმოქმნას, რომლებიც, როგორც ეროვნული მონაპოვრის ნაწილი, ინოვაციების სახელწოდებითაა ცნობილი. მათი წარმოდგენა ხდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სახით, რომლებიც მზად არიან კომერციალიზაციისათვის (ინოვაციური...). აქედან გამომდინარე ყურადღება უნდა გამახვილდეს მდგრადი განვითარებისა და ეროვნული ინოვაციური სისტემის მიზნების მჭიდრო ურთიერთკავშირზე.

მიმოვიხილოთ ინოვაციური სისტემის პოლონური მოდელი, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა 2010 წლიდან, შესაბამისად ამ პერიოდში ქვეყანაში სტაბილურად იზრდებოდა კვლევებსა და ინოვაციებზე გაწეული ხარჯი, სახელმწიფო გეგმავს, რომ ეს მაჩვენებელი 2020 წლისათვის უნდა გაუტოლდეს მშპ-ს 1,7 პროცენტს. ამას პოლონეთის ხელისუფლება აპირებს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას. ესენია, სამეცნიერო სისტემის გაუმჯობესება, ბიზნესში ინოვაციების ფართოდ დანერგვა/გავრცელება და სამუშაო ძალის სპეციალიზება ინოვაციურ ტექნოლოგიებთან მიმართებაში. ქვეყნის

განვითარების ძირითად კატალიზატორად შეიძლება გამოვყოს „ინოვაციებისა და ეკონომიკის ეფექტიანობის სტრატეგია (2013-2020), წარმოების განვითარების პროგრამა (EDP) და კვლევის ნაციონალური პროგრამა (NRP). გარდა ამისა ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა ოპერატიული პროგრამა „ჭკვიანი ზრდა“ (2014-2020), რომლის მიზანია ეკონომიკის ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა კვლევების დაფინანსების და ინოვაციების შემუშავების მიზნით.

პოლონეთის ინოვაციური პოლიტიკა პირველ რიგში გულისხმობს ქვეყანაში კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტების დეცენტრალიზაციას და კოოპერაციის დონის ზრდას ბიზნეს-სუბიექტებსა და კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის, რომლებიც მუშაობენ კომერციულად ღირებულ პროექტებზე. მთლიანობაში აღნიშნული მიმართულებით 2007-2013 წლებში პოლონეთში ევროკავშირის ფონდების ფინანსურმა მხარდაჭერამ შეადგინა დაახლოებით 4 მილიარდი ევრო, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ქვეყანაში და პოლონეთის განათლების სისტემა დღეისათვის ხარისხობრივად სრულად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს (Гринько, 2014: 169-180).

საბოლოო ჯამში პოლონეთში მიმდინარე ზემოაღნიშნული პროცესის მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ სამეცნიერო-ტექნიკური დარგის განვითარების მიზნით ჩამოყალიბებული მოდელი, რომელიც ფაქტობრივად ქმნის ქვეყანაში ინოვაციების სისტემას, სადაც ჩართულია სამი სექტორი, ესენია: სახელმწიფო თავისი ინსტიტუტებითა და ინსტიტუციებით, კერძო სექტორი თავისი ლაბორატორიებით და სამეცნიერო-აკადემიური სექტორი, რომელიც ერთგვარი შემსრულებელი უნდა იყოს სახელმწიფოსა თუ კერძო სექტორის დაკვეთით აწარმოოს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევები.

2016 წელს მსოფლიო ბანკმა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) 40 მლნ. აშშ დოლარის სესხი დაუმტკიცა საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტისთვის. GENIE პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციაა სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). სააგენტო დაინტერესებულია პროექტის ფარგლებში ციფრულ ეკონომიკაზე დაფუძნებული საწარმოების შექმნით,

ინოვაციების აღმოჩენით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელებით სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში.

აღნიშნული პროექტი გააფართოებს იმ ადამიანების და ფირმების ჩართულობას გლობალური ინოვაციის და ცოდნის ეკონომიკაში, რომლებიც აქამდე დაშორებულნი იყვნენ ამ შესაძლებლობას, განსაკუთრებით სოფლად. GENIE შექმნის კეთილდღეობის პერსპექტივას ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ წყაროებზე დაყრდნობით.

GENIE პროექტის ძირითადი ამოცანაა ფირმების და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა, ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ინოვაციების რეგიონულ და სათემო ცენტრებში ინვესტირებით, შინამეურნეობებისა და მცირე ბიზნეს-კომპანიებისთვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ზრდით, საწარმოებისთვის მეტი ინოვაციური უნარების დაუფლებით და ინოვაციებისათვის დაფინანსებასთან წვდომის გაზრდით. ეს პროექტი „მსოფლიო ბანკსა“ და საქართველოს შორის პარტნიორობის სტრატეგიის ძირითადი ელემენტია და თანხვედრაშია ამ თანამშრომლობის საბოლოო მიზანთან, რაც სამუშაო ადგილების ზრდას გულისხმობს კერძო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობას ინოვაციისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარების საშუალებით. საქართველოს მთავრობა აღნიშნულ პროექტს განიხილავს როგორც კრიტიკულს უწყვეტი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, რამდენადაც ის მაქსიმალურად დააჩქარებს ბიზნესების და ადამიანების ინოვაციურ საქმიანობას (ეკოსისტემა...), (საქართველოს კანონი ... 2019).

ინოვაციური შესაძლებლობების პოპულარიზაცია განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური სტრატეგიის მთავარი ელემენტია. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების განვითარების ახალი იმპულსები მოსალოდნელია აკადემიური, სამეცნიერო საზოგადოების კუთხით. პოლიტიკის დღის წესრიგშიც უფრო მეტი ღირებულებით გამოირჩევა დაფინანსების სქემები.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ინოვაციური სისტემა შეიძლება ითქვას ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეა იზრდება საკუთრივ ინოვაციური მენეჯმენტის მნიშვნელობა და შესაბამისად, დიდია მისი განვითარების

პერსპექტივებიც სხვადასხვა სექტორში. ქვეყანაში ინოვაციური პროცესებით დაინტერესებული ორგანიზაციების დიდ ნაწილს თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ჩაატარონ ექსპერიმენტები და ეს რამდენადმე აფერხებს ეროვნული ინოვაციური სისტემის სწრაფ განვითარებას. ასეთ შემთხვევაში ინოვაციური პროცესების უარყოფითი შედეგებით დასრულებას მნიშვნელოვნად ამცირებს ინოვაციური პროდუქციის, მომსახურების თუ პროცესის შექმნის საწყის ეტაპზე მდგრადი განვითარების მიზნებითა და კონცეფციით ხელმძღვანელობა.


ჩვენ მიერ ნაშრომის პირველ ნაწილში განმარტებულია, რომ ინოვაციური პროცესის დასაწყისში ინოვატორისათვის უცნობია თუ რას აღმოაჩენს, ვინაიდან ყველა მომდევნო ქმედება განპირობებულია იმით თუ რას იპოვის ძიების პროცესში. ეს ფაზა ხშირად პროდუქციის საბოლოო პროტოტიპის შექმნამდეც კი გრძელდება, ამიტომაც „საექვო“ წინარე ეტაპისათვის დამახასიათებელია ბუნდოვნება, ფაქტიურად შეუძლებელია წინასწარ ქმედების დაგეგმვა. უფრო მეტიც, ძიების პროცესში შესაძლოა აღმოაჩინო, რომ იდეა, რომლის განხორციელებასაც გეგმავ არ იყოს ინოვატორული და უკვე არსებობდეს მისი შემცვლელი პროდუქცია.

ზემოაღნიშნულ ფაზას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ნულოვან საფეხურს, ნულოვან ეტაპს, ფაქტიურად იგი არის პერიოდი სადაც ხდება შესაძლებლობების იდენტიფიცირება და კონცეფციის შემუშავება. შესაბამისად, ინოვაციური მენეჯმენტის ძირითადი მიმართულება და აქცენტი უნდა გაკეთდეს მდგრადი განვითარების მიზნებზე, რათა პროდუქცია თუ მომსახურება, რომლის მიღებასაც ვაპირებთ ინოვაციური პროცესის შედეგად არ ეწინააღმდეგებოდეს მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ელექტრომობილები, რომლებზეც მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად, 1880-იან წლებში, როდესაც შეიქმნა პირველი ელექტრომობილი მომხმარებელთა მხრიდან არ იყო მაღალი მოთხოვნა, ვინაიდან იმ პერიოდისათვის არ იყო ის საფრთხეები, რომლებიც დღეს სამყაროს მდგრადი განვითარების წინაშეა და ადამიანებს არ აწუხებდათ ისეთი პრობლემები, რომელთა მიმართ ყურადღებას დღეს მთელი მსოფლიო იჩენს: ჰაერის გაჭუჭყიანება, შეზღუდული რესურსების ამოწურვა თუ სხვა. სამაგიეროდ დღეს სამოქალაქო

საზოგადოების დიდი ნაწილი ცდილობს, რომ სწორედ ელექტრომობილით გადაადგილდებოდეს თვითონ და თავისი თანამოქალაქეები, რაც ზრდის ამ კონკრეტულ პროდუქციაზე მოთხოვნას და საბოლოო ჯამში აისახება იმ კომპანიათა შემოსავლებზე, რომლებმაც დროულად აწარმოეს ელექტრომობილები. ვინაიდან, ასეთი კომპანიების (NISSAN, TOYOTA, TESLA) მენეჯმენტს დროულად აღმოაჩნდათ სათანადო ცოდნა, რაც საშუალებას მისცემდა წარემართათ შესაბამისი ინოვაციური პროცესი.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა (იხ. სქემა N4), უფრო მეტად თვალნათელს ხდის ინოვაციური პროცესებისა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის ურთიერთკავშირს.

სქემა N4. ინოვაციური მენეჯმენტისა და მდგრადი განვითარების



წყარო: (Stocka... 2017: 219)

შეიძლება ითქვას, მოცემული მოდელი ძირითადად შედგება სამი ელემენტისაგან: ინოვაციური მართვა, „საექვო“ საწყისი ეტაპი და მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც საბოლოოდ ქმნის ისეთ პროდუქციას, რომელიც ინოვაციური და კონკურენტუნარიანია ფართო ბაზრებზე. რაღა თქმა უნდა ეს ყოველივე დამოკიდებულია თუ რამდენად სწორად წარიმართება და

განხორციელდება პროდუქტის შემუშავების ინოვაციური განვითარების პროცესები, რაშიც განსაკუთრებული როლი აკისრია მენეჯმენტს.

მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე განვითარებული და თანამედროვე სახელმწიფოს მისწრაფება უნდა იყოს აღმოიფხვრას მთელი რიგი პრობლემები ამ მიმართულებით, მათ შორის მენეჯმენტთან მიმართებაში გარდა ეკოლოგიასა და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემებისა შეიძლება გამოვყოთ ქვეყნის მოქალაქეებს შორის არსებული სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

ამრიგად, თუ ჩვენ გვსურს ქვეყანაში არსებობდეს ბევრი ისეთი ორგანიზაცია და მენეჯერი, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციებზე სასურველია შესაბამისი ცოდნის გავრცელება სხვადასხვა წყაროთი, მათ შორის პირველ რიგში საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების ურთიერთკავშირის შესახებ სათანადო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რათა მათ მიერ მიღებული პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა იმთავითვე წარიმართოს სწორად და მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული. ვინაიდან, მდგრადი განვითარების მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით შექმნილი და განვითარებული ინოვაციური პროექტი თუ პროცესი დიდი ალბათობით იქნება წარმატებული და მნიშვნელოვანი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. მაგალითისათვის ცნობილია, რომ 2026 წლიდან გერმანული ავტოგიგანტი Volkswagen ბენზინზე მომუშავე ავტომობილებს აღარ გამოუშვებს და სრულად გადაერთვება ელექტრომობილების წარმოებაზე. ელექტრომობილების წარმოებაზე გადასასვლელად 2023 წლისთვის Volkswagen 44 მილიარდი ევროს გამოყოფას აპირებს (Volkswagen...). ეს გადაწყვეტილება Volkswagen-ის მენეჯმენტმა იმიტომ მიიღო, რომ შესაბამის ბაზარზე შეინარჩუნოს რეპუტაცია და პოზიციები. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ უახლოეს მომავალში სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციები შესაძლოა იძულებულნიც კი გახდნენ დაიცვან მდგრადი განვითარების პრინციპები, რომლებიც თავის მხრივ განავითარებენ ინოვაციურ პროცესებს, რასაც სჭირდება სათანადო მართვის ხელოვნება - მენეჯმენტი.

მდგრადი განვითარებისა და მენეჯმენტის კონტექსტში აუცილებლად უნდა ვახსენოთ მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემა - ISO (ისო). დღესდღეობით, მსოფლიოში 20 ათასამდე სხვადასხვა სტანდარტია, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი კი მსოფლიოს 170-მდე ქვეყანა, მათ შორის საქართველო. ISO-ს სტანდარტებს შორის რამდენიმე მათგანს - ISO 9001, 2008 და ISO 22000 : 2005 - ქართული კომპანიებიც ფლობენ. ისო 9001:2015. იგი მიეკუთვნება ისო 9000 სერიის სტანდარტებს, ისო 9004 სტანდარტთან ერთად, და ეხმარება ორგანიზაციებს მუდმივად შეესაბამებოდნენ მომხმარებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს და მოლოდინს, აგრეთვე ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს. ისო 9001 საერთაშორისო სტანდარტის ერთ-ერთი ძირითადი დადებითი მხარეა მისი შესაძლებლობა, გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ტიპის ან ზომის ორგანიზაციის მიერ. იგი თანაბრად გამოიყენება როგორც პროდუქტის მწარმოებელი, აგრეთვე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, რადგან ისო 9001 ფოკუსირებას ახდენს პროცესების ორგანიზებასა და მომხმარებლის კმაყოფილებაზე. ეს არის დანერგილი სისტემა, რომ მართო ყველა რგოლი დაწყებული ნედლეულის შესყიდვის, დახარისხების, საწარმო კონტროლის მექანიზმებიდან და დამთავრებული საფრთხეების კონტროლით. ეს არის მთელი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის მუდმივ კონტროლს საწარმოში, სისტემის ეფექტურობის მუდმივ გაუმჯობესებას, სამუშაო პროცესების სტანდარტიზაციას, მართვას და ასე შემდეგ (ISO...), (ISO სერთიფიკატი...).

უშუალოდ მდგრადი განვითარების მიზნით სასურველია ქვეყანაში არსებულმა ორგანიზაციებმა დაიცვან ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის ისო 50001, რომელიც არის სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ნებაყოფლობითი სტანდარტი და აყალიბებს მოთხოვნებს და რეკომენდაციებს ენერგო მენეჯმენტის სისტემის მიმართ (EnMS). იგი ეფუძნება მრავალ ეროვნულ და რეგიონულ სტანდარტს, მაგალითად ევრონორმა EN 16001. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ვარაუდობს, რომ ეკონომიკურ სექტორებში ისო 50001 სტანდარტის მიზნობრივად ფართო გამოყენებამ, როგორც გლობალური ენერგო მენეჯმენტის სისტემის მოდელისა,

შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს მსოფლიოში ენერჯის მოხმარების 60 %-ზე. ისო 50001 სტანდარტი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს საკონტროლო წერტილების დადგენის, გაზომვების, დოკუმენტირების, ენერჯო ეფექტურობის და გამომუშავებული სათბურის გაზების ანგარიშების წარდგენის, აგრეთვე ახალი ენერჯო-ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის პრიორიტეტების შესახებ. ისო 50001 სტანდარტის უპირატესობებია: გაზრდილი ენერჯო-ეფექტურობა, შემცირებული თვითღირებულება, გაუმჯობესებული გარემო პირობები, შემცირებული რისკები და გაზრდილი ენერჯო უსაფრთხოება.

კომპანიებს, ორგანიზაციებს და საზოგადოებას აქვთ გლობალური პასუხისმგებლობა, განვითარდნენ, მომავალი თაობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების დანაკარგის გარეშე. ისო 14001:2015 სტანდარტი შეიქმნა სწორედ გარემოს დაცვის პირობების გათვალისწინებით. ისო 14001, რომელიც გადაისინჯა და 2015 წლის სექტემბერში გამოიცა მენეჯმენტის სისტემის სტანდარტების ახალი სტრუქტურის შესაბამისად, არის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებული გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემის სტანდარტი.

სტანდარტიზაციის მიმართულებით საქართველოში არსებობს გარკვეული რეგულაციები და შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანო, თუმცა ძალზედ დაბალია ორგანიზაციების მხრიდან დაინტერესება, რათა დანერგონ სხვადასხვა საერთაშორისო აპრობირებული სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, კერძოდ პროდუქტისა თუ მომსახურების წარმოება და მიწოდება გახდება უფრო ეფექტური, უსაფრთხო და სუფთა. ეს კი თავის მხრივ გაზრდის შესაბამისი პროდუქციისა თუ მომსახურების საექსპორტო პოტენციალს (ISO...).

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეუძლებელია მმართველობით საქმიანობაში არსებული მიდგომებისა და ტენდენციების გარდაქმნის გარეშე. არსებული განვითარების ტენდენციის შედეგად დღეს უკვე სახეზეა მრავალი ეკოლოგიური პრობლემა: ტყეების მასიური გაჩეხვა, სახეობების გადაშენება, ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცვლილება და სხვა. შესაბამისად, საჭიროა სწრაფი რეაგირება და ინოვაციური გზების მოძებნა, რათა მოხდეს ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პოლიტიკის შეცვლა

მდგრადი განვითარების პრინციპების დასაწერად და განსახორციელებლად. კერძოდ, კი მდგრადი განვითარების მიღწევა გულისხმობს რიგი ქმედებების ინოვაციური გზებით განხორციელებას, როგორც პროდუქციისა თუ მომსახურების წარმოება/მოხმარებაში, ასევე ზოგადად მმართველობით საქმიანობაში.

3.3 ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ყოველდღიურად ფართოვდება ინოვაციური მენეჯმენტის პერსპექტივები. ამას ერთის მხრივ განაპირობებს სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევები, მეორეს მხრივ ამა თუ იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა რესურსი და თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები.

აფრიკის კონტინენტის უღარიბესი ქვეყნებიც კი, როგორცაა ლიბერია, ზიმბაბვე და სხვა, სადაც ათასობით ადამიანი იღუპება საკვების, წყლის თუ სხვა რესურსის უკმარისობის გამო, დღესდღეობით მხოლოდ ინოვაციური მენეჯმენტის საშუალებით შეიძლება გადაურჩნენ მასობრივ შიმშილობას და განადგურებას. სწორედ, ინოვაციური მიდგომებით შეიძლება დავძლიოთ იმ პრობლემების უმეტესობა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანი არ გახლავთ მხოლოდ მატერიალური შედეგის მიღება ან/და მეცნიერული სიახლეების დანერგვა. ამ ყველაფერს თან უნდა ახლდეს გარკვეული სოციალური ეფექტი, რომელიც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს შესაბამის სოციუმზე და მათ მოუტანს კეთილდღეობას. მაგალითისთვის, ე.წ. სმარტფონების წარმოება/რეალიზაციას, რომელზეც დღესდღეობით ძალზედ მაღალია მოთხოვნა, მატერიალური თავლსაზრისით არამხოლოდ მწარმოებელი კომპანიებისათვის მოაქვს მოგება, არამედ თუ ჩავუღრმავდებით შევამჩნევთ, რომ ამ პროდუქციამ მთელი მსოფლიო გარკვეულწილად შეცვალა და განავითარა. აპლიკაციებისა და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით საზოგადოებას გაუადვილა ყოველდღიური ყოფა და საქმიანობა. ერთმა ტექნოლოგიურმა ინოვაციამ ხელი შეუწყო სხვადასხვა მიმართულების განვითარებას: ხელოვნებას, ჟურნალისტიკას, შოუ-ბიზნესს, ბიზნესს და ა.შ.. ასევე, კარგი მაგალითია მეტალო-პლასტმასის კარფანჯრებისა და წყლის მილების შემუშავება, რის შედეგადაც კაცობრიობამ ჯერ ერთი გაიმარტივა აღნიშნული კუთხით პრაქტიკული საქმიანობა და მეორეც, დაიზოგა

მილიონობით კუბური მეტრი ხის მასალა და მილიონობით ტონა ლითონი, რომელიც მოგეხსენებათ, თავის მხვრივ, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და ამავე დროს, ამოწურვადი რესურსია.

უმთავრესი, რაც ინოვაციების შექმნას უწყობს ხელს არის სპეციალიზაცია შესაბამის დარგში. თუ გადავავლებთ თვალს მსოფლიოს დავინახავთ, რომ ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ინოვაციური პროდუქტი/მომსახურება იქმნება იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია პროფესიონალიზმის დონე. ეს გახლავთ, განვითარებული ქვეყნები, რომელშიც ცხოვრობს ბევრი პროფესიის ბევრი კარგი სპეციალისტი, რაც თავის მხრივ წარმოშობს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს, რომელშიც როგორც წესი იბადება გენიალური იდეები.

საქართველოში პოსტკომუნისტური გარდატეხის დაწყებისთანავე, გაჩნდა ახალი გამოწვევები, რომლებსაც სჭირდებოდა მოქალაქეთა დროული ადაპტირება, ვინაიდან სწორედ ქვეყნის მაცხოვრებლები ქმნიან დოვლათს, რაზედაც მეტწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე. ამ მხრივ რთული ვითარება შეიქმნა საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა სისტემის გეგმიური ეკონომიკის პირობებში მოღვაწე მენეჯერები (არამარტო მენეჯერები) სრული გაურკვევლობის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას დაემატა სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის ომის შედეგები, რამაც საბოლოო ჯამში დაამძიმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ყველაფერმა განავითარა ინტელექტუალური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე სტაგნაციური პროცესი საქართველოს უახლოეს ისტორიაში. კრიზისულ ვითარებაში ჩავარდნილი მოქალაქეები ჩამოშორდნენ თავიანთ ძირითად პროფესიას და თავის გადარჩენის მიზნით სხვა საქმიანობას მიჰყვეს ხელი ან საერთოდ დატოვეს ქვეყანა. სწორედ, ამ დროს დაკარგა ქვეყანამ ფიზიკის, ქიმიის თუ სხვა პროგრესული დარგის ბევრი პერსპექტიული სპეციალისტი. 90-იანი წლების მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა ქვეყნის ყოველდღიურობა. განხორციელდა ისეთი სტრატეგიული პროექტები, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი თუ სხვა. გარდა ამისა, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგები გადაეწყო თანამედროვე რელსებზე, განხორციელდა ინსტიტუციონალური რეფორმები, დაიხვეწა ქვეყნის ფისკალური და

მონეტარული პოლიტიკა და ა.შ. რის შედეგადაც მივიღეთ პრო-დასავლური, განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც ადრე თუ იცნობდა დანარჩენი მსოფლიო მხოლოდ გეო-პოლიტიკურ ჭრილში გაუჩნდა სხვადასხვა პერსპექტიული მიმართულებები. 2005-2007 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციისა და კრიმინალის დონე, დაიწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მიღწეულ იქნა საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ 2007-2008 წლების გლობალურმა კრიზისმა, რომელსაც დაემატა რუსეთ-საქართველოს ომი, კვლავ მნიშვნელოვნად შეარყია ქვეყნის ეკონომიკა და უმნიშვნელოვანეს პერიოდში რამდენიმე წლით დაამუხრუჭა განვითარება.

მიმდინარე ათწლეულში ქვეყანამ კვლავ აღიდგინა იმიჯი, ისევ გახდა მომხიბვლელი ინვესტორებისა და ტურისტებისათვის, გაიხსნა ახალი საწარმოები, გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი და ექსპორტის რაოდენობა, განხორციელდა საგადასახადო რეფორმები, შემუშავდა მეწარმეობის მხარდაჭერის არაერთი სახელმწიფო პროექტი თუ პროგრამა და სწორედ ამ დროს საჭიროა სახელმწიფო თუ კერძო მმართველობით საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების გამოყენება, რათა ყველა ეს პროცესი იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისაკენ მიმართული იმდენად, რამდენადაც საბოლოო ჯამში სახელმწიფო წარმატებებს აღწევს მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის პირობებში. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა. მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის ნორმალურ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო სააგენტოებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ. შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკა. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა და


შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. “მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) კვლევის - “Doing Business 2019” მიხედვით, მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით, საქართველომ გასულ წელთან შედარებით მე-4 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. უძრავი ქონების რეგისტრაციის კომპონენტში კი, ქვეყანა სტაბილურად ინარჩუნებს მეოთხე ადგილს, ისეთი ქვეყნების წინ, როგორებიცაა შვედეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, და სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ერთის მხრივ, იმისთვის, რომ დაგვედგინა ინოვაციებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი და მეორეს მხრივ, გაგვეგო სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მენეჯერთა დამოკიდებულება საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებთან მიმართებაში, ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა ორი რაოდენობრივი კვლევა. აღნიშნული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილია გარკვეული დასკვნები და წინადადებები.

პირველი კვლევის ფარგლებში, რომლის მიზანი იყო გაგვეგო ინოვაციების ადგილი ქართულ რეალობაში და ინოვაციური პროცესების შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ საზოგადოების შეხედულებები, გამოიკითხა 315 რესპოდენტი. კვლევამ მოიცვა მთელი საქართველო. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის 15 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, პირველ რიგში საინტერესო იყო გაგვეგო რესპოდენტთა აზრი „ინოვაციების“ ცნების მიმართ, ანუ რამდენად ესმით ინოვაციების არსი, მათთვის ინოვაცია მხოლოდ სიახლეა თუ სხვა კომპონენტებსაც მოიცავს. შედეგად გამოიკითხულთა 52 პროცენტი ინოვაციას აიგივებს სიახლესთან. აღნიშნულმა სურათმა კარგად გამოავლინა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობას ინოვაციების არსი ესმის ზედაპირულად. (იხ. დიაგრამა N 2)

დიაგრამა N 2. რა არის ინოვაცია?


- დამაფიქრებელი იდეა;
- ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება;
- სიახლე;



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის დროს ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საზოგადოების შეხედულებათა საფუძველზე გამოგვევლინა ქვეყანაში ინოვაციური პროცესების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები, სადაც რესპოდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ნებისმიერი სფერო, რაზედაც მივიღეთ შემდეგი მოცემულობა (იხ. დიაგრამა N3).

დიაგრამა N 3. ინოვაციური პროცესების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები საქართველოში



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგად ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების თვალსაზრისით (დიაგრამა N 3) გამოიკვეთა ყველაზე პერსპექტიული დარგები - ტურიზმი და ჯანდაცვა. იმისათვის, რათა უფრო ნათელი გახდეს თუ რაოდენ დიდია ინოვაციური

მენეჯმენტის როლი ეროვნული ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარებაში გვსურს, მოკლედ მიმოვიხილოთ ქვეყანაში ზემოხსენებული მიმართულებებით არსებული გარკვეული პერსპექტივები, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს - ტურიზმის მენეჯმენტზე.

ქვეყნის სტრატეგიული მიზანია, რომ საქართველო იქცეს 12 თვიან ტურისტულ ზონად. რა არის საჭირო ამისათვის? ამ ეტაპზე გამოვყოფთ 7 უმნიშვნელოვანეს ფაქტორს:

1. ქვეყნის სუვერენიტეტი, მშვიდობა, სტაბილურობა და უსაფრთხოება. (შემსრულებელი - ხელისუფლება)
2. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; (შემსრულებელი - ხელისუფლება)
3. მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების ოპტიმიზაცია; (შემსრულებელი - მოსახლეობა)
4. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების მიერ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის მოქნილი მარკეტინგი და პიარი; (შემსრულებელი - ხელისუფლება)
5. გამოცდილი და კვალიფიციური კადრების არსებობა ტურიზმის სფეროში; (შემსრულებელი - უმეტესწილად კერძო კომპანიები და საგანმანათლებლო დაწესებულებები)
6. საერთაშორისო ტურისტულ აგენტებთან და ავიაკომპანიებთან აქტიური თანამშრომლობა; (შემსრულებელი - უმეტესწილად კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები ტურიზმის მიმართულებით)
7. ტურიზმის დარგის ინოვაციური მენეჯმენტი; (შემსრულებელი - კერძო კომპანიები, ხელისუფლება, მოსახლეობა;)

ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდში აქტუალურია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ტურიზმის სტრატეგიებში. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ადამიანებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა ინფორმაციასთან, მათ კარგად იციან თუ რა არის „ოქროს სტანდარტი“ და რა არის უპირველესად მნიშვნელოვანი. ამასთან, ყოველწლიურად იზრდება ტურისტების რაოდენობა 2015 წელს ოფიციალურად 1,2 მილიარდამდე საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა მსოფლიოს ქვეყნებში, ხოლო 2018 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 200 მილიონით გაიზარდა და შეადგინა 1,4 მილიარდი. ტურიზმის სფეროში არის უამრავი ფაქტორი, რომელთა ხარისხის

გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ტურისტთა კმაყოფილების ზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის ტურისტთა რაოდენობას კონკრეტულ ტერიტორიაზე (UNWTO...).

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) - გაეროს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც არის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში, უკანასკნელ წლებში სხვადასხვა პრემიებით აჯილდოვებს ინოვაციურ იდეებსა და პროექტებს ტურიზმის დარგში. 2017 წელს აღნიშნულ კონკურსზე წარდგენილი იყო 30 ქვეყნის 100-ზე მეტი პროექტი, საიდანაც გამოვლინდა 15 გამარჯვებული. ფინალურ ეტაპზე გავიდა ის პროექტები, რომლებიც იცავენ გლობალური ტურიზმის ეთიკის პრინციპებს და ხელს უწყობენ ტურიზმის მდგრად განვითარებას. აქედან გამომდინარე, ინოვაციური იდეები, რომელთა მეშვეობითაც გვინდა გავაუმჯობესოთ ტურისტული გარემო აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ აღნიშნულ 2 უმთავრეს მოთხოვნას (Tourism...).

ბორბლებიანი ჩემოდანი, ონლაინ რეგისტრაცია, ბიომეტრიული იდენტიფიკაცია, ჩქაროსნული მატარებელი, საკრედიტო ბარათი, ბანკომატი, ციფრული ფოტოაპარატი და სხვა ტექნოლოგიები ტურისტისათვის მნიშვნელოვან კომფორტს წარმოადგენს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქცია თუ მომსახურება ტურისტებისათვის ფსიქოლოგიური სტიმულია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ინვესტიციების განხორციელება ტურიზმის სფეროში, რათა ის ინოვაციები, რაც ინერგება განვითარებულ ქვეყნებში მალევე შევთავაზოთ საქართველოს სტუმრებს თუ ადგილობრივ მოგზაურებს.

ტურიზმი ნამდვილად არის ის სფერო, რომელიც ითხოვს რაც შეიძლება მეტ ინოვაციას და კრეატივს. აღნიშნულ სფეროში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ვითარდება ინოვაციური მიდგომები სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის მსოფლიოს ეკონომიკის ფორუმი ყარდლებას ამახვილებს რამდენიმე მათგანზე (Tourism... B) :

1. უძრავი ქონების ონლაინ პლატფორმა, რის მეშვეობითაც ტურისტს შეუძლია მისთვის სასურველ ნებისმიერ ადგილში წინასწარ დაჯავშნოს საცხოვრებელი ფართი. ამ სფეროში მსოფლიოში ლიდერობს კომპანია Airbnb, რომელიც შეფასებულია 25 მილიარდ დოლარად. ასევე სფეროს განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ კომპანიები: Couchsurfing, Feastly, Knok, Vayable და Wimdu.

2. ხშირად მოგზაურები კარგავენ საკუთარ ჩემოდანს ან ხელჩანთას, რაც სტატისტიკის თანახმად საკმაოდ ხშირ ფაქტს წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ლას ვეგასის აეროპორტის მესამე ტერმინალი სტუმრებს სთავაზობს რადიო სიხშირის მქონე ე.წ. საიდენტიფიკაციო ჩიპებს, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას, რომ ჩემოდანი არ დაიკარგება. ასევე, ცნობილი კომპანია Bluesmart შექმნა ჩემოდანთა გადაზიდვის სისტემა, რომლის დროსაც მესაკუთრეს შეუძლია საკუთარი შემოდანი აკონტროლოს სმარტფონის მეშვეობით. აღნიშნულმა სიახლემ დიდი მოწონება დაიმსახურება ბიზნეს კლასის მოგზაურებში.

3. მოგესხენებათ, ჩვენ ვცხოვრობთ ჰიპერკომუნიკაციების ეპოქაში, შესაბამისად თვითმფრინავით ფრენის დროს გარკვეულ დისკომფორტს წარმოადგენდა ინტერნეტის არარსებობა, რომელიც ცოტა ხნის წინ აღმოიფხვრა და დღეისათვის რიგი ავიაკომპანიები საკუთარ სტუმრებს სთავაზობენ ე.წ. Wi-Fi-ს. მართალია, ავიაკომპანიები ამას არ აკეთებენ უფასოდ, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ მომხმარებელს მიეცა არჩევანის საშუალება. ასევე ავიაკომპანიები ამატებენ ტექნიკის დასატენ საშუალებებს, რამაც გამოიწვია მომხმარებელთა დიდი კმაყოფილება და დანიშნულების ადგილზე ჩასვლა აღარ უწევთ „მკვდარი“ ტელეფონით.

4. დღეისათვის შესაძლებელია სმარტფონით ავიაბილეთის ონლაინ შეკვეთა და დეტალური ინფორმაციის მოძიება საკუთარი რეისის შესახებ. აღნიშნული სიახლის ფარგლებში შესაძლებელია უდიდეს აეროპორტთა ნავიგაცია.

5. თანამედროვე კომპანიების მიერ აქტიურად მიმდინარეობს ონლაინ გიდის ფუნქციის დამატება სმარტფონზე, რომელიც სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას (**Industry...**).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიახლე ათი წლის წინ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, საინტერესოა რა სიახლეებს შემოგვთავაზებენ მსოფლიოს ინოვაციებზე ორიენტირებული კომპანიები და კიდევ რამდენად განვითარდება კონკრეტულად ტურიზმის დარგი.

მრავალფეროვანია ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გვსურს გავაკეთოთ საკრუიზო და სამედიცინო ტურიზმის მიმართულებაზე, რომელიც ე.წ. მდიდარი ტურისტების მოზიდვას

ისახავს მიზნად, რაც თავის მხრივ, აისახება სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის ჯანდაცვასა და მშენებლობაზე.

სამედიცინო ტურიზმი ძალიან პოპულარულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. არსებობენ ქვეყნები, რომლებმაც ამ სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მაგ: კანადა, დიდი ბრიტანეთი, ტაილანდი, ინდოეთი, ისრაელი, მალაიზია, სინგაპური, გერმანია და სხვა. კავკასიის რეგიონი და მათ შორის, საქართველოც, მინერალური და თერმული წყლების დიდი რაოდენობით გამოირჩევა, რაც საშუალებას გვაძლევს სამკურნალო კურორტები ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში განვაკითხოთ. უნდა ითქვას, რომ სამედიცინო ტურიზმი გარდა კურორტებზე დასვენებისა და ბუნებრივი რესურსების სამკურნალოდ გამოყენებისა მოიცავს სხვა ქვეყნებში ან რეგიონებში მოგზაურობას სამედიცინო, სტომატოლოგიური ან ქირურგიული მომსახურებისთვის (**Tourism... C**).

სამედიცინო ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია საქართველოს სამკურნალო თვისებების მქონე კურორტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სამედიცინო დაწესებულებების ინოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვა და შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფა. აღწერილი პროცესი მოითხოვს მენეჯმენტის მაღალ ხარისხს, რომელიც უნდა იყოს ინოვაციებსა და ცოდნაზე ორიენტირებული.

რაც შეეხება საკრუიზო ტურიზმს ეს არის მოგზაურობა საზღვაო ხომალდით (კრუიზით), რომლითაც ძირითადად სარგებლობენ ე.წ. „ხუთვარსკვლავიანი“ ტურისტები და მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და განვითარებადი სფეროა. (**Oral... 2010 B : 805-817**). მასზე ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნის რაოდენობა. საკრუიზო ხაზის საერთაშორისო ასოციაციის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში კრუიზული ტურიზმის მგზავრთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 28,2 მილიონს, ხოლო ამ მიმართულებით მსოფლიოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საერთო კონტრიბუციამ 2017 წელს შეადგინა - 134 მილიარდი აშშ დოლარი (**CLIA 2019**).

საკრუიზო ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია რიგი ღონისძიებები, კერძოდ, უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა საკრუიზო გემების მისაღებად; მოხდეს ბათუმის პორტის გაერთიანება საკრუიზო საერთაშორისო ორგანიზაციებში; გატარდეს მარკეტინგული ღონისძიებები ბათუმის პოპულა-

რიზაციისათვის; მოხდეს შავი ზღვის ქვეყნების ერთიან პლატფორმაში ბათუმის პორტის პოზიციონირება. საკრუიზო ტურიზმი მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი ქვეყნის მშპ-ში ტურიზმის წილს ვინაიდან, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად საკრუიზო ინდუსტრიის წევრი კომპანიების შემოსავლებმა 2017 წელს 45 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს მიმართულება საკმაოდ მომგებიანია მათთვის ვინც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ სფეროში (CLIA 2019).

საინტერესოა საკრუიზო და სამედიცინო ტურიზმის მიმართულებებისადმი კომპლექსური მიდგომა, ვინაიდან ორივე მათგანი ძირითადად, დაახლოებით ერთმანეთის მსგავსი ტიპის სოციალურ კატეგორიას ემსახურება, რასაც ადასტურებს პორტალ CruiseCompare-ის მიერ ჩატარებული ბრიტანელი „კრუიზერების“ გამოკითხვა, საიდანაც გამოვლინდა, რომ საკრუიზო ტურიზმის მოსარგებლეთა აბსოლუტური უმრავლესობა 50 წელს გადაცილებულია და დიდია მათი ყურადღება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ (Tourists...). შესაბამისად, კრუიზის მგზავრებს, რომლებიც ეწვევიან საქართველოს, უნდა შევთავაზოთ მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, საქართველოს შესაბამისი სამკურნალო თვისებების მქონე კურორტზე (მაგალითად აბასთუმანი, წყალტუბო, ბორჯომი თუ სხვა), სადაც სპეციალისტების მიერ ჩაუტარდება სათანადო გამოკვლევები, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კლინიკა-სანატორიუმში. გამაჯანსაღებელი კურსის შემდეგ კრუიზერი უბრუნდება თავის საზღვაო ხომალდს და აგრძელებს მოგზაურობას. აღნიშნული ინოვაციური პროექტის განხორციელება გამოიწვევს რიგ წარმატებებს ქვეყნის ეკონომიკაში. პირველ რიგში გაიზრდება მაღალ მხარჯველობითუნარიანი ტურისტების რაოდენობა, რაც მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებისათვის ისე მოქალაქეებისათვის, გაიზრდება ინვესტორთა რაოდენობა, სამედიცინო სფეროში გაჩნდება მოთხოვნა ინოვაციურ პროდუქციასა და მომსახურებაზე, გაუმჯობესდება კურორტებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და სხვა. აღნიშნული მაგალითი მიზნად ისახავს, რაც შეიძლება თვალსაჩინო გახადოს ინოვაციური მენეჯმენტის შესაძლებლობების არეალი საქართველოში არსებული რესურსების პოტენციალის

გათვალისწინებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ძნელად წარმოსადგენია მსგავსი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება ინოვაციური პროცესების გარეშე.

საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა ბოლო პერიოდში ორი ყველაზე აქტუალური მიმართულება, ერთის მხრივ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჰიდროელექტროსადგურებისა და მეორეს მხრივ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რაც მოითხოვს აღნიშნული მიმართულებებით ქვეყანაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობას, რათა კონკრეტულ კომპანიებში ცოდნაზე დაფუძნებული მართვა განახორციელონ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა და სწორედ მათ დაიკავონ მენეჯერული პოზიციების უმეტესი ნაწილი.

ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს ჰესების მშენებლობა, თუმცა საკმაოდ მცირედ არიან დარგის სპეციალისტები. უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ენერგეტიკის სფეროში, ისევე როგორც საპორტო მომსახურებაში ყოველდღიურად იქმნება ახალი ცოდნა, ახალი ტექნოლოგიები, რაც ართულებს ამ სფეროებში საქმიანობას შესაბამისი კვალიფიკაციის დაუფლების გარეშე. თავის მხრივ ამა თუ იმ დარგში თანამედროვე ცოდნაზე წვდომა დაკავშირებულია სხვადასხვა სირთულეებთან, ვინაიდან ვიდრე მოპოვებული ცოდნის საფუძველზე შეიქმნება სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, ვიდრე ჩვენი თანამოქალაქეების არა ერთი და ორი ადამიანი, არამედ კონკურენტული რაოდენობა დაინტერესდება ამ სფეროში არსებული თანამედროვე მიღწევებითა და შეისწავლიან მათ, შეიძლება ეს ცოდნა მოძველდეს კიდევ. გარდა ამისა ზემოხსენებულ პირებს უნდა გააჩნდეთ მენეჯერული თუ პიროვნული თვისებები, რომელთაც მოითხოვს კონკრეტული კომპანიის მესვეურები. ეს გრძელვადიანი პროცესი საკმაოდ მრავალმხრივია და საბოლოო ჯამში საჭიროებს ბევრი პრობლემის გადაჭრას, რაც ძალზედ რთულია ხელისუფლებისათვის. ამიტომ პირველ რიგში, რითიც შეიძლება დაიწყოს აღნიშნული გარემოების გამოსწორება ეს არის განათლების დარგის მაქსიმალური მხარდაჭერა.

რაც შეეხება ანაკლიის პორტს, იგი საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტია. ის აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. ეს ფაქტორები შეუწყობს ხელს პორტის პროდუქტიულობას, ეფექტიანობასა და

საიმედოობას. ანაკლიის დრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და გახსნა 2020 წელს იგეგმება. მთლიანობაში, პორტი 9 ფაზად განვითარდება. ინვესტიციის საერთო რაოდენობა კი 2.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. პორტის სიღრმე 16 მეტრი იქნება, რაც საშუალებას მისცემს მას, მიიღოს 10 000 კონტეინერიანი (TEU) გემები (ანაკლია...).


ცნობილია, რომ საქართველო აბრეშუმის გზის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მონაკვეთზე მდებარეობს, ჩინეთსა და ევროპას შორის არსებულ ყველაზე მოკლე მარშრუტზე. ეს მას ტვირთის გადაზიდვის პროცესში მთავარ კარიბჭედ აქცევს ცენტრალური აზიისა და კავკასიის იმ რეგიონებში, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ. ანაკლიის პორტი მოემსახურება ბაზრებს კავკასიის რეგიონში, 17-მილიონიანი მომხმარებლით, შუა აზიაში (ყაზახეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, და ტაჯიკეთი) და ირანში, ჯამში 147 მილიონი ადამიანით. პროექტის მასშტაბების გათვალისწინებით, ქვეყნისათვის აღნიშნულ სფეროში ანაკლიის პორტი იქნება ინოვაციური პროცესების ერთგვარი კერა. თუ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას გადავავლებთ თვალს, მიუხედავად გეოგრაფიული მდებარეობისა, არცისე ეფექტიანად ვიყენებდით ზღვის რესურსს. შესაბამისად, ამ მიმართულებით ნამდვილად ფართოა ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების არეალი და აღნიშნული პროექტი შეიძლება ითქვას საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ისტორიული ფუნქციისა და დანიშნულების გამოხატულებათ, რაც მას აქცევს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად, რომელსაც შეიძლება გავუმკლავდეთ მხოლოდ ინოვაციურ პროცესებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მენეჯმენტის პირობებში.

კვლევის კიდევ ერთი მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეებთან ერთად განგვესაზღვრა ის ქალაქები/მუნიციპალიტეტები, რომელთაც გააჩნიათ ყველაზე დიდი პოტენციალი ინოვაციური პროცესების განვითარების თვალსაზრისით. შედეგად რესპოდენტთა მიერ საერთო ჯამში თითქმის მთელი საქართველო დასახელდა, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ესენია: ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, თბილისი, მესტია, ანაკლია, მცხეთა, ჭიათურა, გურჯაანი, წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი, ზესტაფონი და ბაკურიანი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე ბოლო პერიოდში აქტიურად

მიმდინარეობს სხვადასხვა მასშტაბური პროექტები, რაც კიდევ უფრო ზრდის აღნიშნულ დასახლებებში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ინოვაციები გახლავთ უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამღლებსათვის, აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები (იხ. დიაგრამა N 4).

დიაგრამა N 4. ინოვაციური მიდგომების საჭიროება საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაში



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა N 4-ზე ასახული მოცემულობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ინოვაციების აქტუალობასა და საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში მისი პრაქტიკული მაგალითების განხორციელების უფრო მეტი საჭიროების აუცილებლობას, რაც პირველ რიგში შესაბამის ორგანიზაციებში მენეჯმენტის სათანადო განვითარებას მოითხოვს.

იმისათვის, რომ ინოვაციური მიდგომები გაძლიერდეს საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში, საჭიროა მოსახლეობას კარგად ესმოდეს ინოვაციების მნიშვნელობა, რათა გაუჩნდეს მოთხოვნა ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი და ზოგადად ინოვაციური პროცესების მიმართ. კვლევის პროცესში ასევე მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო რესპოდენტთა მხრიდან უშუალოდ ინოვაციური პროექტებისადმი დამოკიდებულება. შევეცადეთ მათი შეხედულებების საფუძველზე დაგვედგინა ინოვაციური იდეების დაფინანსებისა და რეალური

განხორციელების პრობლემები საქართველოში. ამისათვის რესპოდენტებს მივმართეთ კონკრეტული კითხვებით. პირველ კითხვაზე - „როგორ ფიქრობთ - შეგიძლიათ ინოვაციური პროექტის შემუშავება?“ გამოკითხულთა 83,1 პროცენტმა დადებითი პასუხი გაგვცა, ხოლო მომდევნო კითხვა დაფინანსების საკითხს შეეხო და კითხვაზე „არსებობს თუ არა საქართველოში ინოვაციური იდეების დაფინანსების წყაროები (სახელმწიფო თუ კერძო პროექტები, პროგრამები, სხვადასხვა ორგანიზაციები და სხვა)?“ რესპოდენტთა 79,7 % ფიქრობს, რომ ამ კუთხით დაფინანსების პრობლემა არ არსებობს, რასაც მოჰყვა ჩენ მიერ შემუშავებული კითხვარის მომდევნო კითხვა, რომელიც ლოგიკურ კავშირშია წინა კითხვებთან, „თქვენი აზრით საქართველოს მოქალაქეებს რა უშლით ხელს ინოვაციური იდეების განხორციელებაში?“. რესპოდენტთა მიერ დასახელდა სხვადასხვა მიზეზები, რომლებიც ძირითადად სამი მიმართულებით გახლდათ. დაახლოებით 20 % ამბობს, რომ შესაბამისი ფინანსების მოძიება აბრკოლებს ინოვაციური პროექტების შემუშავებას, რესპოდენტთა 37 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით უპირველესი პრობლემა გახლავთ ადგილობრივ მომხმარებელში ინოვაციური პროდუქციისა თუ მომსახურებისადმი დაბალი მოთხოვნა და შესაბამისად, რისკი მაღალია, რომ ესა თუ ის ინოვაციური პროექტი ჩვენს ქვეყანაში ვერ გაამართლებს, ხოლო დარჩენილი 43 პროცენტი ძირითადად აქცენტს აკეთებს მოქალაქეთა ინტელექტსა და მსოფლხედვაზე, ისინი მიიჩნევენ, რომ მოქალაქეთა უმრავლესობის ზოგადი ცოდნა არ არის შესაბამისობაში თანამედროვე სამყაროს გამოწვევებთან, რაც ხელს უშლის რეალური საჭიროების მქონე ინოვაციური იდეების არსებობას. ზემოაღნიშნულ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი მოსაზრება, - რომ ქვეყანაში არსებობს ინოვაციური იდეების დაფინანსების წყაროები, რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ ინოვაციები აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისათვის, დაახლოებით 83 % ამბობს, რომ მას შეუძლია ინოვაციური იდეის შემუშავება მაგრამ, ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან ინოვაციებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო, ვერ ხერხდება ღირებული ინოვაციური პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.


მას შემდეგ რაც გავიგეთ საზოგადოების ზოგადი მოსაზრებები ინოვაციებთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა მეორე კვლევა. ამჯერად უშუალოდ

მენეჯერთა თვალთახედვით დავინტერესდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სფეროში არსებული ორგანიზაციების ოცდაათმა მენეჯერმა. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის 01 მაისიდან 01 ივნისამდე. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მენეჯერთა დაახლოებით 90 % ინოვაციებს მიიჩნევს თავიანთი ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. თუმცა აღნიშნული ორგანიზაციების მხოლოდ 1/3 აქვს კვლევისა და განვითარების (R&D) დეპარტამენტი (სტრუქტურული ერთეული, რომელიც მუშაობს ინოვაციების შემუშავებაზე ან პრაქტიკაში უკვე არსებული ინოვაციების დანერგვაზე) ან მსგავსი სტრუქტურული ერთეული, მაგრამ კლასიკური გაგებით R&D დეპარტამენტი გაცილებით უფრო ნაკლებად გვხვდება საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში. აღნიშნული გარემოება შეიძლება ავხსნათ იმითი, რომ მიმდინარე პერიოდისათვის კვლევისა და განვითარების მიმართულებით თანხების გამოყოფა ხდება მინიმალური ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა: ხელმძღვანელ პირებთან ერთად განგვესაზღვრა თანამედროვე ქართულ რეალობაში ორგანიზაციებმა თავიანთი შემოსავლების რა ნაწილი უნდა მიმართონ ინოვაციების შემუშავება/დანერგვაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ზრდადი ტენდენცია შეინიშნება მსოფლიო ბრენდების მიერ ინოვაციებთან დაკავშირებულ კვლევების დაფინანსების კუთხით. მაგალითისათვის კომპანია Amazon-ის მიერ ინოვაციური პროდუქციის თუ მომსახურების/პროცესის შექმნის მიზნით ჩატარებულ კვლევებზე დახარჯულმა თანხამ 2017 წელს 22,62 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2016 წელს 16,08 მილიარდი აშშ დოლარი და 2015 წელს კი 12,7 აშშ დოლარი. მოცემული ხარჯები კომპანიის შესაბამისი წლის საერთო შემოსავლების 11-13 % მერყეობდა. აღნიშნული მიმართულებით გაწეული ხარჯები შემოსავლების 11-15 პროცენტს შეადგენს ისეთ კომპანიებში, როგორცაა Microsoft და Alphabet , 2017-2018 წლებში R&D კვლევებზე შემოსავლების 6-10 პროცენტს ხარჯავდა კომპანია Volkswagen და Samsung . კომპანია Intel-მა კი 2017 წელს თავისი შემოსავლების დაახლოებით 21 პროცენტი დახარჯა კვლევების მიმართულებით, რამაც შეადგინა 13,09 მილიარდი აშშ დოლარი. მოცემული ციფრები ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ტოპ-კომპანიებისათვის ინოვაციები (**Companies...**), (იხილეთ დანართი N4).

დიაგრამა N 5. თანამედროვე ქართულმა ორგანიზაციამ საშუალოდ თავისი შემოსავლების რა ნაწილი უნდა დახარჯოს ინოვაციების შემუშავება/დანერგვაში.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით მივიღეთ საკმაოდ იმედის მომცემი პასუხები, (იხ. დიაგრამა N5) მიუხედავად ამისა, რეალობაში ამ მიმართულებით რადიკალურად განსხვავებული მოცემულობა გვაქვს და როცა მენეჯერებს მივმართეთ თხოვნით დაესახელებინათ მათ მიერ დაფინანსებული კვლევა ან თავიანთი ორგანიზაციის ინოვაციური პროდუქცია თუ მომსახურეობა, - რესპოდენტებს ძალიან გაუჭირდათ რეალური ინოვაციის დასახელება. დიაგრამაზე მოცემული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული ორგანიზაციები უკვე მზად არიან ინოვაციების მიმართულებით მუშაობისთვის. ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე გადაიდგმება რეალური ნაბიჯები ინოვაციური კვლევების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინოვაციურ მენეჯმენტს ნამდვილად გააჩნია განვითარების პერსპექტივები.

მოსაზრებას, რომ ინოვაციური მენეჯმენტი უნდა ინერგებოდეს და ვითარდებოდეს, როგორც სახელმწიფო ასევე, კერძო სექტორში გამოკითხულ მენეჯერთა 100-ვე პროცენტი ეთანხმება. უშუალო გასაუბრების პროცესში კი, მენეჯერები აღნიშნავენ, რომ პირველ რიგში, სახელმწიფო მართვაში უნდა დაინერგოს ინოვაციები და ერთგვარი მაგალითის მომცემი უნდა იყოს კერძო სექტორისათვის.

იმ მიზნით, რომ გაგვეგო საქართველოში ინოვაციური საქმიანობის შემაფერხებელი ძირითადი მიზეზები კვლევის ფარგლებში შევეცადეთ რესპოდენტებთან ერთად გამოგვეყო ისინი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები აქცენტს აკეთებენ ძირითადად შემდეგ სირთულეებზე:

- ორგანიზაციათა ფინანსური სისუსტე;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ნაკლებობა;
- სპეციალიზებული კადრების ნაკლებობა;
- იდეების არარსებობა;

ვინაიდან მენეჯერთა მხრიდან ინოვაციების შემაფერხებელ მიზეზად პირველ რიგში დასახელდა ორგანიზაციათა ფინანსური სისუსტე, დავინტერესდით ინოვაციური პროექტების დაფინანსების გარე წყაროების შესახებ რამდენად ფლობდნენ ინფორმაციას, რა დროსაც გამოკითხულ მენეჯერთა მიერ სახელდება შემდეგი მექანიზმები:

- სახელმწიფო პროექტები და პროგრამები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები;
- კრედიტი;


უნდა ითქვას, რომ გარდა ზემოთ დასახელებული სამი მექანიზმის განვითარებულ ქვეყნებში ამა თუ იმ კონკრეტული ინოვაციური პროექტის განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციების მოძიების ბევრად მეტი შესაძლებლობაა, თუმცა ვფიქრობთ, რომ თუ იდეა ღირებულია დღეისათვის ინფორმაციის გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით ძალიან სწრაფად შეიძლება. ამ მიმართულებით ნაშრომში ჩვენ მიერ განხილულ იქნა ინოვაციების დაფინანსების გარე წყაროები და მათი ძირითადი ასპექტები. კვლევის ფარგლებში გვსურდა გაგვეგო მენეჯერთა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად საკმარისია ზემოთ მოცემული დაფინანსების წყაროები კონკრეტული ინოვაციური პროექტის განსახორციელებლად, რაზედაც მივიღეთ შემდეგი სურათი: მენეჯერთა 22% მიიჩნევს, რომ საკმარისია, 44% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ საკმარისია, ხოლო დარჩენილი 34% - კი ფიქრობს, რომ არ არის საკმარისი. მოცემული ტენდენციის

საფუძველზე უნდა ითქვას, რომ საჭიროა ქვეყანაში არსებულ ორგანიზაციებს მიეწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ არცერთი ღირებული იდეა არ დარჩება უყურადღებოდ, რათა უფრო მეტი სითამამით იმუშაონ ინოვაციების მიმართულებით და არ ჰქონდეთ იმის შეგრძნება, რომ ვინაიდან ისინი არ იმყოფებიან მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიება შეაფერხებს მათი იდეის განხორციელებას.

მოცემული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში არსებული ორგანიზაციების მენეჯერები საკმაოდ პოზიტიურად არიან განწყობილნი ინოვაციებისადმი, ამ მიმართულებით მათი მხრიდან არის სტრუქტურული და ფინანსური მხარდაჭერის მზაობა, გარდა ამისა მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების გარე წყაროებიც მეტ-ნაკლებად არსებობს, თუმცა არსებული რესურსებიდან გამომდინარე ჯერჯერობით რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა, შესაბამისად, არც რაიმე რეალური შედეგები აქვთ ინოვაციების მიმართულებით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გვსურს შემოგთავაზოთ ჩვენ მიერ შემუშავებული ინოვაციური მენეჯმენტის ერთგვარი უნივერსალური მოდელი, რომელიც საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებთან არის უშუალო კავშირში და შეიძლება გამოვიყენოთ, ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისათვის, რომელიც ინოვაციებით იქნება დაინტერესებული. (იხ. სქემა N5)

სქემა N 5. ინოვაციური მენეჯმენტის უნივერსალური მოდელი



წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ.

მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია ინოვაციებზე ორიენტირებული მენეჯმენტის მოდელი, რომლის სტრუქტურაში ცალკე ერთეულადაა ჩამოყალიბებული კვლევისა და განვითარების (R&D) დეპარტამენტი, რომლის თანამშრომლებიც ორგანიზაციის ყველა საკვანძო სტრუქტურულ ერთეულში არიან გადანაწილებულნი და სწავლობენ იქ არსებულ მდგომარეობას, ჩართულნი არიან უშუალოდ შესაბამისი დეპარტამენტის/განყოფილების საქმიანობაში, რაც იმავდროულად ამსუბუქებს იქ მყოფი თანამშრომლების დატვირთვას, ახორციელებენ კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებას და უშუალო ხელმძღვანელს აწვდიან ინფორმაციას ინოვაციური მეთოდების შემუშავების შესაძლებლობების თაობაზე. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში თავს იყრის ზემოხსენებული პრინციპით შედგენილი დოკუმენტაცია ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მიმართულებით, რომელსაც შეისწავლის შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. რის შემდეგაც ხდება წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა ამა თუ იმ მიმართულებით და მისი ქართულ რეალობასთან მისადაგებული კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რის საფუძველზეც დაწესებულების ხელმ-

მღვანელისათვის იქმნება სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდა, ინოვაციების ხარჯზე.

იმ ფონზე, როდესაც საქართველო იმყოფება განვითარების ისეთ საფეხურზე, როცა ქვეყანაში გამუდმებით მიმდინარეობს რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა განხორციელებისას ძირითადად ვხელმძღვანელობთ ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციებითა და წარმატებულ ქვეყნებში აპრობირებული პრაქტიკით საჭიროა თითოეული ორგანიზაცია ჩაერთოს ამ ფერხულში და თავის მხრივ უზრუნველყოს ადაპტირება ზემოხსენებულ ვითარებაში. უპირველესყოვლისა სწორედ, ამ მიზანს ემსახურება შემოთავაზებული მოდელი და ვფიქრობ ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის ქვეყანაში მიმდინარე პერიოდში აღნიშნული მოდელის დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის ამ მიმართულებით არსებულ პერსპექტივებს.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინოვაციების თეორიული საფუძვლები, ინოვაციური მენეჯმენტის, როგორც ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტის მნიშვნელობა და სპეციფიკა, ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. ჩატარებულია პრაქტიკული კვლევები, შესწავლილია დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციები, ასევე, გამოკვლეულია ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტიული მიმართულებები და ლოკაციები. იქედან გამომდინარე, რომ ნაშრომში ვერ მოხერხდებოდა საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივების მქონე ყველა დარგის მიმოხილვა აქცენტი გაკეთებულია რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე, ხოლო უფრო დეტალურადაა განხილული ქვეყანაში საკუთრივ ინოვაციური მენეჯმენტის კონცეპტუალური და ფუნდამენტური ასპექტები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია საქართველოში არსებული ორგანიზაციებისათვის ინოვაციური მენეჯმენტის უნივერსალური მოდელი, რომელიც უნდა დაინერგოს ბევრ ორგანიზაციაში და მისი ინტეგრირება უნდა მოხდეს შესაბამისი ორგანიზაციის ფინანსური და ადამიანური კუთხით არსებულ რესურსებთან, რათა სამეურნეო თვალსაზრისით იყოს სარგებლიანი, რენტაბელური და არ შეარყიოს მათი გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა და საქმიანი აქტივობა. ნაშრომის დასკვნებისა და წინადადებების

ნაწილში მიმოხილულია ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები საქართველოში და წარმოდგენილია მათი გადაჭრის ავტორისეული თეორიული თუ პრაქტიკული გზები.

დასკვნები და წინადადებები

სადისერტაციო ნაშრომში განხილული თეორიული და პრაქტიკული მასალების შესწავლის საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებულია კონკრეტული დასკვნები და წინადადებები (რეკომენდაციები). კერძოდ:

1. ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციის ინოვაციური საქმიანობის დაგეგმვა/განხორციელების ინტენსივობა პირდაპირ კავშირშია შესაბამისი ორგანიზაციის ინოვაციურ პოტენციალთან. აქედან გამომდინარე, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინოვაციებით უნდა შეისწავლონ თავიანთი ინოვაციური პოტენციალი. ამ კუთხით საქართველოში არსებული ვითარება მნიშვნელოვნად ასუსტებს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებს, ვინაიდან ზემოაღნიშნული მიზნით ორგანიზაციათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს თუ აქვს განხორციელებული კვალიფიციური კვლევები.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზაციათა უმეტესობა ინოვაციებისადმი დაინტერესებას გამოთქვამს, შესაბამისად აღნიშნულმა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებმა, პირველ რიგში უნდა ჩაატარონ კვალიფიციური კვლევა თავიანთი ინოვაციური პოტენციალის გამოვლენის მიზნით.

2. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ინოვაციური მენეჯმენტის ეფექტიანობაზე უდიდეს გავლენას ახდენს კონკრეტული ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკა. იმისათვის, რომ ქვეყანაში ინოვაციურ მენეჯმენტს ჰქონდეს პერსპექტივები, შესაბამის ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეს ინოვაციური პოლიტიკა, სტრატეგიული დოკუმენტის, სამოქმედო გეგმის სახით, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, სადაც არსებული პოტენციალით შესაძლებელი იქნება ინოვაციური პროცესების განხორციელება. დოკუმენტში მაქსიმალურად ზუსტად უნდა იყოს გათვალისწინებული საჭირო ფინანსები და მოსალოდნელი რისკები.

სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებმა მას შემდეგ, როცა შეისწავლიან საკუთარ ინოვაციურ პოტენციალს, უნდა შეიმუშავონ სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება ინოვაციური მენეჯმენტის პერსპექტივები და

მათი განხორციელების შესაძლებლობები, ყველა იმ ელემენტის გათვალისწინებით, რაც ახლავს მსგავსი ტიპის დოკუმენტს.

3. ინოვაციებზე ორიენტირებული კომპანიები საწყის ეტაპზე ხშირად დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნებისათვის სასურველია „სტარტაპების“ საგადასახდო სტიმულირება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისათვის. ამ კუთხით ბოლო პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. ქვეყანაში მიმდინარე საგადასახდო რეფორმა შეუმსუბუქებს საგადასახდო ტვირთს მცირე მეწარმეებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ, რეფორმის შედეგად მცირე მეწარმეთა სექტორში გაჩნდება ინოვაციური მენეჯმენტის ერთგვარი აუცილებლობაც კი, იმდენად, რამდენადაც გადასახადების 5-ჯერ შემცირება და ერთობლივი შემოსავლების ზღვარის 5-ჯერ გაზრდა (და სხვა შეღავათები) მცირე საწარმოებს გააძლიერებს ფინანსურად და უზიძგებს გაფართოებისაკენ. მცირე საწარმოებს საგადასახდო რეფორმა აძლევს განვითარების რეალურ შანსს, რომელიც თანამედროვე ეპოქაში ყველაზე ეფექტური ინოვაციური მენეჯმენტის პირობებშია. შესაბამისად, მცირე მეწარმეებმა სასურველია გამოიყენონ ინოვაციური მეთოდები და მიდგომები თავიანთი პროდუქციის/მომსახურების დახვეწის თუ ახლის შექმნის პროცესში.

4. მსოფლიო ბანკის “Doing Business 2019”-ის რეიტინგში საქართველო მე-6 ადგილს იკავებს და რეგიონის ლიდერია. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ბიზნესის კეთების გამარტივების თვალსაზრისით საქართველომ ყველაზე მეტი რეფორმა (ჯამში 50 რეფორმა 2006-2019 წლებში) განახორციელა და 190 ქვეყანას შორის ლიდერთა რიგებში მოექცა. რეიტინგში უფრო მაღალ პოზიციებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი - ჰონგ-კონგი, სამხრეთ კორეა, დანია, სინგაპური და ახალი ზელანდია (რეიტინგის ლიდერი) იკავებენ. აღნიშნული გარემოება დადებითად აისახება ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივებზე. ინოვაციური იდეების მქონე პოტენციური და მოქმედი მეწარმეები ზემოაღნიშნული რეფორმების კვალდაკვალ უნდა ავითარებდნენ თავიანთ პროექტებს და მაქსიმალურად უნდა იცნობდნენ ქვეყანაში

და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებს, რათა თავიანთი საქმიანობა მაქსიმალურად შეუსაბამონ მათ.

5. განვითარებული ქვეყნები შეიძლება ითქვას არ უყურებენ ოპტიმისტურად ქართულ პროდუქტს, იქედან გამომდინარე, რომ მსოფლიოში არსებობს სტერეოტიპი, რომ განვითარებად ქვეყანაში ნაკლებად შესაძლებელია შეიქმნას თანამედროვე ინოვაციური პროდუქცია თუ მომსახურება. ამ სიტუაციის გამოსწორების ერთ-ერთი გზა გახლავთ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფა. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განახორციელოს კანონმდებლობაში შესაბამისი რეგულაციების განსაზღვრა, რითიც დაცული იქნება ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო უფლებები და არ მიეცემათ შესაძლებლობა უხარისხო იმიტაციებმა და პატენტებმა შეულახოს ქვეყანას იმიჯი.

6. R&D - იგივე კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ხარჯები მეტწილად განაპირობებს ქვეყნის წარმატებას ინოვაციური მენეჯმენტის თვალსაზრისით. უნდა ითქვას, რომ მოწინავე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში მთლიანად ქვეყანაში წლის განმავლობაში გაწეული R&D ხარჯების 1/3 ხარჯავს სახელმწიფო ორგანოები, ხოლო 2/3 ბიზნესი, უნივერსიტეტები, არაკომერციული დაწესებულებები და სხვა. ეს თანაფარდობა გახლავთ ერთგვარი რეკომენდაცია არსებული რეალობიდან გამომდინარე კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების კუთხით. თუმცა, რა საკვირველია სახელმწიფოს წილი, რაც უფრო ნაკლები იქნება მით უკეთესი. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული შედეგებით ვებ-პორტალზე <http://uis.unesco.org> კარგად არის წარმოჩენილი თითოეული ქვეყნის მიერ გაწეული R&D ხარჯების სტატისტიკა და კლასიფიცირება. საქართველოში აღნიშნულ ხარჯებს აფინანსებს მხოლოდ სახელმწიფო უწყებები და სხვადასხვა უნივერსიტეტები. სამწუხაროდ ბიზნეს-სექტორის მიერ ამ კუთხით საერთოდ არ იხარჯება თანხები მაშინ, როდესაც ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად ისეთი, როგორცაა შვეიცარია დაახლოებით 70 პროცენტი სწორედ ბიზნეს სექტორის მიერ ფინანსდება. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში, როდესაც გამოიკითხა ათეულობით მენეჯერი, კითხვაზე თუ თავისი შემოსავლების რამდენი პროცენტი უნდა დახარჯოს ორგანიზაციამ R&D საქმიანობის დასაფინანსებლად რესპოდენტთა დაახლოებით 70

% ფიქრობს, რომ მინიმუმ 10 % მაინც უნდა იხარჯებოდეს ამ მიმართულებით, ხოლო მათ შორის 22 პროცენტი კი დაფინანსების ოპტიმალურ ოდენობად 20 - დან 30 პროცენტამდე მიიჩნევს.

ქვეყანაში ზემოაღნიშნული არასახარბიელო R&D ხარჯების თანაფარდობის გამოსწორებისათვის პირველ რიგში ორგანიზაციებში უნდა ჩამოყალიბდეს ე.წ. R&D დეპარტამენტები ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიური, ნიჭიერი კადრებით და იმუშავებს ინოვაციების შემუშავებასა თუ თანამედროვე ორგანიზაციებში უკვე არსებული ინოვაციების დანერგვაზე. მცირე, საშუალო თუ მსხვილმა ორგანიზაციებმა შემოსავლების გარკვეული ნაწილის ინვესტირება უნდა მოახდინონ კვლევებსა და ორგანიზაციის ინოვაციურ განვითარებაში. დაგეგმონ თავიანთი ბიუჯეტი, ისე რომ აღნიშნული ხარჯები უარყოფითად არ აისახოს მათ საქმიანობაზე.

7. როგორც ზემოთ აღინიშნა საქართველოში ინოვაციური კვლევების დაფინანსებას ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. საბოლოო მიზანი ამ დაფინანსების გახლავთ ის, რომ შემუშავებულმა ინოვაციურმა ტექნოლოგიამ ადგილი დაიმკვიდროს ამა თუ იმ დარგში. სამეცნიერო კვლევების პროცესის ოპტიმიზაციისათვის საჭიროა საგანმანათლებლო და ბიზნეს სექტორის მჭიდრო კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინოვაციური პროდუქტისა და პროექტის კომერციალიზებას, რაც გაზრდის კვლევების ხარისხსა და სიხშირეს. ასევე, ამ ორი სუბიექტის თანამშრომლობის პროცესში შესაძლებელია კერძო კომპანიებში დასაქმებული პირების ტექნოლოგიური გადამზადება, კონკრეტული მიმართულებით ახალგაზრდების სპეციალიზაცია და სხვა.

8. ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის აუცილებელია განათლების დონის ამაღლება, რაც წარმოუდგენელია შესაბამისი ინვესტიციების განხორციელების გარეშე. არსებული ვითარება არის ძალზედ არასახარბიელო, როცა მნიშვნელოვნად შემცირებულია შობადობა, ყოველდღიურად მატულობს კვალიფიციური კადრების მიგრაცია მდიდარ ქვეყნებში და ა.შ.. ეს გარემოებები აუცილებლად იქონიებს უარყოფით ზეგავლენას ქვეყანაში არსებული ორგანიზაციების ინოვაციურ პერსპექტივებსა და კონკურენტუნარიანობაზე.

მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ინვესტიციების განხორციელება განათლების სფეროში, რათა ამდღედეს ქართველი ახალგაზრდების ცოდნის დონე მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, რომლის გარეშეც გამორიცხულია ქვეყანაში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე ფიქრიც კი. იმ მსხვილი კომპანიებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს საქართველოში, ადგილობრივ შრომის ბაზარზე უნდა მოიძებნებოდეს კვალიფიციური კადრები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მმართველობით საქმიანობაში და დააკმაყოფილებენ კონკრეტულ პოზიციაზე დაწესებულ მოთხოვნებს. საქართველოში მოქმედი „არსებული სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება - გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“, რამდენადმე შეამსუბუქებს მდგომარეობას, თუმცა საკუთრივ ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის საჭიროა უფრო მეტი ინვესტიცია განათლების სფეროში, რათა ქვეყანაში მრავლად იყვნენ ახალგაზრდა მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ამა თუ იმ მიმართულებით კვალიფიციური განათლება და თავიანთ ორგანიზაციებში შეძლებენ ინოვაციური პროცესების წარმართვას. ამისათვის კი აუცილებელია სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში არსებობდეს ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებათა: ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ა.შ. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, სადაც შესაძლოა საწყის ეტაპზე მოვიწვიოთ უცხოელი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტრენინგებს ჩაუტარებენ ქართველ პედაგოგებს, რათა მაქსიმალურად იქნეს შესწავლილი და გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიის სპეციფიკა. ამის შემდგომ კი უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული სასწავლო პროგრამები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ქვეყანაში არსებულ რეალობასთან და ახალგაზრდებისათვის საინტერესო გზით, გასაგებ ენაზე თითოეულ მოსწავლესა თუ სტუდენტს გააცნობს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებსა და შესაბამისი ტექნოლოგიის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

9. ინოვაციები იქცა თანამედროვე ეკონომიკის სტიმულად და შეიძლება ითქვას ერთგვარი კატალიზატორის ფუნქცია აკისრია მას. ქვეყნებმა, რომლებმაც ინოვაციებს თავიანთი განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭეს უდიდეს წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა სფეროებში. ასეთ პირობებში იზრდება ინოვაციური

მენეჯმენტის პერსპექტივები თითქმის ყველა სფეროში: სახელმწიფო მმართველობა, ტურიზმი, ჯანდაცვა, განათლება, წარმოება თუ სხვა. შესაბამისად, ქვეყანაში არსებულმა ორგანიზაციებმა აქცენტი უნდა გააკეთონ ინოვაციებზე თუ გვსურს, რომ საკუთარ ქვეყანაში მაინც გავუწიოთ კონკურენცია იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებას.

10. თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ინოვაციური განვითარების პერსპექტივები, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიურმა სიახლეებმა ბევრად გაამარტივა სამუშაო პროცესი. სწორედ, ამიტომ მოქმედმა ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით სახელმწიფო უწყებებმა უნდა მოახდინონ თავიანთი თანამშრომლების სპეციალიზაცია კონკრეტული მიმართულებებით, ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირების მიზნით. ასევე, კონკურენციის ამაღლებისათვის სასურველია თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს თუნდაც მცირე გადაწყვეტილების მიღების უფლება და მოხდეს უფლებამოსილებების რაციონალური დელეგირება.

11. იმისათვის, რომ სამყარომ შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა და მომავალი თაობების წინაშე ვიყოთ პირნათელი, მაქსიმალურად მომჭირნეობით უნდა გამოვიყენოთ არსებული რესურსები და შესაძლებლობები, ანუ ხელი უნდა შევუწყოთ სამყაროს მდგრად განვითარებას. მდგრადი განვითარებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ წარმატებული ქვეყნები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ ინოვაციურ ორგანიზაციებზე, ვინაიდან სწორედ მათგან ელიან ყველაზე დიდ შედეგებს, გლობალური კონკურენტუნარიანობის მოპოვების თვალსაზრისით და ფართომასშტაბიანი სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. თავის მხრივ, ინოვაციებზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს სჭირდებათ შესაბამისი კვალიფიკაციისა და აზროვნების მენეჯერი, რომელიც თავისი ორგანიზაციის მიზნებს სწორად განსაზღვრავს და პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნის პროცესს წარმართავს იმგვარად, რომ საბოლოო ჯამში შეზღუდული რესურსებით მიღებულ იქნეს იმაზე მეტი ეფექტი, ვიდრე აქამდე. მდგრადი განვითარების მიზნები ვფიქრობთ ერთის მხრივ, არის ერთგვარი სტიმული ინოვაციური მენეჯმენტისა და მეორეს მხრივ, ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს მენეჯმენტი, შესაბამისი ინოვაციური პროცესის განხორციელებისას.

12. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სხვადასხვა დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის ევროკავშირი, გაერო და სხვა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მიერ საქართველოში შემოედინება არამარტო ფინანსური რესურსი, არამედ უდიდესი ინტელექტი და გამოცდილება, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ დარგში ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ქვეყანაში მივიღოთ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და გაიზარდოს ინოვაციური მენეჯმენტის პერსპექტივები აქტიურად უნდა გავაგრძელოთ თანამშრომლობა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციებით მაქსიმალურად უნდა დაინტერესდნენ, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) აბესაძე, 2018 : აბესაძე რ.; მდგრადი განვითარების მიზნები. თბილისი 2018; აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული.
- 2) აბრალავა, 2014: აბრალავა.ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. მონოგრაფია. თბ., 2014. გვ. 33-34.
- 3) აბრალავა, 2001: აბრალავა ა.; გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თსუ გამომცემლობა, თბ. 2001, გვ. 19;
- 4) ასათიანი, 1996 : ასათიანი რ., ეკონომიკის, განმარტებითი ლექსიკონი. თბ.1996, გვ. 76;
- 5) გვარუციძე, 2008: გვარუციძე ა.; ინოვაციური სფეროს ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფა საბაზრო მეურნეობის პირობებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბ. 2008, 0175, საქართველო;
- 6) დუშუაშვილი, 2016: დუშუაშვილი თ., გლობალური ინოვაციის ინდექსი და საქართველო, ჟურნალი ფორბსი;
- 7) მარგველაშვილი, 2016: მარგველაშვილი ქ.; „სამთავრობო ინოვაცია და ინოვაციების დიფუზია“, ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016.
- 8) ქოქიაური... 2018: ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., გეგზაია ბ., „ინოვაციური ეკონომიკა“, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი-ბათუმი, 2018;
- 9) ქოქიაური, 2016 : ქოქიაური ლ., ინოვაციები. თბ.2016;
- 10) შაბურიშვილი, 2009 : შაბურიშვილი შ., სტატია „ტექნოლოგიური პროგრესის კატალიზატორი“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N4, 2009;

- 11) შენგელია 1997:** შენგელია თეიმურაზ, ინვაციური პროცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა. თბ. 1997, გვ-205;
- 12) შუბლაძე...2008:** შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., „მენეჯმენტის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008;
- 13) ჩიბურდანიძე, 2008 :** ჩიბურდანიძე ლ., სტატია „როგორ დავძლიოთ სიღარიბე საქართველოში“ ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N21, 2008;
- 14) ხუსკივაძე, 2018:** ხუსკივაძე მ.; საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა მდგრადი განვითარების კონტექსტში. თბილისი 2018. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული.
- 15) ბიზნესი და კანონმდებლობა 2010:** ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N22, 2010;
- 16) ინოვაციური... :** ინოვაციური ეკონომიკა და მართვა 2017 : ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, N 4-3: 2017 წ. სტატია -ეროვნული ინოვაციური სისტემის კონცეფციის კონცეპტუალური საფუძვლები
- 17) კოდექსი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- 18) საქართველოს კანონი ... 2019 :** სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი, მიღების თარიღი 2018.
- 19) საქართველოს კანონი... 2016:** საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ, მიღების თარიღი 2016, ოფიციალური ვებგვერდი
- 20) საქართველოს კანონი... 1994:** საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ, მიღების თარიღი 1994,

ოფიციალური ვებგვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28426#>

- 21) სტრატეგია 2020: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020;
- 22) ჰორიზონტი 2020 : ევროკომისიის პროგრამა „ჰორიზონტი 2020“;
- 23) Aydogan, 2009 : Aydogan E., Innovation Policies, Business Creation and Economic Development. A Comparative Approach, Springer Science – Business Media LLC, 2009;
- 24) Berkhout, 2010 : Berkhout G., Hartmann, D., & Trott, P. Connecting technological capabilities with market needs using a cyclic innovation model. R&D Management, 40(5), 474-490. 2010;
- 25) Benson ... 2008: Business Information Management, Benson V., Tribe K;
- 26) Benson ... 2013: Business Information Management Exercises; Dr. Vladlena
- 27) Bessant, 2003 A: Bessant J., High Involvement Innovation, John Wiley & Sons Ltd, Chichester 2003;
- 28) Bessant, 2003 B : Bessant j.- Challenges in Innovation Management 5-8 University of Exeter;
- 29) Betchoo, 2017: Research in HRM – a qualitative approach, Nirmal Kumar Betchoo;
- 30) Bhasin, 2012: Bhasin K. "This Is The Difference Between 'Invention' And 'Innovation'". Business Insider. 2012-04-02;
- 31) Buhails, 2008: Buhalis, D., & Law, R. Progress in Information Technology and Tourism Management: 20 Years on and 10 years after the Internet—The State of eTourism Research. *Tourism Management*, 29(4) 2008;
- 32) Claveria... 2014: Claveria, O. & Torra, S. (2014). Forecasting tourism demand to Catalonia: Neural networks vs. time series models, *Economic Modelling*, 36(2014), 220–228
- 33) CLIA 2019 : Cruise Lines International Association (2019). Cruise Industry Report, Contribution of Cruise Tourism;

- 34) Drucker, 2007:** Drucker Peter F., Innovation and entrepreneurship: practice and principles, The Classic Drucker Collection, Elsevier, 2007;
- 35) Elttlie, 2006:** Elttlie J.E., Managing Innovation. New technology, new Products and new services in global economy, Elsevier Butterworth Heinemann, Oxford 2006;
- 36) Freeman, 1987:** Freeman C., (1987). Technology Policy and Economic Performance: Lessons from Japan. London; N. Y.: Pinter Publishers;
- 37) Gertler... 2005:** Gertler, M.S., Vinodrai T. Anchors of creativity: how do public universities create competitive and cohesive communities? In F. Iacobucci and C. Tuohy (eds), Taking Public Universities Seriously, Toronto: University of Toronto Press, 293–315. 2005;
- 38) Global 2017:** 2017 GLOBAL R&D FUNDING FORECAST;
- 39) Halkier... 2013 :** Halkier, H., Kozak, M., & Svensson, B. Innovation and Tourism Destination Development. *European Planning Studies*, 22(8): 2013;
- 40) Hill, 2008:** Strategic Financial Management, Robert Alan Hill;
- 41) Hill , 2013:** Working Capital and Strategic Debtor Management, Robert Alan Hill;
- 42) Hjalager, 2002:** Hjalager, A.-M.. Repairing Innovation Defectiveness in Tourism. *Tourism Management*, 23(5). 2002;
- 43) IJBSR... 2014 :** International Journal of Business and Social Research (IJBSR), Volume -4, No.-3, March, 2014;
- 44) Index... :** The global innovation index 2018 ;
- 45) Janoszka... 2014 :** Najda-Janoszka, M., & Kopera, S. Exploring Barriers to Innovation in Tourism Industry – The Case of Southern Region of Poland. *Procedia – Social and Behavioral Sciences*, 110: 2014;
- 46) Jeffrey... :** Jaffrey S. Moorad Sports Law Journal, 14(1), 127-158 Benson & Kate Davis;
- 47) Klein, 2002:** Klein, A.R. (2002). Cruise Ship Blues; To Underside of the

- Cruise Industry, Consortium Book Sales & Dist. Inc., Canada.
- 48) Klimsza, 2014:** Business Ethics, Introduction to the Ethics of Values,
Lucjan Klimsza;
- 49) Knowles, 2011... A:** Six Sigma Graeme Knowles;
- 50) Knowles, 2011... B:** Quality management, Graeme Knowles;
- 51) Kotler, 1994 :** Kotler Ph., Marketing management, Prentice Hall, Inc, 1994;
- 52) Lindauer, 2017 :** Modern risk management Remarks, Roman Lindauer;
- 53) Maguard :** Managing for quality in higher education, A system perspective,
2E , Ben A. Maguad, PH.D and Robert M. Krone PH.D;
- 54) Mandeville, 1732 :** Mandeville B. The Fable of the Bees, 1732;
- 55) Maryville, 1992 :** Maryville, S. "Entrepreneurship in the Business Curriculum".
Journal of Education for Business. Vol. 68 No. 1, pp. 27–31;
- 56) Manual:** Manual Oslo, Guidelines for collecting and interpreting
innovation data , Third edition.
- 57) MTD Training 2017:** EMOTIONAL INTELLIGENCE, 2017 MTD Training;
- 58) Nielsen ... 2014:** Business model design, networking, innovating and Globalizing,
Christian Nielsen and Morten Lund;
- 59) Nowotny, 2008 :** Nowotny H. Insatiable Curiosity: Innovation in a Fragile Future,
Cambridge Mass. MIT Press;
- 60) Oral ... 2010:** Oral, Z. & Esmer, S. (2010). Ege Bölgesi Kurvaviyer Turizmin
Mevcut Durumu ve Geleceği, Türkiye'nin Kıyıve Deniz Alanları
VIII. Ulusal Kongresi, 27 Nisan – 1 Mayıs, Trabzon, 805-817.
- 61) Passenheim, 2009:** Project Management Olaf Passenheim;
- 62) Patterson, 2010:** Business Briefs, business theory Made simple, Coleman Patterson
- 63) PETROVA, 2017:** GENESIS OF STRATEGIC MANAGEMENT,. ELITSA PETROVA;
- 64) Pownall, 2012:** Effective Management Decision Making An Introduction,
Ian Pownall;
- 65) Quinn, 2010:** Management Basics, Susan Quinn;
- 66) Report... :** The Global Competitiveness Report 2016–2017;
- 67) RITSON, 2017:** STRATEGIC MANAGEMENT, NEIL RITSON;

- 68) Salter... 2001 :** Salter, A.J., and Martin B.R. The economic benefits of publicly funded basic research: a critical review. *Research Policy*, 30(3), 509–32. 2001;
- 69) Schumpeter, 1943 :** Schumpeter, J. A. *Capitalism, Socialism, and Democracy* (6 ed.). Routledge. pp. 81–84. 1943;
- 70) Scott, 2008 :** *Handbook of Technology and Innovation Management* Edited by Scott Shane p.452-458. 2008;
- 71) Sneller, 2014:** *A Guide to ERP Benefits, Implementation and Trends*, Prof. dr. Lineke Sneller RC;
- 72) Song, 2016:** *Innovative Design Guidebook For Game Changers*, Three step innovation process for new business developments, Kim, Song-Kyoo;
- 73) Stocka...2017 :** Tim Stocka, Michael Obenausb , Amara Slaymakerc , Günther Seligera, *A model for the development of sustainable innovations for the early phase of the innovation process*, 2017, 14th Global Conference on Sustainable Manufacturing, GCSM 3-5 October 2016, Stellenbosch, South Africa.
- 74) Tidd ...2014 :** Tidd j. , Bessant j. *Strategic Innovation Management* 2014;
- 75) Tidd... 2005:** Tidd J., Bessant J., Pavitt K, *Managing innovation. Integrating technological, market and organizational change*, John Wiley & Sons Ltd, 2005;
- 76) Tomlinson, 2007:** *Smooth Sailing -Navigating the Sea of Law Applicable to the Cruise Line Industry*, Tomlinson S. 2007;
- 77) Venkatesh, 2015:** *ABC of Sustainable Development*, Venkatesh G.;
- 78) Watson ... 2016:** *Leading from the middle, a lidership development resource book*, Sally Watson and Maggie Shanon;
- 79) Барышева, 2010:** Барышева А. В. *Инновации: учебное пособие*. – М.: Дашков и К, 2010, 28с;
- 80) Боголиб, 2015:** *Монографія под редакцією Боголиб Т.М . Нова модель економічного росту України: Т.М. (на українському мові)*

– Киев: «ЧП Сердюк В.Л.», 2015. – 592 с.

- 81) Гринько, 2014:** Гринько Т. В., Innovative development in Ukraine and Poland: trends and problems Днепропетровский национальный университет им. О. Гончара (Zeszyty Naukowe WSEI seria: EKONOMIA, 8(1/2014), s. 169-180);
- 82) Мединский, 2002:** Мединский В.Г. Скамай. Л.Г. Иновационное предпринимательство. М., ст. 43, 2002 ;
- 83) САНТО, 1992 :** САНТО Б. Иновация, как средство экономического развития. М. `Прогресс`, 1992;
- 84) ТВИСС, 1988 :** ТВИСС Б. Управление техническими инновациями. М. `Экономика`, 1988. ст. 102;
- 85) Шумпетер, 1982 :** Шумпетер И. Теория экономического развития. М. `Прогресс`, 1982. ст. 112;

ელექტრონული დოკუმენტები ინტერნეტიდან

- 86) აგროპროექტი... :** სოფლის მეურნეობის პროექტების სააგენტო, ერთიანი აგროპროექტი, ოფიციალური ვებგვერდი <http://apma.ge/>
- 87) ანაკლია... :** ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ოფიციალური ვებგვერდი <http://anakliadevelopment.com/ka/info/>
- 88) აპა... :** დაცული ტერიტორიების სააგენტო, ოფიციალური ვებგვერდი <http://apa.gov.ge/ge/>
- 89) ასპექტები... :** მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები, ოფიციალური ვებგვერდი <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/3-27>
- 90) ბათუმი... :** ფრანკფურტის საერთაშორისო გამოფენა, ოფიციალური ვებგვერდი <http://gobatumi.com/ge/imex-2014/363>
- 91) ბიურო ... :** საჯარო სამსახურის ბიურო, ოფიციალური ვებგვერდი <http://gov.ge/>
- 92) გაერო... :** გაერო საქართველოში, მდგრადი განვითარების მიზნები,

ოფიციალური ვებგვერდი

http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals#.WyYQ01UzbIU

93)გარემო...

გარემოს ეროვნული სააგენტო, ოფიციალური

ვებგვერდი <http://nea.gov.ge/>

94)ეკოსისტემა... :

მსოფლიო ბანკი საქართველოს ეროვნული ინოვაციების

ეკოსისტემის პროექტს 40 მილიონი დოლარით დააფინანსებს, ოფიციალური ვებგვერდი <https://commerciant.ge/ge/post/msofliobanki-saqartvelos-erovnuli-inovaciebis-ekosistemis-proeqlts-40-milioni-dolarit-daafinansebs>

95)მეურნეობა... :

ეროვნული სამენი მეურნეობა,

ოფიციალური ვებგვერდი <http://sanerge.com/ka/>

96)პროგრამა... :

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

დაცვის სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა, ოფიციალური ვებგვერდი <http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021-----.pdf>

97)სააგენტო ... A:

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო,

ოფიციალური ვებგვერდი <http://gita.gov.ge>

98)სააგენტო ... B:

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო,

Horizon 2020, ოფიციალური ვებგვერდი

<https://gita.gov.ge/geo/static/111/horizon-2020>

99)სამინისტრო ... A :

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო,

ოფიციალური ვებგვერდი <http://www.moa.gov.ge/>

100)სამინისტრო... B:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტრო, ოფიციალური ვებგვერდი

<http://www.economy.ge/>

101)სასტარტო... :

სასტარტო კაპიტალით უზრუნველყოფის

რეფორმა - ინიციატივა, ოფიციალური ვებგვერდი

<http://www.info9.ge/ekonomika/191136->

sastarto-kapitalith-uzrunvelyofis-reforma-
iniciativa.html?lang=ka-GE

102)სტატისტიკა ... :

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,
ოფიციალური ვებგვერდი <https://www.geostat.ge/ka>

103) ტურიზმი... :

სამედიცინო ტურიზმი, ოფიციალური ვებგვერდი
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D_%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98

104)ფაბლაბი... :

მსოფლიო ფაბლაბების რუკაზე საქართველოს 22 ფაბლაბი
გამოჩნდა, ოფიციალური ვებგვერდი
<https://megatv.ge/news/sazogadoeba/5278-msofliofablabebis-rukaze-saqartvelos-22-fablabi-gamochnda.html>.

105)შიმონ პერესი:

92 წლის შიმონ პერესის სიტყვები, რომელმაც სამყარო შეძრა...
ოფიციალური ვებგვერდი <https://www.timer.ge/shimon-peresis-sitkhvebi-romelmac-samkharo-shedzra/>

106)ABA...:

ABA Risk Management Schools, official website
<https://erm.ncsu.edu/library/article/five-basics-to-managing-innovation-risk>

107) Bloomberg... :

These Are the World's Most Innovative Economies,
official website <https://www.bloomberg.com/news/articles/2017-01-17/sweden-gains-south-korea-reigns-as-world-s-most-innovative-economies>

108)Centre...

Innovation centre official website <https://innovationscenter.wordpress.com/2013/01/08/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/>

- 109) **Companies...** : 6 Companies Spending The Most On R&D, official website
<https://www.nasdaq.com/article/6-companies-spending-the-most-on-rd-cm1004333>
- 110) **Cruise...A** : Revenue of the cruise industry worldwide from 2007 to 2027, official website <http://www.statista.com/statistics/204572/revenue-of-the-cruise-line-industry-worldwide-since-2008/>
- 111) **Cruise...B** : Круизы выбирают взрослые туристы, official website
<http://www.atorus.ru/news/press-centre/new/9907.html>
- 112) **Dictionary** : Innovation , official website
<http://www.dictionary.com/browse/innovation>
- 113) **EU NEIGHBOURS...**: The European Neighbourhood Instrument (ENI), official website
<https://www.euneighbours.eu/en/policy/european-neighbourhood-instrument-eni>
- 114) **Eu4business...** : official website <http://www.eu4business.eu/programme/eu4business-ebd-credit-line>
- 115) **Exim...**: Success stories, official website <http://www.exim.gov/>
- 116) **Eximbanka...** : Eximbanka SR, official website <https://www.eximbanka.sk>
- 116) **Forbes...** : 22 великие цитаты, которые стоит знать тем, кто рискует official website <http://www.forbes.ru/forbeslife/obrazovanie/238798-22-velikie-tsitaty-kotorye-stoit-znat-tem-kto-riskuet>
- 118) **Industry...** : 5 innovations transforming the travel, official website
<https://www.weforum.org/agenda/2015/09/5-innovations-transforming-the-travel-industry/>
- 119) **Innovation...**: official website <http://www.innovation-cities.com/innovation-cities-index-2016-2017-global/9774>
- 120) **Innovation in Tourism...**: Technology innovation management review, Innovation in Tourism, official website <https://timreview.ca/article/1029>
- 121) **ISO...** : ISO consulting, official website <https://www.isoconsulting.ge/isostandards-ge>
- 122) **ISO სერთიფიკატი ...** რას გულისხმობს ISO სერთიფიკატი და რა შემთხვევაში

ენიჭება მწარმოებელს იგი? ოფიციალური ვებგვერდი
<https://www.bpn.ge/article/22414-ras-gulisxmobs-iso-sertipikati-da-ra-shemtxvevashi-enicheba-mcarmoebels-igi/>

- 123) **Global...** : GLOBAL INNOVATION INDEX 2018, official website
https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2018.pdf)
- 124) **Goodreads...** : official website <http://www.goodreads.com/quotes/505510-innovation-is-the-only-way-to-win>
- 125) **Government...** : 4 Government Programs That Drive Innovation, official website
<https://www.forbes.com/sites/gregsatell/2013/07/02/4-government-programs-that-drive-innovation/#36d34aeb3978>
- 126) **Management...** The Seven Essential Characteristics of Innovative Companies official website <http://www.innovationmanagement.se/2012/12/18/the-seven-essential-characteristics-of-innovative-companies/>
- 127) **Merriam-webster...** : official website Merriam-webster.com.
- 128) **Prognoz 2030...** : Организациянная схема, official website <https://prognoz2030.hse.ru/shem>
- 129) **Ranking ...** : Ranking of the 20 companies with the highest spending on research and development in 2018 ; official website
<https://www.statista.com/statistics/265645/ranking-of-the-20-companies-with-the-highest-spending-on-research-and-development/>
- 130) **Risk...** Innovation risk, how to make smarter decision, official website
<https://hbr.org/2013/04/innovation-risk-how-to-make-smarter-decisions>
- 131) **Start up...** : the 40 greatest innovation of all time, official website
<http://startupguide.com/world/greatest-innovators/>
- 132) **Studfiles...** : Оценка эффективности инновационных проектов, official website <https://studfiles.net/preview/515008/page:13/>
- 133) **Space X** : Space X, official website <http://www.spacex.com>

- 134)Swansonreed...: BIG VS SMALL COMPANIES: WHO SPENDS MORE ON R&D IN UNITED STATES, official website <https://www.swansonreed.com/big-vs-small-companies-spends-rd-u-s/>
- 135)Throatscope...: Throat Scope Illuminated Tongue Depressor and Retraction Tool official website <https://throatscope.com>
- 136)Tourism... A : Великие инновации туризмаОбъявлены победители премии и UNWTO Awards 2015 за выдающиеся инновации в туризме, official website http://travel.vesti.ru/article_16375
- 137)Tourism...B: Великие инновации туризма, official website <http://buyingbusinessstravel.com.ru/articles/velikie-innovatsii-turizma/>
- 138)Tourism ... C : ტოპ 5 სახელმწიფო, რომელიც გამოირჩევა სამედიცინო ტურიზმის განვითარების მხრივ, official website <http://davaypoedem.com/review/item/193-top-5-stran-dlya-meditinskogo-turizma>
- 139)Tourists... Круизы выбирают взрослые туристы, <http://www.atorus.ru/news/press-centre/new/9907.html>
- 140)Types...: Types of innovation - Choosing where to innovate, official website <https://innovation-management.org/types-of-innovation.html>
- 141)Unesco... Data for the Sustainable Development Goals, official website <http://uis.unesco.org>
- 142)Unesco ... A : R&D SPENDING BY COUNTRY, official website <http://uis.unesco.org/apps/visualisations/research-and-development-spending/>
- 143)Unesco...B : R&D SPENDING BY COUNTRY, official website <http://uis.unesco.org/apps/visualisations/research-and-development-spending/>
- 144)UNWTO... : Число международных туристских прибытий в 2015 году возросло на 4% и достигло рекордной отметки в 1,2 млрд.

official website

<http://media.unwto.org/ru/press-release/2016-01-19/chislo-mezhdunarodnykh-turistskikh-mapribytii-v-2015-godu-vozroslo-na-4-i-dos>

145)Volkswagen... :

VOLKSWAGEN-მა ელექტრო ბაგის კონცეფტი წარმოადგინა, ოფიციალური ვებგვერდი

<https://popx.ge/article/3702-volkswagen-ma-elektro-bagis-kontsepti-carmoadgina>

ტოპ-15 ქვეყანა, სადაც ბიზნეს სექტორის მიერ ყველაზე მეტი თანხები (ქვეყნის მშპ-სთან მიმართებაში) იხარჯება კვლევებსა და ინოვაციურ განვითარებაზე



წყარო: (Unesco... A)

ტოპ-15 ქვეყანა, სადაც ბიზნეს სექტორის მიერ ყველაზე მეტი თანხები (რაოდენობრივად) იხარჯება კვლევებსა და ინოვაციურ განვითარებაზე



წყარო : (Unesco... B)

საქართველო და 2018 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII 2018)


	ქულა	რეიტინგი
ინსტიტუტები	71.7	39
1.1 პოლიტიკური გარემო	57.9	51
1.1.1 პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება	58.0	81
1.1.2 მთავრობის ეფექტურობა	57.9	43
1.2 მარეგულირებელი გარემო	80.5	28
1.2.1 რეგულაციის ხარისხი	69.9	32
1.2.2 კანონის უზენაესობა	54.0	50
1.2.3 გამოსყიდვის ანაზღაურების ღირებულება, კვირის ხელფასი.....	8.6	18
1.3 ბიზნეს გარემო	76.7	40
1.3.1 ბიზნესის დაწყების სიმარტივე.....	97.8	4
1.3.2 გადახდისუუნარობის საკითხის გადაჭრის სიმარტივე.....	55.6	53
ადამიანური კაპიტალი და კვლევა	30.0	67
2.1 განათლება	50.5	54
2.1.1 განათლებაზე ხარჯები, მშპ-ს % რაოდენობა	3.8	86
2.1.2 მთავრობის დაფინანსება /მოსწავლე, საშუალო, მშპ %/კაპიტალი.....არაზუსტი	არაზუსტი	არაზუსტი
2.1.3 სკოლის არსებობის ხანგრძლივობა, წლები	15.0	50
2.1.4 PISA შეფასებები კითხვაში, მათემატიკასა და მეცნიერებაში	405.4	61
2.1.5 მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა, საშუალო	7.4	5
2.2 უმაღლესი განათლება	33.8	57
2.2.1 უმაღლესში ჩარიცხვა, % მაჩვენებელი	51.9	5
2.2.2 მეცნიერებათა და საინჟინრო პროგრამის კურსდამთავრებულები.....	21.7	49
2.2.3 უმაღლეს სასწავლებელში მობილობა, %.....	7.7	29
2.3 კვლევა და განვითარება (R & D)	74.0	7
2.3.1 მკვლევარები, FTE / mn pop.	1,336.6	44
2.3.2 მთლიანი დანახარჯი R & D- ზე,% GDP	0.3	79
2.3.3 გლობალური R & D კომპანიები, ტოპ 3, mn US \$	0.0	40
2.3.4 QS უნივერსიტეტის რეიტინგი, საშუალო ქულა ტოპ 3.....	0.0	78
ინფრასტრუქტურა	42.5	71
3.1 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICTs)	56.8	70
3.1.1 ICT წვდომა	62.6	68
3.1.2 ICT გამოყენება	44.7	70
3.1.3 მთავრობის ონლაინ სერვისი	63.8	55
3.1.4 ელექტრონული ჩართულობა	55.9	74
3.2 ზოგადი ინფრასტრუქტურა	40.3	53
3.2.1 ელექტროენერჯის გამომუშავება, კვტ/სთ	2,912.1	63
3.2.2 ლოჯისტიკის შესრულების დონე	13.4	117
3.2.3 მთლიანი კაპიტალის ფორმირება, მშპ%	33.7	14
3.3 ეკოლოგიური მდგრადობა	30.6	90
3.3.1 მშპ / ენერჯის გამოყენების ერთეული	7.1	82

3.3.2 გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება	55.7	80
3.3.3 ISO 14001 გარემოსდაცვითი სერტიფიკატები / bn PPP \$ GDP	0.3	96
ბაზრის განვითარება	59.8	15
4.1 კრედიტი	52.6	26
4.1.1 კრედიტის აღების სიმარტივე	65.0	49
4.1.2 კერძო სექტორის საშინაო კრედიტი, მშპ %	94.8	30
4.1.3 მიკროსაფინანსო სესხების მთლიანი სესხი, % მშპ-ს	არაზუსტი	არაზუსტი
4.2 ინვესტიცია	61.6	15
4.2.1 მცირე ინვესტიციების დაცვის მექანიზმის სიმარტივე.....	58.3	61
4.2.2 საბაზრო კაპიტალიზაცია, % GDP	არაზუსტი	არაზუსტი
4.2.3 საწარმოო კაპიტალის გარიგებები / bn PPP \$ GDP	0.2	7
4.3 ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი	65.1	51
4.3.1 გამოყენებითი ტარიფის განაკვეთი, შეწონილი საშუალო, %	1.6	19
4.3.2 ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა	62.3	92
4.3.3 შიდა ბაზრის მასშტაბები, bn PPP \$	242.4	58
ბიზნეს განვითარება	52.8	13
5.1 მცოდნე მუშაკები	66.2	11
5.1.1 ცოდნა და ინტენსიური დასაქმება	44.4	15
5.1.2 ფირმების მიერ შეთავაზებული ფორმალური ტრენინგები, ფირმების %.....	10.5	88
5.1.3 GERD მიერ შესრულებული ბიზნეს % GDP	არაზუსტი	
5.1.4 GERD მიერ დაფინანსებული ბიზნესი	არაზუსტი	
5.1.5 დასაქმებული ქალი.....	16.4	36
5.2 ინოვაციური კავშირები	25.6	73
5.2.1 უნივერსიტეტი / კვლევითი ინდუსტრიების თანამშრომლობა	29.3	105
5.2.2 ჯგუფური განვითარების მდგომარეობა	32.5	112
5.2.3 საზღვარგარეთის სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული GERD.....	14.7	31
5.2.4 JV- სტრატეგიული ალიანსის გარიგებები / bn PPP \$ GDP	0.1	27
5.2.5 პატენტის ოჯახების 2+ ოფისები / bn PPP \$ GDP	0.1	68
5.3 ცოდნის შთანთქმა.....	29.2	69
5.3.1 ინტელექტუალური საკუთრების გადასახადი, საერთო ვაჭრობა	0.2	82
5.3.2 მაღალტექნოლოგიური ქსელების იმპორტი, საერთო ვაჭრობა	7.3	75
5.3.3 ICT მომსახურების იმპორტი, საერთო ვაჭრობა	0.7	86
5.3.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, მშპ%	11.0	11
5.3.5 კვლევის ნიჭი ბიზნეს საწარმოში.....	არაზუსტი	
ცოდნა და ტექნოლოგიური შედეგები	24.5	57
6.1 ცოდნის შექმნა	21.0	46
6.1.1 პატენტების წარმოქმნა / bn PPP \$ GDP	2.6	38
6.1.2 PCT პატენტების წარმოქმნა / bn PPP \$ GDP	0.3	47
6.1.3 სასარგებლო, პრაქტიკული მოდელების წარმოშობა / bn PPP \$.....	1.8	14
6.1.4 სამეცნიერო და ტექნიკური სტატია / bn PPP \$ GDP	13.5	38
6.1.5 სატენდერო დოკუმენტაცია H ინდექსი	8.6	75
6.2 ცოდნის გავლენა	34.4	69
6.2.1 მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი	2.7	23
6.2.2 ახალი ბიზნესი / პოპ. 15-64	8.4	17
6.2.3 კომპიუტერული პროგრამების ხარჯები, % GDP	0.1	89

6.2.4 ISO 9001 ხარისხის სერთიფიკატები / bn PPP \$ GDP	4.0	69
6.2.5 მაღალი და საშუალო დონის მაღალტექნოლოგიური წარმოება	0.1	84
6.3 ცოდნის დიფუზია	18.2	74
6.3.1 ინტელექტუალური საკუთრების შექმნა, საერთო ვაჭრობა	0.0	89
6.3.2 მაღალტექნოლოგიური წმინდა ექსპორტი, საერთო ვაჭრობა	0.3	90
6.3.3 ICT მომსახურების ექსპორტი, საერთო ვაჭრობა	0.7	90
6.3.4 სხვა ქვეყნებიდან მიერ განხორციელებული ინვესტიცია,% GDP	2.2	25
შემოქმედებითი შედეგები	26.8	73
7.1 არამატერიალური აქტივები	37.2	82
7.1.1 სასაქონლო ნიშნები წარმოშობის მიხედვით / bn PPP \$ GDP	59.6	35
7.1.2 სამრეწველო ნიმუშები წარმოშობის მიხედვით / bn PPP- ზე \$ GDP	3.2	39
7.1.3 ICT და ბიზნეს მოდელის შექმნა	51.4	99
7.1.4 საინფორმაციო ტექნოლოგიების და ორგანიზაციული მოდელის შექმნა	42.7	100
7.2 კრეატიული საქონელი და მომსახურება	19.5	70
7.2.1 კულტურული და შემოქმედებითი მომსახურების ექსპორტი, საერთო ვაჭრობა..	0.3	35
7.2.2 ეროვნული მხატვრული ფილმები / mn pop. 15-69	5.5	35
7.2.3 გართობა და მედია ბაზარი / პოპ. 15-69		არაზუსტი
7.2.4 ბეჭდვა და სხვა მედია, წარმოება	1.6	27
7.2.5 კრეატიული საქონლის ექსპორტი, საერთო ვაჭრობა	0.1	100
7.3 ონლაინ კრეატიულობა	13.1	52
7.3.1 ზოგადი ზედა დონის დომენები (TLDs) / ე პოპ. 15-69	1.6	84
7.3.2 ქვეყნის კოდი TLDs / ე პოპ. 15-69	2.1	65
7.3.3 ვიკიპედიის რედაქტირება / mn pop. 15-69	44.5	31
7.3.4 მობილური აპლიკაციის შექმნა / bn PPP \$ GDP	18.9	46

წყარო: (Global...)

20 კომპანიის რეიტინგი, რომლებმაც 2018 წელს ყველაზე მაღალი თანხები დახარჯა კვლევებსა და ინოვაციურ განვითარებაზე (მილიარდი აშშ დოლარი)



წყარო: (Ranking...)